



ქვეყნიერების უსასრულობის მზერაა სფინქსში...



ვუძღვნი პლანეტის ერთა
მარადიულობას

ზეზი ალაძის



გამომცემლობა „ეზიკა“
თბილისი 2018

რედაქტორი და მხატვარი: რეზო ადამია

მადლიერების ღვთიური გზებით
ბატონ იოსებ კირცხალიას...

© რ. ადამია, 2018 წელი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-278-4



დიდი გაფრთხილება

ყველაფერზე წყვდიადი ბატონობდა.

ხმელეთი და წყალი ერთმანეთში არეულიყო.

სამყარო საშინელ ქაოსს მოეცვა.

და ამ დროს ღმერთმა ბრძანა: იყავნ ნათელნი!

და განათდა.

სინათლე გამეფდა.

ეს ბიბლიური სინათლე სხვა არა იყო რა, თუ არა – მზე.

დიახ, ღმერთმა მზე შექმნა.

ანუ მარადიული სითბო და სინათლე.

და სამყაროში თანდათან დაისადგურა იმ მაღლმა, წესრიგი რომ ჰქვია.

მილიარდი წელია ამოდის მზე და სიცოცხლეს აძლევს ქვეყნად ყოველივეს.

მზე ხილულს ხდის სულიერსაც და უსულოსაც.

მზე რომ არ იყოს, მთვარესაც არ ექნებოდა ის მომხიბვლელი მკრთალი ციაგი, რომანტიკის ბურთებში რომ გვხვავს.

ჩვენ ისე მივეჩვიეთ ყოველ დილით მზის ამოსვლას, რომ ამას სასწაულად როდი განვიცდით.

რიჟრაჟი რომ გაამტრედისფერებს ზეცას, არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ მზე გვიახლოვდება, მზე მოადგა ტატნობს.

სინათლე მზეა.

აუცილებელი როდია ყოველ დილით მზე დავინახოთ.

შეიძლება იგი ღრუბლის თავშალით მოგვევლინოს.

მაგრამ რაკი თენდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მზე ახლოსაა.

მაგრამ რა მოხდება, რომ აღმოსავლეთიდან მზე არ დაიძრას?

სამყარო არ განათდეს?

ისევ, ქაოსი გამეფდება და ნაიშლება, ერთმანეთში აითქვიფება, რაც კაცობრიობას და ბუნებას დიდის რუდუნებით შეუქმნია.



მაგრამ მზის ამოსვლა იმდენად ჩვეულებრივია, რომ ჩვენ ამაზე არც ვფიქრობთ.

ასე იყო და ასე იქნება.

მზე არ დაილლება.

მზე თავის ღვთიურ გზას არ გადაუხვევს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთ უბედურ დღეს მზე რომ არ ამოვიდეს?

ამაზე დღემდე არცერთ ქართველ მწერალს არ უფიქრია.

მე მგონი, არც მსოფლიო ლიტერატურას დაუხატავს ჩვენგან პირშებრუნებული მზის არამოსვლით გამეფებული ქაოსი.

კითხულობ რეზო ადამიას ახალ რომანს („მზე“ და სიამაყესთან ერთად შიშიც გიპყრობს).

სიამაყე იმის გამო, რომ პირველმა შენმა თანამემამულემ შეჰბედა ამ აქამდე ხელუხლებელ მარადიულ თემას.

შიში იმის გამო, ვაი თუ მართლა ასე მოხდეს?

ამ პრობლემაზე მწერლური ფიქრი მხოლოდ რელიგიურ-მისტიური სარკმლიდან შეიძლება და ბატონი რეზოც ამ გზას დაადგა.

რელიგიურ-მისტიკურ-კოსმიურმა მასშტაბმა თავისი ჩარჩოში ჩააყენა მოკვდავთა ფიქრი.

მზის არ ამოსვლის სამი საათის განმავლობაში მსოფლიოს საშუალება მიეცა დაფიქრებულიყო.

რა ხდება? რატომ გაგვებუტა მზე. რა შევცოდეთ ჩვენ?

და ყველამ, აბსოლუტურად ყველამ თავისი ჭირვეული ცხოვრების პოზიციიდან შეხედა განვლილ გზას.

ყველა დაფიქრდა.

ოღონდ ზოგი დაფიქრდა ღვთიური ფიქრით (გენიოსნი და ღვთისმოსავნი), ხოლო ზოგი შეცდომის დასაშვებად დაბადებული ადამიანის ფიქრით.

ამ დაფიქრებაზეა ეს რომანი.

გაფრთხილდით ადამიანებო, ნუ გაამრავლებთ ცოდვებს, თორემ ერთ დღეს შეიძლება მზე გაგვინყრეს და არ ამოვიდეს.

ეს ღვთის რისხვა იქნება, უკიდურესი და საბოლოო.



ეს გახლავთ „მზის“ უმთავრესი ლაიტმოტივი.

ესაა დიდი გაფრთხილება გრძნეულ მწერლისა ლიტერატურის დიდ ტაძარში, კაცობრიობის წინაშე დანთებულ კელაპტრად აკიაფებულნი.

რომანში ერთმანეთს ცვლის უაღრესად შთამბეჭდავი პასაჟები და მხატვრული სახეები.

რეზო ადამია ფერმწერია და სწორედ ფერწერა დომინანტობს რომანში.

აი, თურმე რატომ ხატავდა ბატონი რეზო გამუდმებით ამომავალ და ჩამავალ მზეებს.

ეს „მზეები“ შემზადება იყო „მზემდე“ მისასვლელად.

ამ რომანის უმთავრესი პრობლემა არ გახლავთ ლოკალურად ერთი ქვეყნის პრობლემა, იგი მსოფლიოს პრობლემაა, თუმც ნაწარმოები უაღრესად ეროვნულია აზროვნების სტილით და ენობრივ—მხატვრული აქსესუარებით.

რომანის კომპოზიცია და ემოციურ-ფსიქოლოგიური ქსოვილი ისეთივე კონკრეტული, მკაფიო და გამჭვირვალეა, როგორცაა რეზო ადამიანს მიერ დიდი სულიერი სიფაქიზით დანერგილი წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის ხატები:

„მზე“ დახუნძლულია მწერლისეული ფილოსოფიურ-მისტიური წიაღსვლებით. მაგალითად:

„გარდაცვალება უზარმაზარი სევდაა დროით და სივრცით დანისლული – მძიმე, შავფერებსავსე უცნაური რომანტიზმით და კოსმოსური, მრავალფეროვანი იდუმალებით.

მკითხველთან ერთად ეძიებს ავტორი მიზეზთა მიზეზს იმისას, თუ რატომ შეიძლება გაუწყრეს მზე ნიადაგ მობობოქრე კაცობრიობას.

ადამიანთა და ქვეყანათა ისტორია ხომ განუწყვეტელი ომების ისტორიაა, სადაც გამარჯვებული ფაქტიურად არავინ რჩება.

და ამ სისხლიან ბაკხანალიაში გამარჯვებულთა და დამარცხებულთა, რეზო ადამია უეცრად ამოატივტივებს ლაო ძის გენიალურ მაქსიმას:

„ვინც ზეიმობს გამარჯვებას, ზეიმობს კაცთა კვლას, ვინც ზეიმობს კაცთა კვლას, ვერ ეღირსება ქვეყნად სიკეთეს“ (ლაო ძი).

რეზო ადამიას რომ ჭეშმარიტი მწერლის თვალი და ალლო აქვს, ამის დასტურად



ის შემადრწუნებელი კალიდოსკოპური სურათები გახლავთ მწერალს რომ შეუქმნია მზის მრისხანებით თავზარდაცემულ დედამინას რომ დაატყდა თავს. ერთ დეტალს ამოვწერ:

„მოუსვენარმა, ფეხებდაბარჯლულმა, მოყავისფრო-მოყვითალო ჭიანჭველებ-მა შეწყვიტეს ხანგრძლივი შრომა-ფუსფუსი, თითქოსდა მათი აურაცხელწვერიანი ოჯახები მწარედ დადუმდნენ. მინისძვრასავით შესძრა ქვეყანა ჯაგარაბურძგნული მგლების გაბმულმა ყმუილმა. ფუტკრები არ გამოჩენილან. აფორიაქებული თევზები ხმელეთს ასკდებიან, ზოგნი შურდულივით წყლიდან ამოვარდნილნი, აღმოსავლეთს წინკნა თვალს შეავლებენ და ცისფერი ისარივით წყალშივე ჩაეშვებიან...“

ბოლოს სამყაროს ეს იგავმიუწვდომელი განსაცდელი დამთავრდა.

მზე აღმობრწყინდა.

სიცოცხლე დაუბრუნდა ყველას და ყველაფერს.

„მზეს“ ვერასოდეს დავასრულებ, რადგანაც კოსმოსიდან დღენიადაგ მომეწოდება სურათები და წარმოსახვითი სიახლეები, ამიტომ იძულებული ვარ დროულად შევჩერდე და სინანულად მრავალწერტილი დავსვა!..

ეს გახლავთ „მზის“ უკანასკნელი სტრიქონები.

წარმოსახვასავით ეკრანზე გაირბინა ამ სტრიქონებმა, მაგრამ დარჩა ავტორის მერ ამ დიდებული წიგნით მოგვრილი დაუვინყარი განცდა და სამუდამო გაფრთხილება:

„ადამიანებო, იყავით ფხიზლად, ნუ დაუშვებთ საბედისწერო შეცდომებს, ნუ ხელ-ჰყოფთ ერთმანეთის სიცოცხლეს, თორემ აპოკალიფსი გვიახლოვდება!“

... და ბოლოს, მინდა მივმართო რუსთაველის პრემიის კომიტეტს, ჩემი ღრმა რწმენით, რეზო ადამიას ახალი რომანი „მზე“ ჭეშმარიტად იმსახურებს ქართული მწერლობის უმაღლეს ჯილდოს – რუსთაველის პრემიას.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი
ნობელის პრემიის დომინანტი
 28.05.2017წ.



„მზე დედა ჩემი“

მსოფლიოს მხატვრულ ხელოვნებაში, ცხადია მწერლობაშიც, მზე იმთავითვე შემოქმედთა ერთ-ერთ უპირველეს მუზად იქცა. ეს ალბათ უპირველესად მზის სიმშვენიერით, სიძლიერითა და სინათლის (ნათების) უნარიანაა განპირობებული. მზე ხომ დედამინასთან ყველაზე ახლოს მყოფი მნათობია.

დიდმა შოთა რუსთაველმა, როცა მეფე თამარის დახასიათება სურდა მზეს შეაღარა იგი: „მეფისა მზის თამარისა, ლანვ-ბადახშ-თმა-გიშერისა პოეტი თინათინსაც მზის მეოხებით ამკობს: „მან განანათლეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან“. სხვაგან ნათქვამია „ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა“. მზეს დიდი ხარკი გადაუხადა ქართულმა ფოლკლორმაც: – „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“, „მზევ შინა და მზევ გარეთა, მზევ შინ შემოდიო“, „მზე დედაა ჩემი...“ „ბნელი გააპოს ნათელმა (მზე იგულისხმება), ბოროტი გული – დანამა“, სვანურ „ლილეოსაც“, მზის საგალობელს უწოდებენ. ვერც ახალი დროის პოეტები გადაურჩნენ მზის ცდუნებას: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ...“, „მზეო თიბათვისა“ და სხვა მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. სრულიად ახალი კუთხით დაინახა მზე მხატვარმა და მწერალმა რეზო (ემილიანე) ადამიამ. უპირველესად უნდა ავლნიშნო, რომ იგი შესანიშნავი მხატვარია. შეიძლება ითქვას, მხატვარი ფილოსოფოსია. მის მრავალფეროვან ფერწერულ შემოქმედებაში არის რაღაც კოსმიური – ფერთა საოცარი გამა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს და ამიტომაც სრულიად კანონზომიერია, რომ რეზო ადამიანს ახალი „მზე“ საოცარი ოსტატობით, რეალობის ღრმა ფილოსოფიური შეცნობით, ხატოვნად წარმოგვიდგენს სიცოცხლისა და სიკეთის უკვდავ შემოქმედს – მზეს.

ფანტასმაგორიულია ამ რომანის სიუჟეტი. ავტორმა ადამიანთა მოდგმა მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა დილით მზე არ ამოვიდა... სამი საათით დაავიანა: ეს სამი საათი, დალუპვის პირას მდგარი ადამიანების განცდის, დროა – პლანეტაზე უმადურების დამკვიდრების პერიოდია. ავტორი საოცარი ექსპრესიით აჩვენებს, თუ როგორ ევედრებიან ადამიანები ღმერთს: “მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს გაოგნებუ-



ლი, ჯვარადმართული ქრისტიანები, ბუდისტები ქედს იხრიან მზის გამოსახულების წინაშე. გაოცებული მუსლიმები მიწას ერთხმად. იუდეველები გოდების კედელთან, სინაგოგებთან თუ ოჯახის სალოცავებთან ცრემლს ღვრიან. უკიდურესად შეძრწუნდნენ ძველისძველი წარმართები, იალოველები, დაიბნენ კანტი-კუნტად შემორჩენილი უხსოვარდროინდელი თავყანისმცემლებიც...“ და ა.შ.

უმზეობით გამონვეულმა განსაცდელმა ადამიანებს საშუალება მისცა დაფიქრებულიყვნენ. განვლილი გზის სისწორე გაეანალიზებიათ. ამ სამ საათში ისინი დარწმუნდნენ, რომ „დედამინა ყოველგვარი ეჭვის გარეშე მორჩილი, თანდაყოლილი პლანეტაა, უდიდესი მნათობი კეთილისა, რომელსაც ერთ წამს არ აქვს უფლება და საშუალება უმზეოდ არსებობისა“.

რეზო ადამია, კოსმიური ძალით ხედავს რა უმზეობით გამონვეულ რეალობას, გვაფრთხილებს ფრანგი მწერლისა და მორალისტის ლაროშფუკოს მიერ რიშელიესა და მაზარონის წინააღმდეგ ბრძოლისას ნატყორცნი პარადიგმებით: „არც მზეს და არც სიკვდილს პირდაპირ არ უნდა უცქირო“. მოთხრობის ავტორი საინტერესოდ მსჯელობს, რომ ყველაფერი ემორჩილება უსაზღვრო ძალებს. პათეტიკურ შეკითხვას სვამს იგი: დრო, სამყარო და სივრცე ვის ემორჩილება? პასუხობს – ღმერთს. შემდეგ ერთი შეხედვით მკრეხელურ შეკითხვას წარმოთქვამს: უფალი კი ვის ემორჩილება? ავტორისვე აზრით, ამ შემთხვევაში უნდა შეჩერდეს რელიგიური ადამიანის აზროვნება, რათა არ აიღრეს „გულმართალი რწმენის უმაღლესი ეთიკა“. რეზო ადამიას აზრით, სამყაროს იდუმალებისაგან შექმნილი მოვლენა შეუსწავლელი მცნებაა და ამიტომ „განსაჭრეტად მომავლის ათასწლეულებს უნდა გადავაბაროთ“.

ნებისით თუ უნებლიედ დაძაბულ დაზაფრული კითხულობ ნაწარმოებს. ეს მწერლის ნიჭიერების ნაყოფია. ამასთან მკითხველი აცნობიერებს, რომ მზის ამოსვლის უმაღლესი დაძაბულობა. შვება გეუფლება. მწერალი საოცარი ოსტატობით თავისებურად განმარტავს ათასგზის დამტკიცებულ-დასაბუთებულ ქრესტომათიულად აღიარებულ მზის ფუნქციას: „სადღაც დაბეჩავებული და ფუნქციამოშლილი მთვარე თავისი უჩვეულო სვლით შეძრწუნებული და გაფერმკრთალებული, ამღვრეულ სივრცეში იმალება, რადგან ჩვენი გალაქტიკის – ირმის ნახტომის ერთ-ერთ გვირგვინოსან მეფე – დეოდოფალმანათობელს კოსმიურ ღრმად გამჭვირვალე – ჩრდილს აყენებს... მზე



კი თითქოსდა გამოთავისუფლდება უახლოესი თანამგზავრისაგან და შვებით აწყვეტილი კვლავინდებურად წინ მისხვივს. (დედამინა მთვარის ფუნქციათა მოშლა – არევა ამ წუთებში, თუ არა მზეს ვინ და რა შეხებია როდესმე)...

მეტად საინტერესოა რომ რეზო ადამიას ამ ჯოჯოხეთური სამსაათიანი მოქმედი პირები ზოგადად: მღვდელ-მთავრები, პატიმრები, პროკურორები, მებადრაგეები და სხვ. კერძოდ, ერთი ახალგაზრდა ხატმწერი ბერი, ადამიანი, რომელიც მზისა და ჯვრის ერთობლივ მართალმა გამოხატვამ გადაარჩინა. ამ ბერს თავის მრევლში გამორჩეული ახალგაზრდა ჰყავდა. იგი ღარიბი იყო. მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილი. უხიაგ ურწმუნოებისათვის შეუფერებელ სიზმრებს უჩიოდა და როცა მათ თავი ვერ დააღწია, თავად გამოიტანა განაჩენი – ჩამომხრჩვალ ნახეს (აქაც იმძლავრა სატანამ). ეს ამბავი მზის დაგვიანების წინ ერთი დღით ადრე მოხდა. თავის თავს ადანაშაულებდა – როგორ ვერ ჩავნვდი ამ ფარულ ცოდვა-ეშმაკეულ შემოსევებსო.

არ არის ეს ეპიზოდი შემთხვევით შემოტანილი მოთხრობაში, თანაც ხაზგასმულია, რომ ეს მძიმე ამბავი მოხდა ერთი დღით ადრე მზის სამი საათით დაგვიანებით ამოსვლამდე.

ერთ რამესაც მივაქცევ ყურადღებას, მწერალმა უმზეობის დროდ სამი საათი აირჩია. იქნებ იმიტომ, რომ „სამი“ რამდენადმე საკრალურ რიცხვად ითვლება (წმ. სამება, „სამგზის სანატრელი“, პირჯვრის სამჯერ გადანერა და სხვ.). ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებლის ძლევამოსილ გამარჯვებას სამი საათით განსაზღვრავს: „...მეფისა დავითისი ესეოდენტა მიმართ წინა განწყობაჲ სამ ჟამამდე (სამ საათამდე – რ.მ.) იყო“. მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, ჩვენ კი მივიჩნევთ რომ რეზო ადამიას „სამი“ სწორედ ამ რიცხვის ტრადიციულობიდან მომდინარეობს.

კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ეპიზოდი შემოაქვს. ახლადდაქორწინებული წყვილი შეძრწუნებულნი (ასეთები სხვა წყვილებიც არიან) სარეცელს მოშორდნენ და ფანჯარას მოაფრინდნენ. აღელვებული ვაჟი სულალტკინებული აფრთხილებს მეუღლეს: „ამ უმძაფრეს მოვლენებთან ერთად არ მომწონს ჩვენს ირგვლივ ჟამმომდინარე სტიქიური ეს განწყობილება, შურივე – ანანო! ახლავე გულ-მკერდზე შენი ცისფერი



კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდი...”

როცა მოთხრობა ამაღლებულ რეგისტრშია შესრულებული, კოსმიური ხომალდიდან განიხილება ყოველდღივე, ამგვარი მინიერი ეპიზოდის შემოტანა (განსაკუთრებით „ძუძუებს გაუფრთხილდიო“) კითხვებს ბადებს. რაშია საქმე, რატომ? ერთი შეხედვით თვით მწერლისთვისაც პასუხს ითხოვს: რატომ? და რა იგრძნო ისეთი ქალის მეგობარმა და რომელმაც შორეულიდან მომდინარე, ინტუიციამ შეძრა ასე, ჩვენთვის მიუწვდომელად?“

რეზო ადამია დამაჯერებელ პასუხს აძლევს თავისივე კითხვას, წინ სწევს დედის როლს; მიიჩნევს, რომ ქალის სხეულში მზეა გადმოსული („ქვეყნიერების მანათობლის უთვალავი კეთილი ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩანისლული“).

მოთხრობაში ცალკეული კონკრეტული ადამიანების ტკივილებიცაა გადმოსული ამ სტიქიური უბედურების გამო, ნაჩვენებია ის ტკივილი, რაც მარტვილის რაიონის ერთ მთაგორიან სოფელში ტრიალებდა. დიდი და პატარა შესთხოვდა მზეს: „ბჟა სი ქუგგალე! არ დაგვივიწყო! ნუ მიგვატოვებ, ამოდი...“ აქვეა მოტანილი ერთი დაღონებული მოხუცის გოდებით ნათქვამი: ამოვა ბჟა მალე, ნუ გეშინიათ, ბაბა“. პატარა ბიჭი, რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაშია ხმამაღლა იმეორებს სიტყვებს ძველი კოლხური ლექსიდან „ბჟა დიდა რე ჩქიმი“ (მზე დედაა ჩემი).

გავიდა სამი საათი... დადგა ჟამი აუნერელი ბედნიერების... მზე ამობრწყინდა, რეალური სამოთხე გაიშალა მთელს დედამიწაზე“... მოთხრობა მრავალფეროვნად აგვიწერს მზის გამოჩენით გამოწვეულ ბედნიერებას. ყვავილთა, თუ ფრინველ-ცხოველთა სამყაროს ბედნიერ ლხინს, ადამიანთა აღტკინებას. მზის გამოჩენით გაბედნიერებული მწერალი ხმამაღლა ამბობს: მზის ამოსვლას ყოველ დღე ტაშით უნდა ვხვდებოდეთ.

მნიშვნელოვანია რეზო ადამიას განსჯა ადამიანთა მოდგმის თაობაზე: „უსასრულო სიკეთე და ბოროტება საპირისპირო განუყრელობაა. უზენაესისგან რჩეული ადამიანი თავისი ნიჭიერ-ბრძნული გონებით და მაღალი გენიით ღმერთს უახლოვდება, მაგრამ მაინც ვერ მიენევა მიუწვდომელ მარადიულს.“

მზის ამოსვლამ ცხოვრება გააგრძელა; თუმცა ის უარყოფითი, რაც ადამიანებში იყო კვლავ ხელუხლებელი დარჩა. ადამიანთა მოდგმა ვერ ეზიარა მარადიულ სიკეთეს. გულის ტკივილით აღნიშნავს მწერალიც: „...ვერც ერთი ზე ძალა ვერ შეძლებს სამყარ-



როს სრულიად გაკეთილშობილებას, ეს კი მარადიული ტკივილ-ტრაგედიაა“. იგი ამ დებულებას ამაგრებს ეკლესიასტეს სიტყვებით: „არც ისე ჩქარა მოვა სასამართლოს დრო, რომელიც ცუდ საქმეებს გაასამართლებს, ამიტომაც ადამიანების შვილების გულებს ბოროტების ჩადენის არ ეშინიათ“. რეზო ადამია აყენებს პარადიგმას მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია სამყაროს სიკეთე. იგი მზესაც ღვთის ქმნილად მიიჩნევს. „რელიგია ზეგონებაა-აღნიშნავს ავტორი, სამყაროსეული აზროვნებაა და დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების წმინდათა-წმინდა ზნეობის მარეგულირებელია... ათი მცნება ხომ კაცობრიობის ყველა კანონზე მაღალთმაღალი მარადისობის წესდებაა, მთლიანად წლებს რომ გადასწვდება მისი შეუფასებელი უფლისმიერი მადლი.“

მოთხრობა „მზე“ ნაპირგადალახული ფანტაზიითა და მაღალი მწერლური ოსტატობით ფართოდ ანიჭებს მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას. გონივრულადაა შემოტანილი ცალკეული ეპიზოდების დასაწყისში მსოფლიო კორიფეების – მეცნიერთან, მწერალთა და სხვა ბრძნული აზრები.

რეზო ადამიამ მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური რომანის „მზის“ შექმნით ჭეშმარიტ, ამასთან ძალზედ საინტერესო ლიტერატურას აზიარა მკითხველი. მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ უპირველესად არკვევ ავტორის დამოკიდებულებას კოსმიური მოვლენებისადმი; მზისადმი ნეტარებითი სიყვარული ამოძრავებს მას და ამასთან მიიჩნევს, რომ ის ზე ძალა, რომელსაც შესტრფის იგი. თითქოს იმეორებს:

„ბჟა დიდა რე ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი...“

ყოველივე აქედან გამომდინარე, სრულიად ნათლად გასაგებია რეზო ადამიას შეთხონა ადამიანთა მიმართ. გამოიჩინონ კოსმიურ-ზნეობრივ-ადამიანური დამოკიდებულება და აუგად არ მოიხსენიონ პლანეტის უძველესი ხალხების – შუმერების, ხეთების, ქალდეველების, სპარსელების, ეგვიპტელების... მზიური მადლი.

ვუსურვებ მრავალ წარმტებას შესანიშნავ მწერალსა და მხატვარს რეზო ადამიას: რომანს „მზე“ კი მწვანე გზას ხალხის გულებისაკენ.

*აკადემიკოსი
როინ მეტრეველი*



წარმოსახვილიან აღქმული სამყარო

მზე ქართველი მწერლების უსაყვარლესი მნათობია და პოეტებსა და პროზაიკოსებს უამრავი ქებათა ქება აღუვლენიათ მისთვის. ავტორების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ მხოლოდ რეზო ადამიას შეეძლო ასე ვთქვა: „მზელმერთი ჭეშმარიტებაზეც კი განუზომელი სიმაღლითაა დიდი“.

რომანის სიუჟეტი მეტად ორიგინალურია – მზე ამოსვლას სამი საათით დააგვიანებს. მწერალი სწორედ ამ გაუგონარი მოვლენის ირგვლივ შლის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ განსჯებს, სადაც სიკეთესა და ბოროტებას შორის დაპირისპირება სამყაროსეულ უსასრულობაშია გადატანილი.

გარდაუვალი დალუპვის პირას მდგარი ადამიანები, თითქოს ჩადენილ ცოდვებს ინანიებენ, მაგრამ მზე ამოვა თუ არა ყველაფერს ძველებურად აგრძელებენ. მზემ კაცობრიობას საშუალება მისცა განვლილი ცხოვრებისეული გზა გაეაზრებინა, მაგრამ ჭკუის სასწავლებელმა ამ სამმა საათმა ადამიანების უმრავლესობას ვერაფერი ასწავლა. თუმცა, ყველანი მოწმენი ვხვდებით სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისა. იმ სამ საათში დედამიწაზე არანაირი ცოცხალი არსება არ დაბადებულა – ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ მზე მარადიული სიცოცხლისა და სიკეთის სათავეა.

მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური განსჯანი ნაწარმოების უმეტეს ნაწილს იკავებს, ემოციური ძალა იმდენად მაღალია, რომ მზის ამოსვლისთანავე შვევა გვეუფლება და ახლავს ვაცნობიერებთ თუ რა უდიდესი სასწაული ყოფილა ყოველ დღით მზის ხილვა.

მწერალი იმასაც ნათლად გვაგრძნობინებს, რომ მხოლოდ სარწმუნოებას ძალუძს პლანეტის და ქვეყნიერების ნაწილობრივი თუ მთლიანი ზნეკეთილი მოწესრიგება. დიდი შემოქმედის სითამამით რეზო ადამია მზეს ღმერთქმნილად აცხადებს, რომლის მეოხებითაც იშვა ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობა. იმ სამი საათის განმავლობაში გაიზარა მრავალი შენობის კედელი, მხოლოდ ეკლესია-მონასტრები გადაურჩნენ ამ რისხვას.

მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციები ეთაყვანებოდნენ მზეს, ნაწარმოებში ეს არქაულობაც კარგად იგრძნობა. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ მოექცა



მზის შესახებ არსებული უამრავი ტექსტობრივი მასალის ტყვეობაში და ორიგინალური, მხოლოდ და მხოლოდ მისი ხელნაწერით გაჯერებული რომანი დაწერა.

რომანში მწერლისეულ აზრებს კიდევ უფრო სახიერს ხდის ცნობილ ადამიანთა ბრძნული გამონათქვამები, რომლებიც ორგანულად ერწყმიან ნაწარმოების საერთო ქსოვილს.

ერთი სიტყვით, კვლავ ამოდის მზე და ჩვენც, მკითხველებიც ვასრულებთ თავბრუდამხვევ მოგზაურობას ვარსკვლავეთში, მწერლის უსაზღვრო ფანტაზიის ძალით და მწერლური ოსტატობითა და ესთეტიკური ტკბობის მუხტით ასე უშუალოდ რომ განვიცადეთ. შთამბეჭდავად არიან დახატულნი ცის დასალიერს მიჩერებული ადამიანები, საიდანაც სამი საათის დაგვიანებით მზე ამოვა. დიახ, ალბათ ყოველ დილით გულის ფანცქალით უნდა დაველოდოთ მზის ამოსვლას და რეზო ადამიას მომნუსხველი სიტყვებით შევეგებოთ: „შენ, უფალო, ყოვლის გამგებელო და მზეო! ნათელსულო წყარო სიცოცხლისა და სიკეთისა!!!...“

„მზე“ იმ ყაიდის რომანია, რომლის სრულყოფილად შეფასება ერთი ნაკითხვით შეუძლებელია. აქ მხოლოდ ჩემი ცინცხალი შთაბეჭდილებები გაგიზიარეთ. დარწმუნებული ვარ, მკითხველი კიდევ არა ერთხელ და არა ორჯერ მიუბრუნდება ამ რომანს და ყოველ ჯერზე მოხიბლული დარჩება ჭეშმარიტ ლიტერატურასთან ზიარებით და ახლის აღმოჩენის სიხარულით. და კიდევ ერთი, ამიერიდან, როდესაც მზეს შევხედავთ, აუცილებლად გაგვახსენდება რეზო ადამიანს ბრწყინვალე რომანი „მზე“.

მწერალი.
ჟურნალი „ოლეს“ მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი



ეჭე



გონებაში უწვდომელი და იდუმალი სამყაროს ფანტასტიური სისტემათა უცნაურობებით სავსე ნებისმიერ ეჭვებზემყრელ კრიტიკულ მოვლენათა შემთხვევაში, ჩემგან მოთხრობილი კოსმოსური სხეულების მოძრაობის აზრთამშლელი, ეს შედარებით დაუჯერებელი პლანეტათა მოძრაობის ციკლი ლეგენდაა თუ სინამდვილე, ვფიქრობ, რომ ამ ნაწარმოების უჩვეულო ლიტერატურულ სივრცობრივ სხეულში ზოგადვარსკვლავეთური მიახლოებითი რეალობაც უსათუოდ მოიხილვება. მოუსყიდავი ჭეშმარიტება ხომ სამყაროს განუზომელი კანონია, უფლისმიერი. ქვეყნიერების ნაწილობრივ ცნობადი ინტუიციური ჯერ არნახული და არგაგონილი წარმოსახვითი ღრმად დამუხტული ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ პლანეტარიუმის გამაოგნებელი და შიშის აღმძვრელი შემთხვევა მომხდარა. კერძოდ, ჩვენი მზის სისტემის უმძიმესი მოვლენის, ახალი წელთაღრიცხვის რომელიღაც მონაკვეთში, რის შესასწავლად ფიზიკოს-ასტრონომმა სწავლულებმა დიდი კვლევა-ძიება ჩაატარეს და ამ ურთულეს თემას მრავალი ახალი კოსმოლოგიური თეორიაც დაუკავშირეს, მაგრამ ვერც ერთ ასტროლოგიურ ფანტაზიაშიც, წარმოსახვით თუ მეცნიერულ მიგნებაში სრული პასუხი ვერა და ვერ იპოვეს.

„ბედისწება, ჟინი – აი, ზა მანთაჲს სამყაროს“ (ლაროშფუკო).

უნაკლო სიმართლეა.

მათგან ზოგიერთ უმთავრესს დავასახელებდი. ზეციური, მარად აღუვსებელი მეხსიერებითი უხილავი განძთა საცავების სავსეობის სივრცე: შორეულ ციურ სხეულებშია გამავალი მრავალმხრივ მგრძნობიარე ჰარმონიული ურთულეს აზრთა მოქმედების ველი და მიუწვდომელ-შეუცნობადი უმდიდრესი ბრძნული შემოქმედებითი ღია ფონდები, რომლებიც ჩვენეული ინტუიციით უხილავობაში ბუნდოვნად ილანდებოდა, მათგან ჩასახული არარეალურ ფორმათა მეოხებით და ადამიანის სიბრძნის უსაზ-



ღვრო ხედვა შეგრძნებითი მიახლოებითი ვარიაციებით. განსჯის და სულის შემოქმედებითი ურთულესი მუზა ფანტაზია, ინსტინქტის და წარმოსახვების, მიუნვდომელი უსასრულო პლანეტებსშუა გალერეებშიც კი ვერ აღმოაჩინეს, ხოლო ქვეყნიური უფლის უკიდევანო ღვთიური კეთილი სახე ფორმა და სიდიადე ხომ ოცნებითაც მიუნვდომელია. მაშინ ვარსკვლავეთური სინამდვილე ჩვენი გალაქტიკის სიღრმეებში ისევ ასტრონომიულ-ფილოსოფიურ და ასტროლოგიურ წარმოსახვითი მეცნიერული გზებით უნდა ვეძიოთ და შესაძლებელია, ჩვენი მზის სისტემის დიდი მოვლენის მთავარი მიზეზ-რეალობის მნიშვნელოვან სახე-ფორმასაც მივაკვლიოთ...

„ქვეყანა აზის ღმერთის შეცოდება“ (ჰეგელი).

მოყოლებული შორეული უხსოვარი დროიდან, უსათუოდ, ქვეყნიერების უთავბოლო საშოდან იზადება ახლობუნებრივი თუ იმქვეყნიური ურთულესი და უმძიმესი საოცრება, ცხოვრებისეული, ყოველგვარი უმცირესი ატომგულური მოვლენაც კი...

ახლოს გავაცნობიეროთ სამყაროს მრავალთაგან რამდენიმე საოცრება: მზე, უფალი, მთვარე, ვარსკვლავები – მინა, წყალი, ცეცხლი, ჟანგბადი, საშო, კვერცხი, სპერმა, სიკვდილი – ბნელი, ეშმაკი. მათგან სიცოცხლე და გენია!..

„აზვ მზესა და აზვ სიკვდილს ბიზდაბიზ აზ უნდა უცქიბო“ (ლაროშფუკო).

უთუოდ ბუნებრივი ჭეშმარიტებაა...

ამ ურთულესი ვარსკვლავეთის იშვიათი შემთხვევათა დასაწერად კალამი ამაღებინა ჩემმა იდუმალმა თავისთავად ზესიღრმეების წარმოსახვებმა, დიდ მოვლენათა ცნობისმოყვარეობამ, მშობლიური გალაქტიკის ანდრიმედეს, უსაზღვრო სიყვარულმა და მისადმი თამამმა ინსტინქტ-ფანტაზიამ, შემოქმედებითმა ჟინმა, გამბედაობამ და დაუდგენელმა შინაგანმა სულამშლელმა ფორიაქ-გრძნობებმა...

თუ შემეკითხებიან, სად ისწავლეთ ან როგორ მოგდით ამდაგვარი აზრებიო, დაახლოებითი პასუხი ასეთი იქნება: ჩემს მიერ განცდილმა და ნაგრძნობმა მზისფერმა სივრცემ თანმდევემა, გარკვეულმა ცოდნამ და, უთუოდ, ღვთიურმა მხატვრობა-ფერთნერამ, რათა უხილავ და ხილულ უკიდევანო გარემოსეულ ფერებშია გასაიდუმლოებული, ზეციური და მიწიერი ყოველი ურთულესი ნიუანსურ მოძრაობათა მოვლენები: სულიერი, გულითადი, გონებრივ-ფიზიკური და მატერიალისტური, იდეალისტური თუ კუბისტურ აბსტრაქტულ-სიურეალისტური და გიპერრეალისტური, რომელნიც



შემოქმედებითი სრული მეცნიერებაა: სამყაროს ზემოვლენათა ხილული თუ უხილავობა ხომ ფერთა განუყრელობითი ნახევარტონალური ურთიერთშეთანხმებითი დამოკიდებულებაა, რომლებიც ისევ შორეულ გრძნობელობით წარმოსახვებშია მოქცეული. ამ ფორმის ქმედებიდან მომდინარეობს ჩემეული ხილვები და აგრე ღრმად აღტყინებული განცდები...

აქვე მოგახსენებთ: ხელოვნების მარადიულ სივრცეში, აღმსარებლობისა არ იყოს, გამოსატვის სიახლემიმდევრობებით გვეგზავნება. საუკუნეების და მათივე მეხოტბე მზით ქმნილი გენიებით სახიერდება უკუ-უკვდავებით...

უცვლელმა, საიდუმლოებებით მოცულმა ალიონის უფალ-მანათობლის ამოსვლის წინამორბედმა ცივი ჰაერის დაწმენდილმა გამაფრთხილებელმა ტალღამ შეატორტმანა ბუნება, (განსაკუთრებით ძველისძველმა კოლხურმა ხის ფიცრულმა და ჩუქურთმიანმა ოდებმა იგრძნეს), მაგრამ, სამწუხაროდ, მზის ამოსვლამ შემადრწუნებლად სამი საათით დაიგვიანა და ჩვენს პლანეტაზე მოულოდნელი უბედურება ყინულშეპარული დაბინდული ცის მსგავსი უხილავ ბნელ სივრცედ განეგრცო. წარმოუდგენელმა ასტრონომიულმა ყოვლის მომშლელმა მოვლენამ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა და სულიერად დააავადმყოფა. პლანეტის მეორე მხარეს, ამერიკის და ავსტრალიის კონტინენტებზე კი მზემ და მთვარემ ამ დროითვე ჩასვლა-ამოსვლა შეაჩერა და იქაც სიკვდილიანობასთან ერთად, დაუდგენელი ფსიქიური ქმედებით და უკიდურესი გაკვირვებით შეძრული უამრავი ადამიანი ნერვიულად მოშალა... აფრიკის კონტინენტმა, პირველად გულის გამანვრილებელი ზესივრცობრივი გაბმული კივილი იგრძნო; დიდი და პატარა, ადამიანები, ცხოველები. ფრინველები თუ თევზები ერთმანეთს მიჩერებიან, ეტყობა მზის სხივებით გაჟღენთილი მინა ისევ კვებავდა მათ...

ჩრდილოეთის ქვეყნებში კი სრულიად განსხვავებულად შეიგრძნეს მზის სისტემის უმძიესი მოვლენა და ყოველივე, ყველაფერი და სულდაგმულნი ერთიანად გათეთრდა, ირგვლივ უძრაობამ და გაურკვეველმა დუმილმა დაისადგურა. ეს რა ხდებაო, გაისმოდა ყველგან...

„სულიერი სიმშვიდე საუკეთესო გამოსავალია უბედურების დროს“ (მაკციუსი).

უფრო ღვთიური დარიგება არ არსებობს...

მარადისობის ასტრონომიულ-მეცნიერულად შეუსწავლელი უმდიდრესი განძ-



სიმდიდრეა სამყაროს უსასრულო სივრცე და დრო; ქვეყნიერება იმდენად მიუწვდომლობაა, პლანეტები და გალაქტიკებიც კი მასში ინთქმება; მთლიანობაში ცაზე თუ ჩვენს ირგვლივ უთვალავ საოცრებათა უხილავ და უმცირეს ელემენტთა სავსეობაა. უთუოდ ზემთაგონებითი წარმოსახვებით უნდა ჩავნვდეთ, სამყაროების იქითაც თუ რა არსებობს: წარსულის თუ თანამედროვეობის მეცნიერები ვარაუდობენ გამოუცნობი გაგრძელება რომ არის ვარსკვლავთური და მათგან განუზომელი სივრცის იდუმალებაა. მაშინ ყოველივე უფალივით უკიდევანო და დაუსაბამო ყოფილა. ზოგიერთ თანამედროვე ასტრონომ სწავლულთა კვლევა კი სრულ ჭეშმარიტებას აცდენილია და მათი ვარაუდ-შემეცნება ქრება და რეალურ მტკიცებულებათა უაზრო სიცარიელეს ერწყმის. კაცობრიობის გონებას მარადის არ ასვენებს იმ მიუწვდომელი ყველაფრის მიღმა, მაინც რაღაა?! ესე იგი უთვალავ სისტემათა დაბოლოება არ არის და პლანეტათა უსასრულო აურაცხელობაა. აღელვებულთ გვაფიქრებს, რომ არც სივრცობრივი ფორმა „მიღმა“, არ არსებულა და ვარსკვლავთური სავსეობის განვრცობაა უსასრულოდ... მაშინ ამდაგვარი ფორმით გამხელილი მზის სისტემის უკიდურესი და უცნაური მოვლენა ძალიან ნუ აღვაშფოთებთ: თუმცა დედამინისა და უახლოეს პლანეტათა გარკვეული დროით ამ უმძაფრესი კოსმოსური შეფერხებების შემთხვევამ ადამიანებში და ყველა ცოცხალ არსებაშიც, უამრავი კეთილი და ავი ფარული ხასიათი გამოააშკარავა. იშვიათი და უმძიმესი გაჭირვებისას თუ უბედურების მოლოდინში თავს იჩენს თურმე მკვეთრი სიკეთისა და უკეთურობის რეალური ხასიათ-ქმედებანი.

„ყველა დაბადება სიკვდილითაა გამოსყიდული, ყველა ბედნიერება – უბედურებით“ (ავრელიუსი).

მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს გაოგნებული, ლანდად ქცეული და ჯვარადმართული მორჩილი ქრისტიანები, ბუდისტები ქედს იხრიან მხატვრული მზის გამოსახულების წინაშე. გაოცებული მუსულმანები მიწას ერთხმიან. იუდეველები გოდების კედელთან, სინაგოგებთან თუ ოჯახის მყუდრო სალოცავებთან გაოგნებულნი ცრემლს ღვრიან. უკიდურესად შეძრწუნდნენ ძველისძველი წარმართები, იელოველები, უამრავი სექტანტები: დაიბნენ კანტიკუნტად შემორჩენილი უხსოვარდროინდელი მზის თაყვანისმცემლებიც. მრავალი უძველესი ცეცხლთაყვანისმცემელი და ათეისტნი კი საშინელ მიზეზდაუდგენელ მოვლენას მთავარ რელიგიათა სწავლებებს მიაწე-



რენ და უკიდურესად ადანაშაულებენ, ქვეყნის ნამშლელ-მომსპობად კი მზე არა და არ ჩანს. ჩვენმა გაჯიუტებულმა ტანსრიალა, წყლით, ჟანგბადით და წყალბადით გაჯერებულმა კეთილმყოფელმა ულამაზესმა, მომწვანო-მოცისფრო, სითბოთი, სიცოცხლით საკუთარი და მზიური ენერგიით სავსე ღრუბელთ გარემოცვის პლანეტამ მარადიული ბრუნვითი წრიული სვლა შეწყვიტა და მზის სისტემის მთავარ წესრიგს არ შეეთვისა:

უკვირდა სამყაროს და მის მმართველ უფალს, რა ძალათა მოფენამ შეაჩერა მარად მოძრავი პლანეტაო!..

დედამიწა ყოველგვარი ექვსგარეშე ჭეშმარიტად, თანდაყოლილი ნების პლანეტაა, უდიდესი მნათობი კეთილისა, რომელსაც ერთ წამსაც არა აქვს უფლება და საშუალება უმზეოდ არსებობისა. აქედან გამომდინარე, მის სფეროზე მცხოვრები ყოველი არსება უმტკიცესი ტყვე-მონაა სიცოცხლით, ცხოვრებით, ზნე-აზროვნებით სიკვდილით და უთვალავი სხვა მიწიერ-ზეციური თვისებებითაც, მაგრამ...

თუმცა მზე ემორჩილება სამყაროს თავისთავად კოსმოსურ აზროვნებას და მის უფლისმიერ კანონ-ფუნქციებს, მაინც, უზარმაზარი ენერგია დამოუკიდებლობისაა. ბევრად დიდი და მცირე პლანეტები მასთან სრული მორჩილების ქვეშ არიან. წარმოუდგენელიცაა, ადამიანები ხომ ვერ გაექცევიან ამ სისტემის მაგნიტური ძალა, მიზიდულობის კანონ-წესრიგს. მხეცები, ცხოველები, ფრინველები, თევზები და მცენარეები თითქოსდა შედარებით თავისუფლები არიან, მაგრამ არა! მოჩვენებითობაა მათი ბუნებრივი აწყვეტილი ველურობა, ყველა მათგანი მკაცრად დამოკიდებულ-შენიშნულია დიდ ზეციურ ძალებზე. ამ დროს, რა პატარაა დედამიწა, ჩვენს წარმოდგენებთან შედარებით...

ურთულეს მდგომარეობას ღრმად თუ ჩავუფიქრდებით, სრულიად თავისუფალნი გარდაცვლილებიც არ არიან. ისინიც ძირფესვიანად მიჯაჭვულნი არიან მიწას და მარადიული ბატონ-მფლობელის კუთვნილებაა ურთულესი მიწიერი ფუნქციებით. შესაძლოა სიკვდილის მრავალი ფორმაც უსასრულოდ განსხვავებული იყოს, შედეგი? ყველგან ერთია, რომელიც ნულამდე დადის. მერმე ისევ იწყება მზისებრ აღდგენა... ქვეყნიერება ხომ უხილავ ჯაჭვისებრ ბადეშია გახვეული. აი, ესაა სამყაროს ურღვევი და უმკაცრესი განმგებლობა... კაცთა შორის გიგანტი მეცნიერი, მოაზროვნე, უფალთან მოსაუბრე და ზეცის-მიუწვდომელი განძთმპოვნელი აინშტაინი, მრავალი გენია,



მეფე, პრეზიდენტი, ბელადი, ხალხი და ერთ დროს უძლეველი სამართლიანი გმირებიც უკანასკნელი პატიოსანი მწირის დონეზე ჩაბარდნენ ამ მიუწვდომელ ძალა-კანონებს და ჯერჯერობით მხოლოდ აქ მყოფებმა, სანთელანთებულებმა უნდა ვილოცოთ მათ-ზე... ხშირად გვაფიქრებს გარდაცვალება უზარმაზარი სევდაა დროით და სივრცით დანისლული – მძიმე, შავფერებსავსე უცნაური რომანტიზმით და კოსმოსური მრავალფეროვანი იდუმალებით.


„სიკვდილი ერთ ზომილიმე საუკუნეში ყველა სხვა საუკუნეში სიტატცხლის საწინდარია“ (ჯორდანო ბრუნო).

უცნაური მცნებაა, არამინიერი... მართალი...

ყველა და ყოველივე გადაბმულად ემორჩილება მიუკარება უსაზღვრო და უზარმაზარი სამყაროს სივრცობრივ ძალებს, მაგრამ შეგვეკითხებიან, – დრო, სამყარო და უსასრულობა ვის ემორჩილებაო? ჩვენ ვპასუხობთ: – ღმერთს. უფალი კი ვის უწევს ანგარიშს? (ამდაგვარი კითხვა გაუკვირდებათ ღრმად მორწმუნეებს, მაგრამ) აქ ხომ ქვეყნიერების მიუწვდომლობის ურთულესი ფენომენია შენახული, მაშინ გამოდის, რომ უკიდევანო ზეძალათა გავლენებია – გავაგრძელოთ ფიქრი, რომ სივრცის მრავალწევრ-ელემენტთა უსასრულობა და აღუვსებლობა ბოლომდე შეუსწავლელი ცნებაა... ამ ძალიან გაბედულსა და კრიტიკულ შემთხვევაში ძალაუნებურად უნდა შეჩერდეს რელიგიური ადამიანის აზროვნება, რათა არ დაირღვეს გულმართალი რწმენის უმაღლესი ეთიკა და მერმის განსაჭვრეტავად მომავლის ათასწლეულებს გადავაბაროთ... საკვირველია, მაგრამ რატომღაც ცივილიზაციის სწრაფ წინსვლასთან ერთად დროთა დინებაში უმეტესობა ადამიანებისა ეჩვევა ველური სარწმუნოების ანუ დამოუკიდებელი ინდივიდუალური სიახლე რწმენის წესრიგს და გარკვეულ გარემოს იქმნის, მაგრამ ისინი ქვეცნობიერად ეკლესიას თუ სხვა აღმსარებლობით მთავარ სალოცავებს ვერასოდეს განემორებებიან... რადგან ეს სასწაულებრივი უწყვეტი ჯაჭვია, არა ოქროსი, არამედ, ჩვენთვის უხილავი კოსმოგენური მიუწვდომლობის უძვირფასესი ჰაეროვანი შენაერთებისაგან, რომელიც სამყაროს გონების იდუმალებისგან არის ქმნილი.

„ბევრი რამ ხდება, ჰოტაჯით, ქვეყნად ისეთი, რაც ფილთსოფოსთ სიზმრადაც აზ მოელანდებათ“ (შექსპირი).

მოვლენათა ამოუხსნელობის ჭეშმარიტებაა, ან პირიქით.



მხატვარი მუნკი.
კივილი.



ჩემს ხანგრძლივ ცხოვრებაში, ბავშვობიდან მოყოლებული, სამჯერ მოვესწარი მზის დაბნელებას; ხოლო მშვიდი პლანეტის – მთვარისას კი ოთხჯერ, თუ არ ვცდები. რომანტიკულ-ლამეულ კოსმოსურ სხეულ-განწყობილებაზე კი შემდგომ ცალკე მოგიხსენებ. მზის დაბნელება კი ბუნების სრულიად სხვა უმკაცრესი ჯადო უმძიმესი მოვლენაა, რასაც ჭრაქის შავი ბოლისგან გაჭვარტლული მინის ნატეხით რიგრიგობით სულშეძრწუნებულნი ვაკვირდებოდით დიდი თუ პატარა. ეს იყო ყველაფრისგან ძალიან განსხვავებული, ჟრუანტიელის მომგვრელი საფიქრალ სევდიანი სანახაობა, უცხო შიში, მაგრამ... ამაღელვებელ მოულოდნელ დროს, დაბინდულ გონგანწყობილებიან სულის ამღვრევე-ამშლელ ნერვიულობასთან ერთად უკიდურესი გაურკვეველი ცნობისმოყვარეობაა შენს წინაშე და ზეციური მძაფრი საიდუმლოება წუთი-წუთზე ვრცელდება. ამდაგვარი სიღრმისეული ურთულესი მოვლენით აშლილი გარემოცხოვრება მაინც ასრულებს თავის ჩვეულ წეს-ფუნქციებს და უვნებლად გადაივლის საერთოქვეყნიური ამღვრეული ფიქრთმომგვრელი ზეციური დაძაბულობა. იმ მოვლენილ შემთხვევაში პლანეტებსშუა და ჩვენს ირგვლივ ბუნების სიახლოვეს უსაზღვროდ განსხვავებული მუხტმძაფრი მოძრაობა მატულობს და გარემო დაუდგენელი მოლოდინით სავსე, სევდით საკვირველშეყრილი ფორიაქ-რომანტიკული ხდება და ამ შემთხვევაში პიროვნება სხვამხრივ უფრო არამინიერად აზროვნებს.

არსებობს თურმე ვარსკვლავეთური მრავალგანწყობილებიანი ფიქრ-ქმედებანი. სადღაც დაბეჩავებული და ფუნქციამოშლილი მთვარე, თავისი უჩვეულო სვლით შეძრწუნებული და გაფერმკრთალებული, ამღვრეულ ფერებშელახულ სივრცეში იმალება, რადგან ჩვენი გალაქტიკის – ირმის ნახტომის ერთ-ერთ გვირგვინოსან მეფე დედოფალმანათობელს კოსმოსურ, ღრმად გამჭვირვალე ბინდმოცულ ჩრდილს აყენებს. მაგრამ გაივლის უკვე ჩვენს ირგვლივ გამძაფრებული პლანეტარიუმის დრო-წუთები და აღმოჩნდება, რომ ის უხერხული მოძრაობისაგან მისივე თავის ხსნა ყოფილა... მზე კი თითქოსდა გამოთავისუფლდება უახლოესი თანამგზავრისგან და შვებით აწყვეტილი კვლავინდებურად წინ მისხივოსნებს (დედამინა-მთვარის ფუნქციათა მოშლა-არევაა ამ წუთებში, თუ არა მზეს ვინ და რა შეხებია როდისმე)...

ჭეშმარიტად დამნახველი თვალი ცაში უკვე შეიგრძნობს, რომ დაიშალ-გაიფანტა სივრცის ფორმა-ფერთა გადაადგილებადი დაძაბულობა და ქვეყნის ნათელი ოპტი-



მისტური განწყობილება ისევ აღდგა-დამკვიდრდა... მზელმერთი, ყოვლისმომცველ, ამდაგვარ დიდებით შედარებას თუ მოვიშველიებთ: ყოველგვარ აღმსარებლობაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე, შიშზე, ოცნებაზე, ფანტაზიაზე, წარმოსახვაზე, უმდიდრეს წარსულზე, ანწყობზე, მომავალზე, წმიდა ზნეობაზე, ჭეშმარიტებაზე, მოციქულებზე, წმიდანებზე, გენიებზე, ყველაფერზე და ყოველთა და თუ კიდევ რამეა ქვეყნად მნიშვნელოვანი – ჩვენგან შემჩნეულ-შეუმჩნეველი, ნებისმიერზე განუზომელი სიმაღლითაა დიდი. იმდენად ამაღლებული ძალა და კეთილშობილებაა, რომ მისი უკლებლივ ყველას ესმის და მორჩილმსახურია უანგარო. კრიტიკა და უმადურობა მის ირგვლივ არ არსებობს, სხვისი ნებისმიერისა კი მას არ ესმის, ანდა რატომ უნდა ესმოდეს? ის ხომ გამუდმებით ყველაფერს ზომაზე მეტად გზავნის. და დაუდგენელი ყოვლისმომცველი შეუვალე ენერჯისაა, მისგან ვერც მეტს მოითხოვ და არც ნაკლებს. ყოველგვარი თხოვნა მზესთან ფუჭია... საერთოდ სმენის ორგანო მას არ გააჩნია, საკვირველი და გაცდების აღმძვრელია, აბა რაა?!

მოუსვენარი უფლის ზეძალაჩაქსოვილი, განუსაზღვრელად აფრქვევს სიცოცხლის სხივს სამყაროს სივრცეგარეშოში. თვითვე ღმერთად ქმნილი, უთუოდ რომ მისი მეოხებით იშვა ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობა. დედამინა ახალდაბადებული ბავშვივით უმწნოა, კეთილ და უზენაეს გავლენით გარემოცვაში.

მომავალ ათასწლეულში, როგორც პლანეტებზე შეყვარებული და ცნობისმოყვარე კოლხი ხელოვანი, ქვეცნობიერად ვგრძნობ, სამყაროთა შორეულში ვარსკვლავთა სხივებივით ჯერ მოუღწეველი, სრულიად გაურკვეველი მრავალ რელიგიათა ზეცათაზროვნული სიახლეა კოსმოსში, ან იბადებიან. უთუოდ რომ მომავლის განუსაზღვრელ დროშიც ჩაისახებიან... მზე! სამყაროს ის ცეცხლოვანი ლაბორატორიაა, რისგან დადებითი და განსხვავებული ელემენტებიც გამოიყოფიან. მათგან საოცრებაა სიცოცხლე და ყოველთა მკურნალი სითბო: უფრო კი საკვირველია ის მიუწვდომელი არეალი, სადაც ღმერთების შობაა...

მზეს ვერაფერს ვერ ვთხოვთ და ვერც დავავალებთ, იმდენად მიუწვდომელი ზე-გიგანტური სიდიადის და სიკეთის უხვგამცემი ზნეკეთილი სხივთა გენიაა პლანეტარიუმისა. სამყაროს ნებისმიერი წვა-აფეთქების ერთი და მხოლოდ მთლიანი უზარმაზარი კაშკაშა გარემოა, ზეძალა – მზიური სიყვარულია დაუსრულებელი – ყოველთა მიმხედვარი...



ყოვლადსაკვირველი და გამოგნებელია, ვარსკვლავეთის უდიადესი შემოქმედებითი მოძრაობა, რომელიც უზომო სიკეთის და სიყვარულის ფონზეა განფენილი; ხოლო ბოროტება ამ გარემოებაში როგორ იწარჩუნებს თავის თავხედურ ფუნქციებს და ქმედებას, ეს კი საკითხავია. ეშმაკი ხომ ყველგან ლაჩრულად იპარება და ხშირად თავისას აღწევს. ჩვენს წინაშეა უტყუარი ფაქტები. ოდითგანვე კაცობრიობის ისტორიაში ომები ხომ ბოროტების ეშმაკეულმა ბელადებმა წოდებულებმა აწარმოეს. უკეთური ხომ ყველგანაა მეტ-ნაკლებად. რომის პაპებიდან ყველაზე პატიოსანი და წმინდა პაპი ინოკენტი X გახლდათ, რომელსაც მხოლოდ ოთხი საყვარელი ქალი ჰყავდა. რამდენი ფარული უხამსობაც იმალება მართლმადიდებელთა უზარმაზარ უბეში. ერთხელ ჩემს სახელოსნოში მაცხოვრის ხატზე ვმუშაობ და რადიოც დაბალ ხმაზე მაქვს ჩართული, ზოგადად ვუსმენ. ერთ-ერთი მღვდელმთავარი სიტყვით გამოდის და აცხადებს, ალექსანდრე მაკედონელი დიდი ადამიანი იყო. კინალამ ჭკუიდან შევიშალე. როგორ?! სისხლისმსმელი, დამპყრობი, ულამაზესი ქალაქების, თავისი უნიკალური ხუროთმოძღვრული ხელოვნებით, კულტურა-ცივილიზაციით, მინასთან გამსწორებელი, მამათმავალი – დიდი ადამიანი?! რითი და საიდან იყო-მეთქი! და რადიო გამოვრთე. აიღე მეგობრებო, მაინც კვერს ვუკრავთ ეშმაკს. ეს უკვე გარკვეული დონის ცოდვილიანობაა. თუმცა რა უნდა ვთქვათ, ვინც დედამინაზე დაიბადა და ფეხით გაიარა, ყველა საკმაოდ ცოდვის მატარებელია, უფალ იესო ქრისტეს და მსოფლიოს სხვა აღმსარებლობათა მესაჭეების გარდა... ადამიანი მაინც უცხო ღვარძლით იცავს თავის მარად მოუშორებელ სატანურ თანდაყოლილობას. ვაიდა ჩვენ ჩუმად შევეწიროთ მალალ ცას...


„თმიდან გამაზღვრებით მობზუნებულ ჯაჭვს ძაძვით უნდა შევეგებოთ“. ლაო ძის ეს უფლისეული შეგონება რომ არ მომეშველია უარყოფითი სხივ ვარსკვლავებიანები მუბლშეკრულნი დამამხობდნენ და გილიოტინის გზას გამანესებდნენ.

უთუოდ გახლავთ ზეციური ურთულესი არქეოლოგია. მიწიერად რომ ვთქვათ, უსასრულო სივრცის უხილავი მარადიული და ჰაეროვანი სიბრძნისეული სიმდიდრე სამარხები, რომლებიც უმისამართოდ დაფარფატებენ. ამ დიდ შემოქმედებით განძეულობებს გამორჩეულ ნიჭიერთა წარმოსახვებით აღმოვაჩინთ. სინამდვილეა გვყავდა სამაგალითო უძველესი ისტორიის და დაკარგული ცივილიზაციების მიწიერი არ-



ქეოლოგები, დიდი შლიმანიდან მოყოლებული, იყო, გვყავს და გვეყოლება ჰაეროვან წარმოსახვათა მეცნიერების გენიებიც, რომელნიც შორეულ ურთულეს მეხსიერებას მოიხილვებენ და აღგვიწერენ. მათგან გახსნილი საოცრება მიუწვდომლობა ზენაარული ანწყოთი იზომება, რომელიც წარსულის და განუზომელი მომავლის ერთობლივი ღვთიური სიმდიდრეა...

თუ ჩემი გარე სივრცობრივი და შინაგანი ინტუიციის და აზრების არ გჯერათ, მაშინ გეკითხებით და მიპასუხეთ: სად იყო დიდი ბუდა? მაღალი ალაჰი? ერთადერთი იესო, უცვლელი იუდა და იელოვა ან წარმართული ღმერთები, უამრავი თაყვანმცემლობები?!.. როცა ულამაზეს იაპონიას და მის გამორჩეულ კულტურა ცივილიზაციას ანადგურებდა ატომური ბომბები ხიროსიმაში და ნაგასაკში, ან საშინელი ცუნამი რომ დაატყდა პლანეტას, რამდენიმე ადგილას ატომური სადგურების აფეთქება და ტრაგედია; სად იყვნენ უძირო ციდან მოხმობილი წმიდა რჩეულები? თუ ვერ გაუმკლავდნენ დემონურ ვარსკვლავეთურ მიუწვდომელ გამოსხივება ჯადოს? უთუოდ რომ აგრეა. ანუ ფაშისტების წინამძღოლი რომ სპობდა უდანაშაულო და მშვიდობისმოყვარე მშრომელ ხალხს, შლიდა უძველესსა და უნიკალურ ერებს, ცივილიზაციებს და სატანურად ღვთივ ფორმა-სულიერ გენებსაც შეეხნენ. მათ შორის გახლავთ დიდი ალექსანდრე მაკედონელად წოდებული, ნიჭიერი, მაგრამ სისხლიანი ნაპოლეონი. ველური – ცინიკოსი ძველი მონღოლები. დაუფინყარი სელჯუკების გონებრივი ჭირი – ეშმაკეული მურვან ყრუ, შაჰ-აბასი, ჯალალედინი და ალა მაჰმად ხანი, სტეპეზულაპია ძუ მგლები, სკვითები. ეგვიპტელთა ვითომდა ღვთიური სვლები. დაუდგრომელი ბერძნები, რომაელები და გერმანელები. მათსავით კოლონიებზე გაუმაძღარი, თავიანთ ერზე უაზროდ შეყვარებული რამდენიმე ქვეყანა. სად იყვნენ მაშინ კეთილი ვარსკვლავები ან ზემოთ ჩამოთვლილი აღმსარებლები? მხოლოდ მიცვალებულები იყვნენ საიმედოდ დაცულნი და მიწას მიბარებულნი. ისევ ისმის კითხვა: ატომური კატასტროფა, საშინელი მასიური გამანადგურებელი ძალა და მოვლენა, მხოლოდ და მაინც იაპონიას რატომ დაატყდა? (რა თქმა უნდა, პოლიტიკური ახსნა და მიზეზი არსებობს). ჩემეული შეკითხვის პასუხი კი ჯერჯერობით არ ჩანს. ამ საშინელი ბომბის გამოგონებით ადამიანებმა (მეცნიერებმა) კოსმოსური ყველაზე მრისხანე უხილავი ძალა, ბოროტი სხივთა ფორმები ხომ არ იხმეს და დანერგეს დედამიწაზე? აი როგორ იმუშავა აქ მათმა



მზის დაბნელება.
შიშის მომგვრელია.



გენიამ და რა საშინელი გეოლოგიური ძიებები ანარმოა უკიდევანო ვარსკვლავეთში, უფრო ზეცაში. ამ შემთხვევაში მინდა, მართალი გულით მოგახსენოთ სიმართლეა კაცობრიული ხელოვნება ამას არ სჩადის, ის ყოველი მხრიდან მხოლოდ მშვენიერებას და ღრმა ახალ, მიმზიდველ აზრებს ფერ-ფორმა-ბგერებს იძიებს და შექმნილით სულიერად ზრდის ამალღებს დედამინელებს, რათა ის უფლისმიერი შემოქმედებაა რაც კეთილისმყოფელი ვარსკვლავებით ნოყიერდება... მეცნიერება კი ორი სხვადასხვა მოპირდაპირე თვისების პლანეტებით ხომ არ იმართება?.. ჩემი და სხვათა აზრთკითხვაც ასეთია...

და მაინც, გონგამჭოლი ფერად ნისლოვანი ფიქრი მანუხებს. ეჭვგარეშეა, რომ სამყაროს საიდუმლოების მეცნიერული მართალი ძიება ანალიზით და ხელოვნების მაღალი ნიჭიერებით; ლეგენდარული ატლანტიდელების, ძველი ეგვიპტელების, ანტიკური ხანის ბერძნების და კოლხების შემდგომ, ებრაელები ყოველმხრივ გამოიჩინებოდნენ...

ადამის მოდგმას მზე, დღედაღამ თავს ევლება, მაგრამ მაინც მხეცი, ველური, მტერი და მკვლელია ყოველთა და ურთიერთის მიმართ, მუდამჟამს კი ფარულიც. ვერ ჰგუობს ბოლომდე ქვეყნიურ უნმინდეს ზნე-კანონს და ნებისმიერ რელიგიას. პირველყოფილი იმდენად ძლიერია მასში, კეთილი მინიერი თუ ცივილიზაციური ვერაფერი ჩაახშობს, მხოლოდ ვარსკვლავეთს ძალუძს მოაქციოს, უპირველესად მძაფრსნეულიანმა პლანეტამ უფრო გააბოროტოს ან რომელიმე მზისებრ კეთილსავსე მნათობმა მეტად გააკეთილშობილოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრივ, ადამიანის არსება მარადიული ტანჯვის ფარული და უძლიერესი ვარსკვლავეთის სივრცობრივ წრთობაგამოცდის შეუცვლელ სასწორზეა შეგდებული...

„უზარმაზარ კუთვნილებას ცოტას თუ წაართმევ მნიშვნელოვანს“.

„ვინც ზეიმობს გამარჯვებას, ზეიმობს კაცთა კვლას; ვინც ზეიმობს კაცთა კვლას, ვერ ელიწსება ქვეყნად სიკეთეს“ (ლაო ძი).

ბრძენკაცის უჭემმარიტესი და მართალი განაჩენი.

არს ფორმა სიკვდილი, თავისი შემადგენლობით, სამყაროსავით მიუკვლეველია და, შესაძლოა, უფრო გაურკვეველი უკიდევანობაა.

ქვეყნიერების სიცოცხლის წამლეკავ ჩამქრობმა წაისაყვედურა: – მუდამ სამყა-



როთა მარად უცვლელი კანონებით ვმოქმედებ, თქვენ კი, გაბოროტებულ არსებანო, ელვისისწრაფით იმრავლებთ ჩემს ფუნქციებს, რითაც შენუხებული და ანრიალებული ვარო! როგორც ღმერთი, მზე-მთვარე, ვარსკვლავები და ეშმაკია ყველგან; ასევე მეც, ნებისმიერ მოულოდნელ ადგილზეც ვარ. რომ არა სასწაულებრივი განვრცობა, როგორი სიჩქარის მფლობელი უნდა ვყოფილიყავი, წარმოდგენაც შეუძლებელია...

ამ ნაწარმოებიდან დატრიალებული სასწაულებრივი პლანეტარიუმის მართლწესრიგის დარღვევის უკიდურესობა სამყაროს ჟამთაღრიცხვის დაუდგენელ წლებში ერთხელ ხდება თურმე და როგორც მოგახსენეთ არავინ იცის რატომ ან რისი და რომელი ზეციური მიზეზებით. შესაძლებელია, მოქმედებათა ერთადერთმა მოვლენამ ადამიანებს გონება გაგვიხსნა და სამყაროს უკიდურესობაში, შეძლებისდაგვარად ჩაგვახედა... ჯვარცმამ მოაზროვნე გონება ათასეული წლებით წინ გაახედა და ზნეობა გაულრმავა... ქვეყნიერების გაჩენის შესწავლა ხომ მეცნიერული ცნებითი ძიების გონებრივი უსასრულობაა და შიშისმომგვრელი. როგორცაა ვარსკვლავეთის დემონური შავი ხვრელები, პლანეტათა შემსრუტველი თუ გამქრობი – სამყაროს გასაიდუმლოებული ჯოჯოხეთური დილეგი. გალაქტიკათა მრისხანე მუქარა, მის გაღმა აღდგენითობა (საერთოდ არსებობს მისი დასასრული? ისიც საკითხავია!) თუ ჩაფერფლვა დაუდგენელია და დედამიწის ნებისმიერი ფორმა გონით მიუწვდომელი... უზარმაზარ ნათელ-ბნელოვან სამყაროში, ცალკე მისაიდუმლოებული შავი კოსმოსური ფორმა ხომ არაა?... ყოველივე ეს ისევე უცხო და უცნობია, როგორც პლანეტათგაჩენა, მათი სასწაულებითი შემადგენლობა, ზნე-წესი და ურთულესი მთლიანობის მისეული ქმედება. აქვე გახსენდება სული ჩვენთვის უახლოესი და თითქმის დამოუკიდებელი მმართველი, მისი მდიდარი რაობით. ის ხომ დაუდგენელი ბუნებით თითქმის პლანეტების შინაგან თვისებათა შემადგენლობაშია გათანაბრებული, ოღონდ მეორე, მიუწვდომელ ცალკე უხილავ სამყაროში... ისეთივე, როგორც ყოველთ უკიდურესობა, თავისი უხილავი აზრთშეუსვლელიობით, ქვეყნიური უძირო არეალით და ბინდმოსილი მერმისით, მსგავსად ჩანისლული, სამარადისოდ სიბნელეშეხვეული საფლავებისა, უკუნეთში ჩაკეტილი თავისი განკერძოებულობით, თითქოსდა ჩვენგან და ერთმანეთისგანაც გაქრობილნი... ბოლომდე რელიგიას და მეცნიერებასაც ვერ დაუდგენია სულის უფალთან დამოკიდებულება: ის თვითმყოფადად მოძრაობს თუ ღმერთის კანონ-ჩვევებით. ალბათ საფლავე-



ბი, მინიმუმებითი მფლობელობით სიკვდილ-სიცოცხლის უსასრულობის და უხილაობის ძვალნაცრისფერი, მინისქვეშეთურ-ზედაპირული ხიდია, რომელიც ჩვენს პლანეტაზეა ჩაქსოვილი. ხოლო თავად მინის ქმედება ამ შემთხვევაში მაღალი ფუნქციონირებითი იდუმალ-პლანეტებისეულია, გონებისთვის მიუწვდომელია, ცოცხალთ სულთა ურთიერთობა იმქვეყნად გარდასულებთან... მგონი, ჯერჯერობით დაუდგენელია ცოცხალთა და მიცვალებულთა სულთა რაობა და როგორი განსხვავებაა მათში...

მოვედით უსასრულობიდან, გავიარეთ მინიერი ცხოვრების მრავალფეროვანი ფენომენი და გავდივართ ისევ მარადიულობაში. ამგვარ დაუსრულებელ ბრუნშია ყოველი პიროვნება: ხოლო ჩვენი პირველი გაჩენა-არსებობა სამყაროს უკიდევანო სივრცეში, მარად შეუსწავლელია.

არეულნირშეცვლილი ნუთი ნუთს ნაკიდებია, დრო და სივრცე შედრუნდა, ძლიერ დაძაბულია სიბნელის ძირამდე, მუქხაზებიანი, მძაფრდინამიურია და უდიდესსევდიანი ხვეულ-ხაზებიანი აბსტრაქცია იხატება ყველგან. შუქმა, სიბნელემ, ჩრდილებმა, მოძრაობა შეწყვიტეს, სულთა მხუთავი უძრაობა დაეუფლა სივრცეს და, დრო მოკვდა...

უხილაობის სამარისფერ სივრცეში გეპარდმა გაიელვა და ცისფერი ტეხილი ხაზი დატოვა...

უჩვეულოდ შეკუმშული ბნელი და ტანჯული სივრცე უცხოდ იძაბება. კეთილი მზე არ ამოდის და ავის მომასწავებელი უკუნეთი თითქოს უფრო და უფრო მატულობს, ირგვლივ უხილაობის იდუმალი ფორმა-ფერთ ბგერათა უმძიმესი ფუნქციაა ჯერ არნახული, არგაგონილი. პირველად ხილული მუქი ლურჯი ლაქები და ჯოჯოხეთური ღამეულ შინდისფერი განწყობილება განევრცო ქვეყნის კიდიდან კიდემდე. ფიქრთ მიუკარება მოლოდინი მოედო ყოველთა მაცოცხლებლისგან მიტოვებულ მინაზე და იხოცებ-ავადდება ხალხი მძიმე ინფარქტებით, შეპარული ინსულტით, გულის, ტვინისა და ფილტვების უკმარისობით, ნევროზით – კრუნჩხვითი გათიშვებით და დაუდგენელი ფსიქიური სტრესებით. ბევრნი ძლეულ უძღურნი, სიკვდილს უხმობენ სევდის მომგვრელი თხოვნით.

ამ საერთო მწუხარებაზე, სიკვდილსაც ცრემლი მოადგა – ჩამოუვარდა და რასაც დაეცა, სული განუტევა ან გახმა. ცხოველებმაც ტანჯვითი მიძინება იწყეს. გაისმა ძალღების შემზარავი გნიასი, აუტანელი წრიალი, ნკავნკავი, ვედრებითი ყეფა ცისკენ



მიშვერილი – თვალცრემლიანი სახით. ცხენები უჟმურად ძიგძიგებენ და შეუნყვეტლივ თავს აკანტურებენ. ვირები თვალცრემლიანნი სდუმან. განწირულის ხმით ბლავის ჯერ კიდევ ზოგიერთი ცოცხალი საქონელი, თვალეზანთეხული უზარმაზარი შავი კამეჩები გამუდმებით უხმობენ თავიანთ მხსნელ ნოეს. უსწრაფესი სხვადასხვა ფერის და ზომის კატები ჯგუფ-ჯგუფებად მიიმაღნენ. გადარჩენილი ღორების საშინელმა წრიალმა, ღრუტუნ-ღრიალმა აიკლო ქვეყანა. თხებს გაუთავებელი ხველება აუტყდათ. ზღარბი და თხუნელები კვნესით ამოძვრნენ მიწისქვეშეთიდან. მუქი ყავისფერი მორიელები ბუდეებიდან ნერვიულად მოჩოჩავენ და ქაოსურად დალოდავენ, შხამიან გრძელ, დახორკლილ კუდებს თავში ირტყამენ და იხოცებიან. მხოლოდ გველთა არა-ამქვეყნიური შინაგანი ლოდინი, ოდნავ რხევადი ტანის უძრაობა უნამნამო-ჩაუხედავი უმზეო თვალების გარინდვა და პირმოკუმული დუმილია გაურკვეველ-მიუნვდომელი.

მოუსვენარმა, ფეხებდაბარჯლულმა, მოყავისფრო-მოყვითალო ჭიანჭველებმა შეწყვიტეს ხანგრძლივი შრომა-ფუსფუსი, თითქოსდა მათი აურაცხელწვერიანი ოჯახები მწარედ დადუმდნენ... მიწისძვრასავით შეზარა ქვეყანა ჯგუფად შეყრილი, შავ-ვერცხლისფერებში ჯაგარაბურძენული მგლების გაბმულმა ყმუილმა; ფუტკრები არ გამოჩენილან, ზღვის, ტბისა და მდინარეების აფორიაქებული თევზები ხმელეთს ასკდებიან, ზოგნი შურდულივით წყლიდან ამოვარდნილნი, აღმოსავლეთს წინკნა თვალს შეავლებენ და, გულნაკლულნი, ცისფერი ისარივით წყალშივე ჩაეშვებიან. მცენარეთა ფოთლებმა მოწყენილობა და ჭკნობა იწყეს. ულამაზესმა სხვადასხვა ფერ-ფორმის ვარდებმა სიხასხასე-სურნელი დაკარგეს და თავები საცოდავად დახარეს. მინდვრის ყვავილებს ცრემლდენა დაენყოთ და განწირულები მდელიოზე კვნესით განვნენ. ფრინველთა ცაზე, ნერვიულად მიმოფანტული ჯგუფები წიოკით მზის შესახვედრად გაეშურნენ. კავკასიური ჯიშის ერთ დროს ხედვაგოროზი დედალ-მამალი არწივები, ციცაბო კლდოვან მწვერვალებზე ფრთებგამლილ-ჩამოშვებულნი, ბრძოლის ველზე დამარცხებული მეომრებივით დასხდნენ და მოულოდნელი მოვლენებით გაგულისებულნი და თვალანთებულნი სამზეოს აღმოსავლეთით იმზირებიან.

უთუოდ რომ არსებობს ქვეყნიერებაში აზროვნების – ინდივიდუალ-ფიქრ-ხასიათის და ზნეობრივი სხვადასხვა მნიშვნელობის ფუნქციები, ღვთიური, კოსმოსური, პლანეტების მოყვარულთა მეხსიერებითი, უხილავობის, ხელოვანთა, მეცნიერული,



ოცნებისეულ-დუმილხედვა ნატვრა და კიდევ ბევრი სხვა. თევზისეული გარინდვა რა-
ლაც ფიქრისმაგვარ-უსასრულობისმიერია. განსხვავებულია ფრინველთა ჩახედვა-გა-
ხედვა და ფრთხილი ფიქრთძახილი. ასეთ დროს, შესაძლებელია, საგნებიც თავისებუ-
რად აზროვნებენ და დუმან. ცოცხალთშორის გველი? განცალკევებული უმსგავსო და
შეუდარებელი ქვენარმავლური სიმძაფრეა. მისი ვითომდა აზრი ან ოცნებას მიმსგავ-
სებული, გარემოში გაურკვეველი მიმართულებითი თითქოსდა მწვავე ხედვა, ადამია-
ნისათვის მიახლოებითაც მიუწვდომელია. საერთოდ ის აზროვნებს? ფიქრობს? ბრა-
ზობს?.. ალბათ სხვა რაღაც არსებობს ყოვლისიქითა მისეული შორეული. გაოცებს
ამ უცნაური სულდგმულის ულამაზესი სხეულის მკაფიოდ ბუნებრივი ხატულობა,
და ხაზგასმითი დამოუკიდებელი არსებითი ლაკონიური სვლათა თვისება, რომელიც
ყველასათვის შეუცნობადია; მართლაცდა, ამ ქვენარმავალთ ხომ არ ჰყავთ ჩვენთვის
მიუწვდომელი ზეციური კერპი? რასაც მტკიცე ცხოველი ინტუიციით ემსახურებიან?
უფრო მორჩილობენ? თუ არადა, რატომ არიან აგრე უკიდურესად განყენებულნი?!
თითქოსდა დევნილი სტუმრებია ჩვენი პლანეტის. ამრიგად ეს ურთულესი არსება,
ამდენად დამოუკიდებელი და, გარემოსაგან გარიყული რომაა, ან ხომ არაა ბატონი
თავისივე თავისა? ცოცხალთა მრავალ საერთო თვისებას კი ფლობენ, მაგრამ მათი
მიუწვდომლად ყველასაგან შორსდგომა და ჩაკეტილობა საკვირველია. გამიგონია მო-
ხუც წინასწარმეტყველთაგან. ზამთრობით უკუნეთ ხვრელებში მძინარეთ, კუდიანი
ვარსკვლავები ესიზმრებათ და პლანეტები ნათელ კონებად ელანდებათ თურმე. გვე-
ლები (მრავალია მათი სახეობა) მიწიერს, მათ მკვებავს და შემნახველს, მათგან ბევრ
რამეს რატომღაც არ ჰგუობენ. ჩემს ბავშვობაში ხნიერი ქალებისგან მსმენია, ავ კაცზე
რომ იტყოდნენ, უსახელო, თბილ უბეში ფერებ-ფერებით რომ ჩაისვა, მაინც დაგგეს-
ლავსო. ნამდილად მაგდაგვარიანო. სხვებისგან განსხვავებით გარინდულნი უსასრუ-
ლოდ უცქერენ ზოგადად სიცოცხლეს, სივრცეს, მათთვის უცხო სიკვდილს, მზეს და
კიდევ მათთვის რაღაცას; როგორც მოგახენეთ, ღამის სიზმარეულში კი – მთვარეს,
ვარსკვლავებს და უამრავ მათიანებს. ფრთხილები არიან ზომიერად და გარბიან არა
შემინებულნი, უფრო იმ ინტუიციით, რომ სიკვდილი არ ჩამოაგდონ. გარემოზე ბორო-
ტი ზრახვები არ გააჩნიათ, იკვებებიან მწიფე ნაყოფით, ზოგჯერ მწერებს და ამფიბი-
ებს ეტანებიან, რბილი, თიხაშერეული, ქონიანი მიწითაც. უცხოთაგან თავდასხმისას



თავს იცავენ უმკაცრესი ზომებით. მათი უსუსურობის უმთავრესი დაცვაა შხამიანი სიკვდილის შემყრელი უსწრაფესი კბენა და, აქედან გამომდინარე, სიცოცხლის მომსპობ სხვა მხეცებზე და ფრინველებზე უფრო, ყველას ეშინია მათი. აქაც უთუოდ ნახევრად გახსნილი ბინდმოსილი მინისქვეშეთური ჯოჯოხეთისმიერი იდუმალებაა; მზე უყვართ ძალიან და გატრუნულნი მიენდობიან ხოლმე. გველებს ცოცხალთაგან არავისი და არაფრისა არ სწამთ. უფრო მეტად წარსულში ადამიანები, მათ მრავალ რელიგიაში აამაღლებდნენ. და ისმება კითხვა: – რატომ?! ზოგმა შეიძლება ირწმუნოს, რომ წარმართული თუ სხვა აღმსარებლობის მიუკარება ხერხემლის აზროვნების უხილავი ნატეხი ხომ არაა ამჟამადაც ჩარჩენილი? აქ არის ისევ უსაშველო, შორს გამავალი ამქვეყნიურ-იმქვეყნიური ფსიქოლოგიური სირთულეები. ადამიანები, მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს შედარებით უგებს და წვდებიან ხოლმე მათ კოსმიურობას (სარწმუნოა რომელიმე ციური პლანეტა მართავდეს მათ...) ვიდრე სულდგმულ შემზარავ, შიშისმატარებელ გველს. მის უმძაფრეს არსებას ჩვენ ვერა და ვერ ვუგებთ, ხშირად თუ იშვიათად ვართმევთ სიცოცხლეს და შხამს ისევ ჩვენდა სამკურნალოდ, ესაა და ეს. აქ მინდა შორეული წარსულის ცხოვრებისეული მონაკვეთით შემოვიფარგლოთ. ძველი კოლხები, გველს თუ იხილავდნენ თავიანთ საცხოვრისში, იქ არ მოკლავდნენ, შიო-შიოს შეძახილით უვნებლად გარეთ გააგდებდნენ, მაგრამ ამ პროცესს ბურძგლების ამყრელი შიშიც მოჰყვებოდა, ამჟამადაცაა ასეთი რიტუალის მაგვარი წესი სამეგრელოსა და ლაზეთში. ესეც ხომ უზარმაზარი წეს-ზეციურობაა გამარადიულებული... მაგ მიუკარებას არცერთი არსება არ ზაძავს, იმდენად უცხოდ შორეული განსხვავებული და ყველასაგან უტყვია თავისი ბუნებით. ერთმანეთი ძალიან უყვართ. თუ ახლად გამოჩეკილი შვილი ძლოკა მოუკლეს, დედა გველი თავს იკლავს: ეს უკვე ცალკე ისევ, ქვენარმავლური მიუწვდომელი რთულზნეობრივი სივრცეა... – ზამთრობს, სიზმარეული ძილით ბნელ ხვრელში, მარტოობის დუმელ-სევდა თვალუნვდენელი ციდან მოსდის, მწირი-მძაფრი, მსწრაფ-სიკვდილის მომტან-მფენი. თავად ხომ გაქრობისა არა იცის რა, და არცა აქვს შიში მისი.

უცნაურია, განგაშ და ბურძგლებამყრელ ამ მიწიერს რომ იხილავ, უმაღ გრძნობ, სიკვდილი და ეს სასტიკი ცოდვილიანი მთლიანობაა, სხვადასხვა შინაარსის, ფორმის და თვისების: გიკვირს თავად, სიცოცხლე რა მჭიდროდ, განუმორებლად ატარებს



სიკვდილს... მე, როგორც ძირძველ კოლხს, ხშირად შემიტევს ამ ავბედით გაჩენილზე მუქფორმიანი ფიქრი...

სხვებთან შედარებით აწრიალდნენ ციხეებში ისედაც სევდის ზღვაში მყოფი სხვადასხვა წესის, ზნეობისა და აზროვნების, ბედით, ადამიანებისაგან თუ თავიანთი თავითვე დაჩაგრული პატიმრები – მათგან არავითარი ზედმეტი მღელვარება და შეთქმულება, მხოლოდ დუმილდაძაბული ლოდინია და...

„განსაცდელის ჟამს ყველა უბედურება ეზთოდ იყვის თავს“ (იოანე დამასკელი).

მიუდგომელი სიმართლეა.

ზეკანონებიდან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, ღვთისგან გაჩენილი სიცოცხლე რომ ხელშეუხებელია და არანაირი დანაშაულის მართლმსაჯულება მას არ უნდა ექვემდებარებოდეს. მხოლოდ უფალსა აქვს უფლება თავისი გაჩენილი სიცოცხლის იმქვეყნად დროულად წაყვანისა. ან...

„ღმერთს ზელიფა აზა აქვს“ (მაჰათმა განდი).

სასჯელმისჯილებში რატომღაც მსხვერპლი არ არის. ბადრაგები კი სახემოგრეხილები და ხელ-ფეხკრუნჩხვიანები, ნდობით აღჭურვილ პატიმრებს დანესებულების შენობიდან გაჰყავთ. საერთოდ, წესტიანი, ჩაბნელებული, მკაცრსევდიანი დილეგებიდან ამჟამად ჩამიჩუმი არ ისმის. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მღვდლებს, მონაზვნებს, ბერებს, მღვდელმთავრებს და სხვა ეკლესიის მსახურთაც ლოცვა-ვედრებაში მყოფთ, სამარადისოდ მიეძინათ. იმავე მდგომარეობაში არიან მოსამართლეები, პროკურორები, ძალოვანი განყოფილებების ხალხი. იურისტ-ვექილები უაზროდ გათიშულან. ექიმები, პედაგოგები და მოზარდები თითქოსდა ვაი-ვაგლახით უძლებენ ამ ტანჯვას... ერთ-ერთი ახალგაზრდა, სულიწმიდა ნიჭიერი ხატმწერი ბერი უვნებლად გადარჩა; იგი, იმ უმძიმესი საათების განმავლობაში, თავის მიერ კაკლის უძველეს ფიცარზე მოხატულ ოქროსფერ ჯვარზე შეუსვენებლივ ლოცულობდა, ჯვარი ყოფილა დამრეცკუთხოვანი თავებგანიერი და ირგვლივ ხაზობრივად მზეშემოვლებული, ეჭვგარეშე და უთუოდ სარწმუნოა, მზის და ჯვრის ერთობლივმა მართალმა გამოხატვამ გადაარჩინა კეთილი, გამჭრიახი და შეგნებული ხატმწერი-ბერი. ამ უჭკვიანეს, ღრმადმორწმუნე და უფლის დღენიადაგ მიმბაძველ ბერს ჰყავდა სულიერად ახლობელი მორჩილთაგანი თავისი მრავალრიცხოვანი მრევლიდან, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ მისი არ-



სებული ცხოვრება და ზნეობა ათი მცნების მორჩილი გახლდათ, თითქოსდა ზეციდან მოცქერალ წმიდანებსაც ხიბლავდა მისი ცხოვრების ღვთივგანგებულობა. ღარიბი იყო, მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილური, ბრძენი და სიტყვაძუნ-ნი, ჩაფიქრებული, თან რომელიღაც ზეცის სისავსიდან ყოველთვის ღიმილიანი, ზოგჯერ გამოხედვასევდიანი და მიმნდობი. მისი ამქვეყნიდან გათიშვა-მოშორება ნებისმი-ერ ავკაცს შეეძლო, მაგრამ უხილავი ძალებისაგან შედარებით დაცული...

ჰყავდა დედა, შვილები – ქალ-ვაჟი, მეუღლე – მამა, ქართველთა მომხდურ მტერ-თან გმირულ ბრძოლაში დაცემული. საშუალოდ მორწმუნე, ასევე შორეული ფიქრებით და აზროვნებით პლანეტარიუმისკენ მიდრეკილი და რომელიღაც ვარსკვლავზე ასტრო-ლოგიურად დამოკიდებულ-შეყვარებული... მშრომელი და უკეთურთა მგმობელი. უც-ნაურ სიზმრებს უჩიოდა ხშირად, რაზეც ზოგჯერ ფარული ღიმილით უყვებოდა თავის ახლობელს, ბოლო ხანებში უხასიათობა სულ სიმძიმეობა და მოწყენილობა დაეტყო.

წუხდა ცუდ, გაუკუღმართებული სიზმრებზე და ებრძოდა თავისთავს... ახლო-ბელი რომ ეტყოდა, რატომ ხარ ასეთ ცუდ განწყობილებაზეო, – უკადრისად მძიმე სიზმარი ვნახეო წუხელ, თან საშინელი და მიუტყვებელი ხილვებიც მანუხებსო, – იყო დავრდომილსახიანი პასუხი. რას შეეყარე მაგისტანას, შე დალოცვილო, გაგვანდე და მოგვიყვიო; ამ შემთხვევაში ის არავის არ ეუბნებოდა არაფერს და თავის შეუვალ გა-უცხოებულ ფიქრებთან გამარტოხელდებოდა.

დუმდა და შორს იდგა; არ იზიდავდა არავითარი უახლოესი გარემო.

უკანასკნელ დღეებში ნირ-ხასიათით სულ შეიცვალა და ფიზიკურად ძალიან და-სუსტდა, დაპატარავდა. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდაო მის თავს უჩვეულო, უკვირ-დათ ახლობლებს, მეზობლებს, ნაცნობებს და, რა თქმა უნდა, მის მოძღვარს. შემდეგ-ში მხოლოდ თავის მეზობელ ბერიკაცს ზოგ რამეში გამოუტყდა და უამბო სიზმრის უთქმელი შინაარსი: ძილში ზნედაცემულ ქალებთან უდიერად ვცხოვრობ და ზოგჯერ, ჩემდა საუბედუროდ, მამათმავალი მამაკაცების მსხვერპლიც ვხდებიო. აღელვებულ-მა მოხუცმა ასე უთხრა: – მიაწერწყვე ეშმაკს და შენს ბერთან ერთად ხშირად ილო-ცეო! მაინც არ დაადგა საშველი ბნელეთის ეშმაკებშესეულ შეყრილს და ერთ უბედურ დღეს თავისი ფიცრული სამზარეულოს, კერიის ქვაბის დასაკიდ ნაჭაზე ჩამომხრჩვა-ლი იხილეს – აქაც იმძლავრა სატანამ და გვაჯობა; ღამე, მკვდრის ქვეშ რამდენიმე შა-



ვი, თვალანთებული კატა დარბოდაო თურმე...

ეს შემადრწუნებელი ამბავი მზის სამი საათით დაგვიანებით ამოსვლამდე ერთი დღით ადრე მომხდარა. რამდენიმე დროის გასვლის შემდგომ და ახლაც არ იცის ბევრმა, რატომ გახდა ამდაგვარი უპატიოსნესი ადამიანად ხილული ასეთი გაუგონარი მუქნაოჭიანი უხილაობის მსხვერპლი.

ქვეყნად საშინელი დრო მოწიფდა და ყველგან ითარეშა აღვირახსნილმა ეშმაკმა...

„საწუთობის ხმაური დასცინის მარადისობის გალობას“ (რაბინდრანათ თაგორი).

უთუოდ ზეადამიანური შეგონებაა.

აღელვებულმა წმიდა ბერმა-ხატმწერმა რომ გაიგო მისი უზომო ტანჯვა-ცოდვილიანობა, ქალივით მოთქვამდა თურმე, დამსაჯე უფალო! არ მეპატიება, რომ დავიგვიანე და დროზე ვერ ჩავწვდიო მის ფარულ ცოდვა-ეშმაკეულ შემოსევებსო...

ამ დროს მზე მანათობელი სიახლოვეს არ ეკარებოდა ქვეყანას, და შეშინებული, მალარიული მომაკვდინებელი სხეულით კანკალებდა ცოცხალი თუ მკვდარი...

პირადად ღმერთთან წმიდად მიმავალი გზა არ გამიძნელდებოდა, წინ სხვადასხვა ზნეობის ადამიანები და ფუჭი უკეთური აზრები რომ არ მელობებოდნენ...

დრო თითქოს მიეჯახვა მიუწვდომლობის შეუღწეველ ბნელ გადახრილ ბოძზე...

ეშმაკეული ცოდვა-მადლი, ფიქრი, აზრი, ფანტაზია, საიდუმლოებითი წარმოსახვები მსხვერპლი და სიზმრები უხილაობის შავ ქვაბში ეყარა. ვარსკვლავეთის საშინელი სიშორიდან კი გაურკვეველი გამკვივანი ცივი ხმა წვრილ ძაფად მოჟონავდა დედამინის ცეცხლოვან ქვესკნელამდე გამავალი... მფრინავებს, გემის კაპიტნებსა და მეზღვაურებს არ შეხებია ეს ჯოჯოხეთური ტალღა; მხოლოდ უხასიათობა და მსუბუქი ნევროზი აწუხებდათ. წყალქვეშა ნავებისა და გემების ეკიპაჟებმა მძიმე ფორმით კი იგრძნეს ყოველივე და წყლის უმზეო ზედაპირზე უმაღლ ამოტივტივდნენ.

სიკვდილი სამყაროს სასტიკი, ბნელზე უკუნი და მზივ სხივოსანი სიცოცხლის დამთრგუნველი ჩამქრობი ქმედებაა, უცხო უხილავი ფორმის შორეული მოუსავლეთის ავთვისებიანი თანამგზავრივითაა ყოველთა შავი ნერტილის დამსმელი (და, არის). ის უფერული და უკეთურია თავის გამოცხადებამდე, ზოგჯერ ჩაგვიქროლებს ხოლმე უმძაფრესი და უმძიმესი განწყობილებით და მწარედ, ჟრუანტელის მომგვრელად შეგვანჯღრევს. მთლიანობაში ყოველ ცოცხალ არსებას შემფოთებით ერიდება მისი



და რატომ? ის ხომ უსასრულობაში სხვადასხვა ფუნქციებით დედამიწის შემსვებ-ალ-მდგენელი და სულის – სულთა სივრცეში გადაადგილების შეუცნობადი აუცილებელი მიზან-კანონ-ძალაა, ქვეყნიერების უსასტიკესი ფორმა-ფერსახეა, მაგრამ ვიმეორებ, და მაინც სიკვდილით აღმოცენდება სიცოცხლე...

„უბედურებამ კი არ უნდა დათრგუნოს, არამედ მისმა დათმენამ გააძლიეროს“ (სტენდალი).
ბრძენთა-უბრძენესი მოწოდებაა ამქვეყნიური.

გარდაცვალება გაურკვეველი და მიუდგომელი საშინელებაა, თუმცა მის ფუნქციებში დაახლოებით ვერკვევით; მაგრამ ადამიანი სანამ არ შეიცნობს უშუალო ურთიერთდამოკიდებულებას სიკვდილთან თავის ინდივიდ „მე“-სთან, მანამ ის ჩვენთვის იმ უბოროტესი ვარსკვლავით, უშორესი და მიუღებელი იქნება... ან...

მილიარდერებს და მილიონერებს ვერ უშველა აურაცხელმა ოქრო-ვერცხლმა, ერის და ქვეყნის საბადოებიდან უგონოდ და უზნეოდ ამოღებულ მითვისებით გამდიდრებულთ.

„სამართლიანობა ის იქნება, რომ თვით ბოროტება გეძულდეს, ბოროტის მოქმედი თვით ისეთი ადამიანი კი, ზოგჯერ ღვთის ქმნილება – გვიყვარდეს...“ (ავგუსტინე).

წმიდანურ, სულიერ სიმაღლეებზე ასვლა დიდი ბედნიერებაა.

დუმს უფალი, დრო უმკაცრესი არავის და არაფერს ელოდება...

„მჯობე ჭეშმარიტებას ნათელი სიტყვა ახლავს, უდიდეს ჭეშმარიტებას – უსაზღვრო დუმილი“ (რაბინდრანათ თაგორი).

გამაოგნებელი სიმართლეა.

საუბედუროდ, მზე არა ჩანს ისევ, დაძაბული და შორეული გაურკვეველობამდე მუქ-შავად დაიბინდა...

გამოსახვითი მოსვლა – მოლოდინი, მრავალ გრძნობათა უსაზღვრო ტევადობაა. ხოლო წარსული, რაგინდ კარგი იყოს, სევდის სავსეობაა სხვადასხვა ხასიათფენოვანი. ტრაგიკული თუ შედარებით ცუდი ფორმის კი, სულიერი უძირო – შევიწროებული სიბნელეა, ტანჯვის მომგვრელი.

ჩაფიქრებულან მირონმდინარე, უკეთილშობილესი ოქრო-ვერცხლისფერი მადლმოსილი მრავალსაუკუნოვანი მაცხოვრის ხატები, ღვთივ ეკლესიური ღრმად ნათელ უკეთილშობილესი მზერით... ამ შეჭირვების ჟამს ამაზრზენად გაიბზარა მრავალი



ძველი თუ ახალი შენობის კედლები. მხოლოდ სალოცავ ძეგლ-ეკლესია-მონასტრებს სინაგოგებს და მეჩეთებს არ შეეხებია ეს უცხო გამაოგნებელი ზეციური მბორგავი სასტიკი სივრცობრივ-ატმოსფერული სულთ მომგუდველი წნევა. შეჩერდა ელექტროსადგურები, შეწყდა ტელემაუნყებლობა და გამოირთო ინტერნეტი, არ ღალადებენ რადიოარხები... შეფერხდა ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა (ზოგიერთის გარდა). იმ საათებში არ მომხდარა განაყოფიერება-მშობიარობაც ნებისმიერი ცოცხალი არსებისა: თითქოს ძველი და ახალი საფლავებიც გაუგებრად აშიშინდნენ და აიშალნენ, ქვესკნელის უსასრულობიდან საფლავებზე შინდისფერმა კლაკნილმა უხილავმა სულმა გამოაცვებლად სივრცეში გაიელვა: შეწყდა სტიქიური ქმედება-მოულოდნელობანი, რატომაა, რომ მიცვალებულთან – მკვდართან ახლოს მისვლა ძალიან გვიჭირს, თითქოსდა რაღაცამ დაშალა და დაგირღვია სული, ორგანიზმი? საფლავთან კი არა! იმიტომ, რომ იქ მიწა გვხვდება სიცოცხლით სავსე და მიცვალებულის მარადიული ამაგომქცევი, სიკვდილის ყოვლად განმდევნელი.

„ყველაზე უკეთესი მშვიდობის მომტანი სიკვდილია“ (მანძონი).

ნახეთ, რა უცნაურად გვმოძღვრავს უძველესი ბრძენი.

ამ დროს გაურკვეველ სიკვდილ-დაინტერესებას ვგრძნობთ მიუწვდომელს – შორეულს უმძიმესს და ღრმად სევდიანს, გარკვეულწილად მაინც ბუნდოვან მიმზიდველს...

„ჩვენი სული ჩვენს დაბადებამდეც აზსებობდა და იაზსებებს ჩვენი სიკვდილის შემდეგაც“ (პლატონი).

დაუფერებელი სინამდვილეა.

ქვეყნიერების უცვლელი მიუკარება კანონია – აუცილებლობიდან გამომდინარე, თავის დროზე, წმიდანებიც ანაყოფიერებენ თურმე დედამიწას...

ყოველთა სიცოცხლე ამქვეყნიური ჯოჯოხეთიაო, მაგრამ მთლიანი ბედის ან იმედის კეთილი ვარსკვლავი ყველასთვის თანაბრად ციმციმებს.

ახალდაქორწინებულები და ბუნებრივ წყვილ-საყვარლები თბილ, მეგობრულ სარეცელს სულაწეწილნი შორდებიან, სხეულის კანკალით და უცხოვად აღელვებულნი ფანჯარას მიაფრინდნენ, ზოგი მათგანი, სამწუხაროდ, სიყვარულით ნაფერებ სიცოცხლესაც გამოეთხოვა.

მზეჩაღვრილი ქალი, განსაკუთრებით ღამაში, ყველა მშვენიერი, მთლიანი არ-



სებით უახლოესი და შენი გგონია, რათა მზის უთვალავ თვისებასა და სათნო ელემენტებს ფლობს.

ალამებულ-ანენილი გარემოსაგან განერვიულებული ვაჟი, სულაღტყინებუ-ლი აფრთხილებს თავის უმშვენიერეს გულისსწორს: – ამ უმძაფრეს მიუწვდომელ მოვლენებთან ერთად, არ მომწონს ჩვენს ირგვლივ ჟამმომდინარე სტიქიური ეს უფერული იქედნური მკრთალი განწყობილება, შურიგე-ანანო! ახლავე გულ-მკერდზე შენი ცისფერი კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდი! რატომ? და რა იგრძნო ისეთი ქალის მეგობარმა და რომელმა შორეულიდან მომდინარე უხილავმა სხივმა თუ ინტუიციამ შეძრა ასე, ჩვენთვის მიუწვდომლად?.. ნუთუ აგრე მძაფრად იმოქმედა უმზეობამ ქალის გულ-მკერდზე?..

სიცოცხლის მარადიულობა-ჩაუქრობლობის მასულდგმულელებელი მთავარი კვანძი თუ უხილავი ძაფთაგანი, ანუ მშვენიერებისა და სილამაზის ცისფერი მომავლის კაპილარი, მაგიური, იდუმალი და ზეციური მრავალელემენტნარევი წმინდანური ინტიმით კოსმოსური სილამაზე ძუძუებზე გადის და ამიტომაცაა, ადამიანები განსაკუთრებით უფრთხილდებიან და მოკრძალება-მოწინებით ექცევიან მზისებრ ირმის რძის ფერთმოფენილ უწყინარ და უნაზეს ნახევარსფეროს, რადგან ქალის – სხეულში თავისი ფორმით და თვისებით ყოვლის მტეველი მზეა გადმოსული, თითქოსდა ფარული რიდი, შიში, განწმენდილ-მოკრძალებითი ლტოლვა და სულიერად ამაღლებული ხედვაა მისდამი. ქვეყნიერების მანათობლის უთვალავი კეთილი სასიცოცხლო ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩაქსოვილი, ანუ მზის ცისფერი ძახილია ღვთიური. ეს, შესაძლოა, ქალის იყოს, შველის, ვეფხის, კენგურუს თუ სხვა. აქედან გამომდინარე, ბროლსხივა მზესავით, ქალის ძუძუზეც გვიჭირს თვალის გასწორება. დავაკვირდეთ კარგად უძველეს ხატებს.ქმნილებაზე „ღმრთისმშობელი ყრმით“, როგორი ბრწყინვალე სიღრმეებითი-გაელფერებით, მოწინებით და სინმინდითაა შესრულებული მშობელი დედის და მხსნელის ზეციური რძით სავსე მცირე სამყაროს მონაკვეთი, რომელიც ფრთხილი და ზნეობრივად წმინდა ხატმწერებისაგანაა ქმნილი. ის ხომ განსხეულებული სიცოცხლის სულიწმიდად ამომავალი სავსე მზეა, იესო ქრისტე-მაცხოვრის გამზრდელ-მაცოცხლებელი. მშობელი დედის კოსმოგენური წმიდანური მთლიანობის სახე ღვთისმშობელშია გაცხადებული, ბუნებაში უფრო დიდი კეთილი ფორმა, ვარსკვლავეთური



მარიამ ღვთისმშობელი
ყრმით.



მზე ჩადიოდა.
ავტ. რეზო ადამია.



ზნეობრივი ინტიმით ფეთქვა და წმიდანური სიყვარულით ქვეყნიური გზავნა არ არსებობს...

ჯერ მინას მიუბარებელ მიცვალებულთა სხეულები სიკვდილის ბნელის იდუმალ-ქმედებით, უფრო ამაზრზენად გაქვავებულნი, საშინელ სხეულ-ლოდებად გაყინულან და თვითნებურად მხსნელ-მფარველი მიწისკენ მიილტვიან.

ამ უბედურების სამ საათში შეწყდა ქვეყნად გლოვა, მიცვალებულთ დატირება, მოთქმა-გოდება, სევდიანი ხმაური, ფიქრიც: მხოლოდ გაოგნების, გათიშულთ გაკვირვების ნერვიული დაძაბული შეძახილებია. ქვენარმავლებმა მიუვალი კუნაპეტი ნესტიანი ხვრელები მიატოვეს და ზევით მინაზე მზის ლოდინში განწირულებივით შემზარავ მუქ ლანდ-ხაზებად განვნენ. ტანანწილ-ფერშეცვლილი თაგვები და ვირთხები ხუთი კილომეტრის რადიუსით ცეცხლნაკიდებულებივით დაძრწიან. ნეტავ, რას ეძებენ, ან ვის?.. თუ სადმე სისხლისმღვრელი ომებია, შეწყდა თოფის ხმა, ურთიერთოცვა და კაცთ კვლა ფულზე, ოქროზე, თანამდებობებზე და ქალზე. შენელდა უშნო ბოღმა, შური, სიძულვილი, მინათ გაყოფაზე დაძაბულობა, პიროვნებათა შორის ეროვნული შუღლი; იმპერიულ-ტერიტორიული გაუმაძღრობა და მტრობა, დაპყრობითი საზღვრების გადალახვები, ავანტიურა და ლალატი. გაფერმკრთალდა სიყვარული და შეწყდა კაცთა კეთილი ურთიერთობა. ამ დროს ხდება მოულოდნელობა და ეშმაკეულმა ბოროტებმა, სახე და ფერი იცვალეს, საძულველ მცოცავ ამაზრზენ ქამელეონებად იქცნენ. უმზეობით შეძრწუნებული ქვეყანა ჭირშეპყრობილი საქონელივით ღმუის და მოძალებული სიკვდილი თითქოსდა მათ მწარე სნეულებისგან მხსნელად ეცხადება: სატანამ ქვეყნის გამგებლის ჭაობის მომწვანო შმორიან-ტალახისფერი მანტია ჩაიცვა და შავგვირგვინიან რქებაყრილ ატამანობასაც წაეპოტინა...

დუმდა სამზეო და უფალი...

„ღმერთი პომოქნია, იმიტომ, რომ მუდმივია“ (ავგუსტინე).

ამ სიბრძნეზე დაყრდნობით ადამიანები, საბედნიეროდ, სულიერ სიჯანსაღეს გაიმდიდრებენ.

ამდაგვარ შემთხვევაში დრამა-ტრაგედიიდან თავის დაღწევა შორსაა, უფრო პიროვნულ ბედზე, შემთხვევითობით შედეგზე, დროსა და სივრცეზეა დამოკიდებული; უთუოდ უფლის უკიდევანობის რომელიღაც ნათელი, ამ არეალშიც ბუნდოვნად მოქმედებს.



ეკლესიებში ია-იისფერებ-ცისფერებითი სულთმიერი ნისლ-ფენა ჩამონვა და ყოველი ამქვეყნიური მაცოცხლებელი ხმა გაუვალ-გაურკვეველი გახდა. მხოლოდ ყოვლისშემძლე ჯვრები იდგნენ მედგრად, მნათედ-მტკიცედ შემართულ, ცისკენ ოქროსვეტად აისრულ გუმბათებზე. სამნუხაროდ, გადარჩენილთაგან, ზოგან გაღიზიანებული და სიყვარულ-სიკეთედაკარგული მღვდელი მღვდელს დევნიდა, პატრიარქი პატრიარქს წყევლიდა და ანათემაზე გადასცემდა. ეკლესიას შეფარებულნი ისევ დაუბრუნდნენ ადამიანურ ცოდვით კაცობას... თითქოსდა აირია პლანეტის – მზის კალენდარი და წელთაღრიცხვა: ჭირდა კაცთა ზნეობის დარეგულირება. დაუმძიმდა დრო ეკლესია-საყდრებს და ჯვარს – მხსნელი კი იგვიანებდა...

მთლიანი სამყარო ხაზნაშლილი, გამქრალი წრის მაგვარია, რომელიც წარმოუდგენელ უსასრულობაშია გაშლილი. მზე მარად ჩაუქრობელი გავარვარებული დისკოა – ჩვენგან მუდამ ხილული, და მისი სხივ-ენერგია, წრიული წესრიგით უკიდევანოდ იშლება; საოცარი ჯაჭვური ურთიერთიმსგავსებებია ვარსკვლავეთში...

მცირედმორწმუნე ადამიანები, რომელნიც რელიგიაში უგულვებელყოფენ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს, უაზროდ ძარცვავენ ღმერთს. უფალს რას დააკლებენ, მაგრამ უწმინდეს სივრცეში მათივე რწმენა და წარმოსახვები რატომღაც უკვალოდ ქრება (შესაძლებელია მწარეთაც უბრუნდებოდეთ). მართალი კოსმოსური მიდგომით ჩვენვე უნდა გავაძლიეროთ რწმენა-სწავლება, რითაც მეტად მივუახლოვდებით უფალს და სამყაროს უმდიდრეს იდუმალებებს...

განმკითხავი ამ მწარედ არეულ დროს ისევ მისეული ფიქრ-გააზრებით მისჩერებოდა...

სივრცე, დრო და მოლოდინი უსაზღვროა...

„მზეს ეწით ნაკლი აქვს – მას საკუთარი თავის დანახვა აზრ შეუძლია“. (სოკრატე)

იდეალური მინიშნებაა: სამყაროსეული აზრ ტევადობისა...

ქვეყნიერების მაცოცხლებელ-მანათობელ-ყოვლისმშემკობი მზე – უფალი მოამაგე, სულიერთა და უსულოთა ავბედით სასიმწაროდ, ძალიან იგვიანებდა...

მთები ჩამუქდნენ უჩვეულოდ. მდინარეები უღიმღამოდ კი მიედინებოდნენ, მაგრამ მათი წყლის საამო ჩხრიალი არ ისმის და ბუნებრივი ფერიც კი დაკარგეს. მეცნიერ-ასტრონომები, ასტროლოგები, მისტიკოსები და პლანეტარიუმით გატაცებული ხელოვანნი,



მოლოდინად ქცეულნი, მხოლოდ მზის ამოსასვლელ ცის მოყვითალო-მოცისფრო ოდნავ მბჟუტავ დასალიერს მისჩერებიან, სადაც მუქი ლურჯი ღრუბლის გრძელი მელანქოლიური უმოქმედო ზოლი ჩანოლილა. მხატვრები, პოეტები, მწერლები, ფილოსოფოსები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მეცნიერები, მეოცნებენი და წინასწარმეტყველები გაკვირვებულები განცალკევებულად სხედან სიკვდილის თუ უფრო უცხო და უძძიმესი გაურკვეველი მოვლენების მოლოდინში.

„გონება, ცხადია, სუსტია იმ უსასწულო ობიექტებთან შედაზებით, რომელთა ახსნასაც ცდილობს“ (აინშტაინი).

ოთხივ მხრივ ქარიც ჩადგა, ქვეყნად შემადრწუნებელი სიჩუმე ჩაგუბდა და ბუნება მნიშვნელოვანი რაღაც მთავარი დაკარგა... უძრავადაა მოლურჯო-შავი, უაზროდ მიყრილი მოუხეშო ხერხის პირისებრი ღრუბლები და ადგილს არ იცვლიან, ცაზე ვარსკვლავთ გუნდი არ ჩანს, თითქოსდა წაიშალნენ. მხოლოდ მის სიღრმეში გაურკვეველად მიბნედილი-ბაცი ოდნავ ფერადი ლაქები და მკრთალი ზანტად მოსიარულე ხაზები შეინიშნება. დასავლეთში მარტოხელად დაკიდული დაბალი ნათების ღრმად სევდიანი მთვარე, გაოგნებულ-შეშინებული, ერთ ადგილას დგას და დედის მომლოდინე მეძუძური მშიერი ბავშვივით უკან იმზირება. ქვეყნების ხელისუფლებათაგან უმეტესობამ სამუდამოდ დატოვა სააქაო გამწარებული სახით. მათ შორის გადარჩენილები მხნე და უშიშარნი იმ საათებში სპირტიან სასმელებს უმალ დაენაფნენ. უხილავი სიკვდილი, ყოველ ხილულზე ძლიერი, მუქ ლურჯ, მოშავო ძლიერ ხაზებად გამჟღავნდა და ქვეყანას წამშლელ ბადე-საფარად მოეფინა. ლოდინ-მოლოდინი ბნელ უძველეს, თვითნაბად მილიონობითნლოვან შეუვალ ნესტიან გვირაბებს დამსგავსებოდა.

საკვირველი მოვლენა მთვარის დაბნელება, რა თქმა უნდა, ღამის საათებში ხდება შუალამემდე. ჯგუფი უახლოესი ადამიანებისა ამაღლებულ მინდორზე ვდგავართ შეუიარაღებელი თვალით და ვაკვირდებით ჩვენს ღამის ცის მხატვრულ-რომანტიკული პლანეტა მშვენიებას. ცნობისმოყვარეობამ, ლოდინმა და შიშნარევმა განცდებმა ერთად მოიყარა თავი. კეთილშობილ თვითნაბად ვერცხლად ნათელი მთვარე თითქოსდა ემზადება დედამინის ჩრდილთან შესახვედრად და ირგვლივ მოთმინების ხაზები უკიდურესობამდე შემოკლდა. პატიოსანი, მანათობელი დისკის უმწეო დაპატარავება იწყება მარჯვნიდან, შენელებული მცოცავი სვლით. მთვარის დაბერება-კლე-



ბა კი წარმოებს მარცხნიდან მარჯვნივ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ყოველთვიური მოვლენაა, მაგრამ პროზაულად სევდის მომგვრელი. მეცოდება დიდი ქალაქის რომანტიკულად მცხოვრებნი, რადგანაც მთვარის ამ სილამაზესა და სულის სიღრმეში ჩამწვდომ ვარსკვლავეთის მოძრაობის უმშვენიერეს სურათ-პროცესს ვერ ხედავენ, რადგან მათ შორის სამუდამოდ ჩადგა ხელოვნური არა პოეტური განწყობილების სხვადასხვა ფერის გავარვარებული ელექტრონათურა.

ყოვლის შემდგომ ყველანი დაძაბულნი ვხედავთ, თუ როგორ ნელ-ნელა დაპატარავდა, თითქოსდა დაუნდობლად მოგუდესო, მდუმარე უპატნიოსესი მთვარე და უწვრილეს მკვეთრ ნათელ ხორბალთ მომკელ ნამგლად დაეკიდა, დალეულ-საცოდავ სანახაობად, ხოლო სააზროვნებოდ სიურეალისტური შეგრძნების და იდეალისტურ-ფილოსოფიური შინაარსის გახდა. ან რა უნდა მოხდეს? ბავშვები უფრო შევშინდით. მთლიანად ხომ არ დავკარგავთ ზღაპრების მოსაყოლ უებარ საშუალებას? ბებიჩემი, პარასკევა-კვინია ჯაიანი შუალამემდე მთვარის შუქით განათებულთ გვიყვებოდა მხატვრულ და მრავალშინაარსიან ზღაპრებს. სამწუხაროდ, არავის არ ჩაუნერია ისინი და დაიკარგა, ანუ ირგვლივი სივრცის მეხსიერებაშია შენახული. მერმე მთვარე ნელ-ნელა გამოთავისუფლდა დედამინის ჩრდილისგან და, უცნაურად განახლებული და ნათელ ვერცხლად ანთებული, ღამის და ცის უფლის მიერ ხელმწიფედ გაბატონდა. შვებით ამოისუნთქა ზეცამ, სივრცემ ქვეყანამ და ჩვენ, დრო, ოდნავ აღელვებული მიედინებოდა... – ეს რაა, ბავშვებო, შარშანწინდელ მინისძვრასთან შედარებით, – ჩაილაპარაკა მამაჩემმა და თეთრ ქალაღდზე შეხვეული თუთუნი შვებით გააბოლა.

მაგონდება, იმ წელს მარტვილის რაიონის ჩრდილოეთით, ქვიბიის ცამდე აზიდულ კავკასიონის გოლიათურ მთებში იყო მინისძვრის მაღალი ეპიცენტრი. მართლაც რომ საშინელი ტრაგედიის მოლოდინით ხალხი ტოვებდა სოფლებს, საკუთარ – წლობით ნაშენებ ნაფერებ სახლებს, ზრუნვით მოვლილ ეზოებს და დამფრთხალნი მიემშურებოდნენ შავი ზღვისპირეთისკენ. ფიქრსაც ვერ იტევს, უნიკალური ქართული ცივილიზაციის მშვენება მარტვილის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერიც რომ მიატოვა ხალხმა... გამოქცეული ადამიანების ტევა არ იყო ბარის სოფლებში და ქალაქებში. დარდით ვიხსენებ იმ სიმწარის და სოფლის შიშისმომგვრელი დაძაბულობის ბავშვობას. განსაკუთრებით საღამოობით იწყებოდა მინის აუტანელი დიგიტი-ტორტმანი,



მთვარის დაბნელება.
მაინც რომ სილამაზეა.



მთვარიანი ღამე. მგოსან გალაკტიონ ტაბიძის სახლი.
ავტ. რეზო ადამია.



ქვესკნელური გრუხუნი, მცენარეების უთავბოლო იქით-აქეთ გადანოლა და სახლების ადგილზევე ზანზარი. საბედნიეროდ, მაშინდელი მინისძვრა ბიძგები დამანგრეველობამდე არ მისულა. ჩემი აზრით, ხის ფიცრულმა სახლებმა ადვილად გადაიტანა ყოველივე. სრულიად განსხვავებული განცდა, განწყობილება და უსიამოვნების უმძიმესი მოლოდინი, ბუნების გარემო სილამაზე და ადამიანების ერთად ყოფნა ანელებდა აგორებული ფიქრებსშუა გამავალ უბედურების მომლოდინე განცდებს. ყველაზე მეტად სამივე კოსმოსურ მოვლენა-დაძაბულობაში ცხოველებიდან ძაღლები ნერვიულად რეაგირებდნენ. სოფლის სხვადასხვა ოჯახებში ახალმოგებული ძროხების ნერვიული ნაბლავლების ხმას კანტიკუნტად გაიგონებდით. რატომღაც ფრინველების ჩამი-ჩუმი არ ისმოდა როგორც შინაურების, ასევე გარეულების.

ისევ ჩვენგან ღრმად განყენებული მინაბული უხილაობა დუმდა... მზის და მთვარის დაბნელება, ასევე მინისძვრაც ხომ ბევრად მსუბუქი მოვლენა იყო და ყოფილა უსაზღვროდ მანათობელი მრავალმხრივ მკვებავი პლანეტის ბნელეთში ჩაკარგვასთან შედარებით. ღვთიური სიდიადის დაბნელებისას ამ ასტრონომიული შიშისმომგვრელ შემთხვევაში იმედის უძლიერეს ფორმად ჩანდა წრიული სახედაბინდული მზე; მთვარე კი თავის ღამეულ ხაზ-ფორმით სივრცეს არ მოშორებია. ხოლო მინისძვრისას დედამინა ხომ ჩვენთან ერთად იდგა და ნერვიულადაც თრთოდა. სამივე ურთულეს პლანეტათა მოვლენაში ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით. გამაოგნებელი იმედ ნარევი ფიქრთ მომგვრელად. ხოლო იმ გაუთენებელი კატასტროფულად ბნელეთში ჩარჩენილი მზისგან მიტოვებული ხალხი უჩვეულოდ განცალკევდა ურთიერთისგან და თანდათანობით სრულიად განსხვავებული ახლად გარდაცვლილ მიცვალებულთა იერსახით იბინდებოდა...

მთვარე და კიდევ რამდენიმე პლანეტა ჩვენი მზის ოჯახისა, მრავალ საოცრებათა მხრივ როგორი ბედნიერები არიან, მათთან სიკვდილი რომ არ ჭაჭანებს (თუმცა მათ მკვდარი პლანეტები შევარქვით); ამ თანამგზავრებმა, სიკვდილს რომ უხმონ, მაშინ სიცოცხლე უნდა დაახვედრონ. ოცნება და ნატვრა, მითოსური თუ ზღაპრისეულად შეთხზული სამოთხე, რეალურად მხოლოდ მზისქვეშეთში შეიძლება არსებობდეს: მკვდარი სივრცე ხომ მუდმივი უმზეობაა...

წამითაც რომ წარმოვიდგინოთ, ღმერთმა დაგვიფაროს და უმზეოდ დარჩენილი



ჩვენი პლანეტა; სრული ჯოჯოხეთი ანუ რალაც უფრო უარესი იქნება. უმაღლესი ხომ გაიყინება ჰაერი-წყალი-ყველაფერი და ყინულის უზარმაზარ მრგვალ ლოდად იქცევა. უხილავი იქნება ცხრავე თანამგზავრი ან გაშავებული მზისგან ადამიანები, სანამ ცოცხლები ვიქნებით (საერთოდ ყველა ცოცხალი არსება) და უკიდურესად არ გავიყინებით, იმ წამებში როგორი უკუნეთი და შიშისმომგვრელ სიბნელეში აღმოვჩნდებით. შორეული ვარსკვლავები კი მისუსტებულჭყეტელანი, უდღეურად ანათებდნენ იქნება. მაცოცხლებელი ჟანგბადი ნელ-ნელა უსასრულო ირგვლივ შორეულ სივრცეში გავა და ტანჯვისმომგვრელად გაქრება. სიკვდილიც დაკარგავს თავის უბოროტეს ქმედებას და გარკვეული დროის შემდეგ ისიც აიბარგება უფუნქციო და განადგურებული დედამიწიდან. სამყაროს და ყოფილ მზის სისტემას შერჩება ყინულოვანი უსიცოცხლო მუქი ცისფერი პლანეტა, ხოლო მის ირგვლივ ზედაპირზე რა და როგორი უცხო ელემენტთა შემადგენლობები იტრიალებს, ეს მხოლოდ ვარსკვლავეთის დიდ მფლობელს ეცოდინება. ყინულის ლოდებით დაიფარება ქალაქები და სოფლები, ისტორიული სხვადასხვა დროისა და ცივილიზაციის უნიკალური ძეგლები, უამრავი საოცრება ქმნილებანი ხელოვნებისა. ყინულის მარნუხებში მოექცევა „ჯოკონდა“, მიქელანჯელოს „სიქსტის კაპელა“ და მრავალი შედევრ-ქანდაკებაც. ანტიკური საოცრება ვენერა მილოსელი, ფრთებასხმული ძეგლ-აზროვნება ნიკეა, ფიდიასის და პრაქსიტელეს ღვთიური გენია. ყინულის ლოდებში მოექცევა, შუმერთა დამწერლობის მრავალათასწლოვანი თიხის ფილა, გაიყინება სამყაროსეული ფორმა პირამიდები და მილიონობითწლოვანი ქვეყნიერების სახე და მოდარაჯეობა სფინქსისა, სარკოფაგები, საფლავები. მაიას, აცტეკების და ინკების კულტურის ცივილიზაციის ძეგლები. ბრტყელ ყინულებად იქცევა ფრესკები და უნიკალური ათასობით ფერწერული ტილოები, უამრავი ქანდაკებები, წიგნები ძველი ბერძენი ფილოსოფოსების თუ დღემდე შექმნილ-მოდნეული შედევრები. გაიყინება ალექსანდრიის, ვატიკანის და მსოფლიოს მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკები და საოცრება არქიტექტურა. ყინულად იქცევა ვაზის ყველა ჯიში და ღვინით სავსე ქვევრები.

უძველესი მცხეთის გეომეტრიულ ფორმათა მხატვრული კონა – ჰარმონიული სიდინჯე და იდუმალი – ხილული სიდიადე; ღმერთთა სულ-ხატგამოსახულებები, სიკეთე და ბოროტება ურთიერთმიყოლებით გავლენ პლანეტიდან. ყინულში ჩაქვავდება მინიერი და ღვთიური სიყვარული. ვერაფერი ვერ უშველის დედამიწას და ჩამქრალი



მზის მეოხებით ნაშლილ თუ დაბნელებულ თანამგზავრებს – ასევე ყოველ გაყინულ მიცვალებულების ძვლებთან და მოშლილ საფლავებთან, მიუწვდომელი და იღუმალის სულთა ურთიერთობაც შეწყდება და განევრცობა უკიდურესად დაბალი ტემპერატურის და ყინულის საფარი თუ რაღაც უფრო ურთულესი გონხედვით მიუწვდომელი არარაობა, – სამყაროსთვის გაურკვეველი მძიმედ მოქმედი უკუნეთის ფორმა, გაივლის დიდი დრო და თავისებურად მოაზროვნე უცხოპლანეტელები, როგორც იქნება მიაგნებენ და მივლენ ყინულოვან დედამიწაზე. უთუოდ რომ შეისწავლიან ყველაფერს და ჩაატარებენ გათხრებს ყინულეთისა და მრავალ მათთვის უცნაურ და საოცრება ნიმუშებს გადაასვენებენ თავიანთ პლანეტაზე. აი და რა მოჰყვება, მეგობრებო, ყოველთა გამანადგურებელ უმზეობას. ამიტომ აუცილებელია პლანეტის ყველა აღმსარებლობის ადამიანებმა ჩვენეულად მაღლიერებით ვილოცოთ დიდ მანათობელზე და მის ყოველ ამობრწყინებას, ბრძენი და მისტიკოსი იაპონელებივით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ალტაცებითი ტაში დავუკრათ სიხარულით სავსე და გაბრწყინებული თვალებით. გავკადნიერდები და ამოვთქვამ: – ყოველი აღმსარებლობის პირველებმა და წარმართობის მამამ ზევსმაც წელიწადში ერთხელ მაინც ილოცონ მზეზე... სადღესასწაულო დღეებში კი საყოველთაოდ სრულდებოდეს უნდა, მზის სადიდებელი ჰიმნები, ყველა ეროვნებისგან შექმნილი. სასიამოვნო და მისაღები იქნება, ერთ წლამდე ბავშვებს ხშირად ხელატატებულთ ამომავალ მზეს თუ შევაგებებთ და მის უკეთილშობილეს ღვთიურ სხივებში განვბანთ... რა კარგი იქნება, წელიწადის ერთი დღე მზის დღესასწაულად აღინიშნებოდეს: უთუოდ ქვეყნად უფულისმიერი სიყვარულის მთლიანობას, გაარღმავებს და წმიდად განამტკიცებს...

„სიკვდილის შიშით სიკვდილი უფუნჯებაა“ (სენეკა).

ყოველთა სრულყოფილი გამხნეებაა, რომელიც სიყვარულს შობს...

ჩვენთვის გაურკვეველად და მიუდგომლად ისევ დუმდნენ ქვეყნიერების მხსნელები...

უთუოდ მზის უსასრულო გარემოცვაში საფლავებიც ცოცხლობენ, ჩვენგან შორეულ-უახლოესი; სიკვდილი აქ, ბოლომდე ვერ მძლავრობს..

მარტვილის რაიონში არის პატარა მთაგორიანი ულამაზესი სოფელი, რომელიც წრიულადაა ჩაფენილი სოფელ კურზუსა და დობერაზენს შუა ეს სანაჭყებოა, უძველესი ჭყონდიდის სიახლოვეს, რომლის მცხოვრებნი ძირფესვიანად კოლხ-იბერიელნი



ამჟამადაც პატიოსანი მშრომელი და თავისი კუთხე-ქვეყნის პატრიოტი წარმართე-ბი, შესაძლებელია, ცეცხლთაყვანისმცემლებიც და მზისთაყვანისმცემლები არიან. ამ უბედურების ჟამს დიდი და პატარა გაიძახოდა: ბჟა სი ქოგალე! არ დაგვივიწყო! ნუ მიგვატოვებ და ამოდი, გვალირსე სა ოროფო ჩხანა, ჩვენ ყველანი ყოველთვის ხომ ვლოცულობთ შენზე და საჭიროებისას სულხორციელადაც შემოგვევლებით კიდევაცო.

ამღვრეული მდგომარეობის მრავალშრიან დუმილს შეევესო სივრცე და დრო – ფიქრი აზრს მოსდევდა, რომელიც ნაკურთხ თაფლის სანთლისფრად ჟონავდა; მხოლოდ ვარსკვლავეთური ძალიან შორეული უბგერო შიდა ტაძრისეული ხმა ისმოდა – უფრო სათუთ გრძნობადად ქცეული. უხილავი იყო ეს ყოველივე და დაუდგრომელი, რომელიც ციურ სხეულთა დასახლების მძაფრი მოძრაობით უსასრულობას მოიცავდა, ყოველთა სიახლოვეს კი მხოლოდ სული თუ ეახლებოდა, როგორც ღვთიური ფორმა – უცხო ძლიერი უმდიდრესი ყველგანმყოფი მარადიული ელემენტი...

სოფლის ხანში შესულმა, ბუნებით – შინაგანად და რელიგიურად განათლებულმა მასწავლებელმა, ჭაღარა, სანდომიანი სახის ქალბატონმა კედლიდან ჩამოხსნა ქართველი მხატვრის მიერ ადგილზე შესრულებული ფერწერული სურათი-ტილო „მზის ამოსვლა პარიზში, ნოტრდამთან“. იქ მყოფთაგან დიდი და პატარა ემთხვია და სიტყვებით წარმოთქვეს, ჩვენი მხსნელი და ყოველთა მანათობელიაო. წარმოიდგინეთ, ნოტრდამის ცენტრშიც დიდი მზეა გამოსახული, დრო და სხივმფრქვეველი, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ პატარა ზომის მზეები ამშვენებს. თან მათთან მყოფ დაღონებულ სტუმარს, მართლმადიდებელ, ნაჩხურას მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მესანთლეს, ხანში შესულ, თმააბურძგნულ, შიშნაჭამ მამაკაცს მორიდებით მიმართეს, მზე რომ არ იყოს, თქვენს სალოცავ ხატებს და ოხვამეს თვალითაც ვერ იხილავდითო!.. ზენათება ნებისმიერ აღმსარებლობით ლოცვებზე და პლანეტის ღმერთებზე ბევრად მაღლა მდგომია (ამ შემთხვევაში არ იგულისხმება სამყაროს უზენაეს-მეუფე-ბა). ას წელს მიახლოებული პატარა ტანის, წელში მოხრილი, სახედანაოჭებული, ცისფერ-შევიწროებულთვალება, საუკუნის ბუნდოვანი სუნი რომ ასდიოდა დაღონებული მოხუცი ყოველ წუთს სულმოუთქმელად იმედიანად გოდებდა: ამოვა ბჟა მალე! აბა რა იქნება?! ნუ გეშინიათ, ბაბა!.. მერე მორჩილებით ითხოვა, ის ჩემი ნაბლისფერი დაუკოდავი მოზვერი ჩამოიყვანეთ მთიდან და ძველებური ადათით მაღალ, მწვანემინდვრიან



გორაკზე შესწირეთ ქვეყნის მანათობლის დიდებასო და ცრემლები ღაპალუპით წამო-
უვიდა... სად ხარ, ჩვენო ბუა, დაგვენახე! ნუ მიატოვებ ჩემს ისედაც ტანჯულ მხარეს,
მზიულეთელ ოდიშს – ხშირად იმეორებდა საცოდავად სახედატანჯული ბერიკაცი.

როგორც მთელ ქვეყანაზე, აქაც სამარისფერი, უჩვეულოდ ატეხილი უდაბნოსე-
ული სულთამხუთავი სტიქია სტვენა წრიალი მძვინვარებდა დემონურ ქარბორბალა-
სავით. წინანდელი ის ყოველდღიური ცხოვრებისე-ული მძიმე მრავალი განცდა, რაც
კი ბუნებისგან უგრძნიათ ადამიანებს, თითქოსდა ახლობელი, შინაურული იყო და პი-
რადული. დღევანდელი კი სრულიად კოსმოსს გაღმეული უცხო მოვლენა გახლდათ
ჯერ განუცდელი ნერვიული გაურკვევლობიდან მომდინარე, ღრმად გაუცხოებული
მღელვარებაშეყრილი ციდან გადმოხვეწილი. მიწიერ მოვლენა-ყოველ უბედურებას
ვითომდა ახლავს იმედი მომავლის საშველისა: წარმოიდგინეთ, თვით სიკვდილიც კი;
მიცვალებულს როცა დაკრძალავენ, ჭირისუფალსა და გარდაცვლილს შუა ყოვლის-
შემძლე ცოცხალი, მსუნთქავი სიკეთის უსაზღვროობის შემოქმედი მიწა რომ ჩადგე-
ბა, თითქოსდა ქვეცნობიერი იმედი გაჩნდაო ძალიან შორსმავალი მრავალქვეყნიური
(ბევრი რამე სიკვდილთანაა მიერთებული, მიწა სამყაროსეული სიცოცხლითაა მა-
რადიული. მკვდარი მიწის ერთი ბელტიც არ არსებობს...). სიკვდილ-გარდაცვალებას
მხოლოდ კეთილი სიტბო კურნავს პლანეტა ბრძენი. მიცვალებულთ უცნაური დუმილ-
გლოვა-ერთობაა მიწა, მარად ცოცხალი საფლავთ იმედი და სამყაროსეული სიტბო
მზის სხივები ნათელი. უთუოდ რომ გარდაცვლილთა სინანულით გახსენებაც, იდუმა-
ლი სიცოცხლეა ჩვენგან დავანებული. ხოლო ამ შემზარავსა და უბედურების წარმო-
უდგენელ შემთხვევაში ადამიანები ვერ ჩანვდომიან, დედამიწის მოძრაობის შეჩერე-
ბაა კატასტროფული, მზის გაურკვეველი მძიმე მოვლენა, ვარსკვლავეთის მთლიანი
დაღუპვა თუ რაღაც, ძალიან მიუწვდომელი, მიუდგომელი, ისეთი, რომ დედამიწაზე
არავითარი, ამ ვითარების და მდგომარეობის გამოსწორების მეცნიერულ-ბრძნული
შეგონების საშუალება იმედ-ოცნება-ფანტაზიითაც მოუძიებელი გახლდათ.

დაძაბული დრო-სივრცე და უკვე უკუნეთად გარდასახული გარემო გაურკვევე-
ლად, მიწისქვეშეთის ფერად შიშისმომგვრელ ჯოჯოხეთურ გამკვრივებამდე შეიკუმ-
შა...

უკიდურესად შემაშფოთებელი გარემოსაგან თავბრუდამხვევად შეძრული ყო-



ველი ადამიანი წარმოუდგენლად წუთი-წუთზე სულიერად და ფიზიკურად იღეოდა...
ოჯახის პატარა ფერდაკარგული, შიშვეპყრობილი, უჩვეულო მდგომარეობაში მყოფი
წაბლისფერ თმასუჭუჭა და მომწვანო ცისფერთვალე ბიჭი, ხშირ-ხშირად იმეორებ-
და, ძველ-კოლხურ წარმართულ თუ მზის თაყვანიმცემლობის მრავალი ათასი წლის
წინანდელი, კერძოდ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სადიდებელ ლექსად ნათ-
ქვამს:


„ბჟა დიდა ზე ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი“
(მზე დედაა ჩემი,
მთვარე – მამაჩემი,
მთციმციმე ვაწსკვლავები
და და ძმა ჩემი.)

— ეჰეი, შეგნებულო ადამიანებო! პლანეტელებო! თურმე როდის იწერებოდა შე-
დევრ-ლექსები კოლხეთ-იბერიაში.

მერმე, ფიქრებით უკვე სამყაროს სივრცეებში მყოფი და უმზეობით ნალვლიანი
ბავშვი დარდით მისუსტებულ, შებინდებისფერ, ჩონჩხად ქცეულ დიდ ბაბუას იმედით
ჩაეხუტა და ეკითხება: – ანი რა მოხდება, ბაბუ? – ცუდი არაფერი, შურიგე, ბჟას რომ
შემოვევლე, ამოვა მალე და...

როგორც მოგვახსენებენ, სულიერი სიმშვიდე საუკეთესო გამოსავალია უბედუ-
რების შემთხვევაში. ბრძენნი ძლიერნი არიან ნებისმიერ დროს და მათგან ვინც იყო
გადარჩენილი, მხოლოდ უტეხი სიმამაცე-მოთმინებისკენ მოუწოდებდა ხალხს.

ყოველგვარი დუმილი საამო და საცნაურია, მაგრამ მზის მიუწვდომლობაში უჩ-
ვეულო გატრუნვა და დედამიწის უძრაობა ვარსკვლავეთისგან განგაშმეყრილი სა-
შინელება ყოფილა... ამ სამ საათში პლანეტის მეორე მხარის მიდამოები, სადაც მზე
უძრავად მდგარი უწყვეტივ აცხუნებდა, ბუნების მოულოდნელობისგან უკიდურე-
სი ნერვიული შეტევები მოედო ირგვლივეთს. წყალში, ხმელეთზე, ცოცხალი არსებანი
თვალგახელილი და გაოგნებულნი მისჩერებოდნენ ცის კაბადონს და მზის ჩამაფიქ-



უძველესი, კოლხური მზე: მთვარე და ვარსკვლავები.



იანკების მზის კალენდარი.



რებელ უძრავ, მშვენებააყრილ ჩრდილებს. დიდი სხივღვთიური მანათობლის მაღალი ტემპერატურით და ჩრდილთ-ყოველთა უძრაობით, ფსიქოლოგიური შეკუმშვით, ნერვიული უძრაობით და საერთო სულიერი ნაკლოვანებით იხუთებოდა იქაურობა. ჰაერსაც დაეკარგა საკმარისი ჟანგბადი, წონა და სიცოცხლისუნარიანობა, გონებისთვის მიუწვდომელია და დედამიწასაც მიზიდულობის ძალაც ეცლებოდა...

„თუ ცუდს ველოდები, დღო გაჭბის, თუ კაზვს – მიცოცავს“ (ვოლტერი).

მზის გარემოსეული შეგონებაა...

თანამედროვეობის გამოგნებელი ცივილიზაცია თანდათანობით ძალას და ფერ-ფორმას კარგავდა. ობსერვატორიების ასტრონომ-მეცნიერები, ურთიერთთან გამუდმებულ კავშირში იყვნენ და მზიუღეთის უცხო ნალექვის მძაფრ მოლოდინში ვარსკვლავთა სამზერ აპარატ-ხელსაწყოებს არ შორდებოდნენ და პლანეტების უჩვეულო ყოველწამიერ გადაადგილება-განწყობილება-მოვლენებს აფიქსირებდნენ... ურთულესი ჟამი დაბინდული არნახულად და გაუგონრად გაიწელა. თითქოს უკან იწყოს სვლა. მოძრავი საგნებ-აპარატებიდან ყველაზე უფრო საათებს გაუჭირდათ. დროის ათვლას კი აწარმოებდნენ, მაგრამ მთავარი, ნუთები თუ წამები უაზრობად იქცა. უკიდურესად აირია მათი სივრცობრივი განსაზღვრის ფუნქცია და მზის სისტემისეული საათ-წუთ-წამობრივი ათვლა. უჩვეულოდ არეული უხეშად განერიდა ზუსტ მიმთითებელს. საათი გახლავთ გარემოს, სივრცის, მაჯისცემის დათვლა. ის მხოლოდ ადამიანმა კი არ გამოიგონა, არამედ განგების სიკეთემ გამოიყვანა სამყაროს უსასრულობის სივრციდან – მზის სისტემის კვლავ დაუდგენელი დროის პირობითი ამთვლელი აუცილებელი და მართალი მექანიზმი... (ყოველი უმნიშვნელოვანესი ხომ ციდან მოენოდება ადამიანს). სამყაროს უკიდევანო სივრცეში, მზეთა მიმოქცევის სხვადასხვა განზომილებებია. ასევე მის მიუწვდომელ უშორეს უსასრულობაში, სიცოცხლის ურთიერთისაგან განსხვავებული ფორმები და სახეებია, რომლის შეუსწავლელ საოცრებას ადამიანის გონება ანუ ცივილიზაციები ჯერჯერობით ვერ წვდება. დანამდვილებით მწამს, ზეცა, როგორც ჰაეროვანი უხსოვარდროინდელი შედეგრ-სამარხებით, ასევე უსასრულო ცოცხალი მესხიერებითი ფორმებით, ფერებით, ხაზებით და მუსიკალური ბგერებითაა სავსე... დედამიწაზე სულიერი არსი და ფუნქციები განსხვავდება ალბათ, რომელიმე გალაქტიკის გულმფეთქავ პლანეტაზე მოფენილ არსებათა სულით,



გონებით და სხეულის სხვა შემადგენლობისაგან. შესაძლებელია სრულიად სხვაგვარი შემადგენლობის ჰაერით სუნთქავდეს იმ პლანეტაზე მცხოვრებნი ანუ მიუწვდომელი მაგნიტური გაურკვეველი ველებითი ხაზ-ფერ-შუქდინებით იკვებებოდნენ. ნარმოიდ-გინეთ, არსებათშორისი ბოროტება იქ უთუოდ მინიმუმამდე იქნება დაწეული. სამყარო ხომ უზარმაზარი შემოქმედია, რომელსაც განაგებს უსასრულობის დიადი ძალა ყოველთა განუზომლობისა...

დაფრთხნენ და დაიბნენ უნაზესი, უკვე მიბნედილი შუქ-ჩრდილები – მოიშალა მათი უზენაესისგან დაკანონებული მიმდევრობითი მოძრაობა-მოქმედებები. საშინელმა უძრაობამ ქვეყნიური ელფერი დაუკარგა... სადაცაა, ღამესა და ღღეს შორის განსხვავება უკიდურეს ნაშლამდე მივიდა, სინათლის წყარო, ფორმა, ფერი და არსი ნარმოუდგენელ გაუცხოებას მიუახლოვდა. გაურკვეველი სივრცის ვარსკვლავეთური დაუდგენელი თავბრუდამხვევი ასტრონომიული განზომილება ეუფლებოდა ურთულესი მოვლენით შეკუმშულ ბნელში ჩავარდნილ ქვეყანას.

„შეშ, ზოდესაც სამშეა, ყველას ეჭევ“ (იბსენი).

ეს შეგონება ყველაზე მეტად ამ შემთხვევაშია გასათვალისწინებელი.

მზის გასხივების ზეაღმტაცი ენერჯის განუზომებლობა უკიდევანოა, ღიმილის მომგვრელია, სამაგიეროს მიგება ყოველმხრივ უძლიერეს ზნეობრივ მიუწვდომლობასთან. ჩვენს პლანეტაზე მოვლენილი რელიგიურ აღმსარებლობებზე შენიღვები და პირადი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანები, ოდითგანვე გარდაუვალი ყოფილა. საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებით ნარმართობამ შეინირა ადამიანთა მოდგმის ულამაზესი ნაწილი და გაანადგურა თავისი რელიგიური, უაზრო და არანორმალური ფანატიკური რწმენიდან გამომდინარე. ნაწილობრივ ქრისტიანობაც ვერ გაექცა რთულ ზნეკოსმოსურ უკიდურესობებს და უფლის წმიდათანმიდა ამბიონზე პირადი მსხვერპლმიტანები აუცილებელი გახდა. საუბედუროდ, ჰუმანური სარწმუნოების უერთგულეს მიმდევართ, ნარმართები და სხვა სარწმუნოების მოთავეები სიკვდილით სჯიდნენ. ამ შემთხვევაშიც ვერ გაექცნენ ღრმადმორწმუნეები გაუთვალისწინებელ დიდ მსხვერპლს. უფრო რელიგიურ ნიადაგზე ხოცავდნენ სიყვარულის სიკეთის და ურთიერთმეგობრობის ქრისტიანებს (პირადი შენიღვის ყველაზე უზენაესი და ღვთივზნეობრივი წმინდად მიუწვდომელი ფორმა გოლგოთაა). ძალიან ხშირად, სარწმუნოებრივი დაპი-



რისპირებები სამკვდრო-სასიცოცხლო ომებით მთავრდებოდა რატომ და რაზედ? მრავალ რელიგიათა ღმერთებო, ასე ძნელია თქვენი შერიგება-მორიგება?! თუ ვერ უმკლავდებით მძაფრ პლანეტათა უბოროტეს გამოსხივებებს?.. მიახლოებით, ვიმეორებ, სამყაროს შორეულში ქვეცნობიერად ვგრძნობ, ჯერ ჩვენამდე მოუღწეველი ვარსკვლავთა სხივებივით და უძლიერეს სიახლე რელიგიათა სიმრავლეა კოსმოსში, რომელიც მომავალში წარმოუდგენელ პროგრესს უბოძებს ადამიანებს...

უძველეს აღმსარებლობებში მსხვერპლად მიგება ძალაუნებურადაც იმართებოდა ჯანსაღი სარწმუნოების და მართალი აზროვნების უქონლობით, ჭეშმარიტებასთან გონებრივი მიუწვდომლობიდან გამომდინარე. ამ დროს მზე-კეთილი პლანეტებს და თანამგზავრებს უმცირეს მოლეკულამდე იმდენად ზედამხედველობს და ფლობს, რომ უძლიერესი ენერგიაც შესწევს, როგორც მოესურვება ისე წარმართოს თავისი სისტემა უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. მაგრამ უკიდევანო შესაძლებლობის მანათობელი ენერგიით სავსე, ზნეკეთილი წეს-მეუფეა ყოველთა მიმართ, რომ მისხალითაც არ უხვევს და ცვლის სამყაროთა გამგებლის მაგნიტურ სხივძალოვან მრავალგანზომილებიან ზეფილოსოფიურ-მარადიულ აზროვნებას, მტკიცედ უსასრულობის უსაზღვრო სამყაროსეული გონმიუწვდომელი ყოვლისშემძლე კანონის უმძლავრეს-უკეთილშობილესი ფუნქციონერია საკვირველი და, უთუოდ, ქვეყნიერების უხილავი მფლობელის ყოველთა მომწესრიგებელი ზეძალაა, ალბათ პლანეტაზე არსებული ნებისმიერი აზროვნებისთვისაც სიახლე. ის რომელიღაც პლანეტის ვარდისფერი, უტეხი ლოდით მყარი უხილავი მრავალფორმიან მიზნობრივი აბსტრაქციაა სასწაული მომრეგულირებელ-მარგანიზებელი. ხელოვანთაგან ვასილი კანდინსკი, ხუან მირო, პიკასო და მათი მაგვარნი, ეჭვგარეშეა, მიახლოებით მაინც სულ-გონ-გულით ფლობდნენ და ვარსკვლავეთურად ბჭობდნენ თითქმის მრავალთათვის ამ შეუცნობელ არსებულზე...

როგორც მოგახსენეთ, დროის ფენომენი გალაქტიკებში და უთვალავ მზეთა სისტემებში მრავალტევადია, სახოვანი, შინაარსიანი და ბოლომდე მაინც შეუსწავლელია. ჯერჯერობით გარკვევით არავინ იცის, ისინი როგორი თვისებების, ზომა-განზომილების, წონის და სივრცობრივი ფუნქციებისაა. ჩვენ მცირედით, მზის სისტემის მიახლოებითი მინიშნებებით ვკმაყოფილდებით, ზეციურობის უდიადესი დროის იდუმალ



გარკვეულ სვლა-დინებაში რომ ვართ მოქცეულნი... უდავოდ ცნობილია, რომ სამყაროების უსასრულობის უშორეს სივრცეში დრო ქრება და დაუსაბამობაა...

„ყველაზე მეტი ღმრთს მიაქვს, თუშეცა ყველაფერს ღმრთ გვაძლევს“ (პუბლიუსი).

უდიდესი ჭეშმარიტებაა ყოველნუთიერი...

ამასობაში, ის მძაფრად გვალეღვებს, რათა ყოველი ჩვენთაგანის საკუთრებაა. მრავალმხრივ გვაკრთობს, გვაშინებს, ცნობისმოყვარეობის მოლოდინში გვამყოფებს, გვახარებს და ხშირად მაღალი სიყვარულით გვავესებს, გვატირებს და გვაცინებს; ზოგჯერ სიძულვილსაც მოგგვრის; მტერ-მოყვარეს გვიმრავლებს. უთუოდ გლოვას და მიცვალებულთა სიმრავლესაც არ გვაკლებს. შობა, ზეიმი, დღესასწაულები და იუბილეები დროშია ჩაქსოვილი. ოპტიმიზმი, სევდა, შური-ბოღმა, გაუტანლობა და ღალატი მისი მოთრეულია.

დრონი ძლიერობენ და არა მედგარნი ჭკვიანნი თუ ბრძენნი: მისი აღმატებულება სამყაროს სხვადასხვა მოცულობის თვისების და ხანგრძლივობის შესაბამისი თვალცრემლიანი ცისფერი მანქანაა. მას – ქარ-ომიც მოაქვს და მშვიდობაც. უდიადესის უსასრულო ფუნქციანთა აღწერას თუ მივყვებით, მრავალტომეულში არ დაეტევა, რასაც ის ატარებს ქვეყნად და ტოვებს სასიკეთოდ თუ საუბედუროდ.

ძლიერი ანმყო, მომავლის მტკიცე ფუნდამენტია, წარსულის შარავანდედით და ღვთიური წყარო უკვდავებაა. დაუდგრომელი მზით განათებულ ყველაზე ეფექტიანი სახით ანმყოს გვიჩვენის; ქმედებით რეალურს, ხატულს და უახლოეს, ხედვით, სმენით, გემოვნებით, შეხებითი შეგრძნების სრულყოფილ შენთან ერთად მყოფ რეალურ სინამდვილეს. აქ აუცილებელია, განვმეორდე: მას გააჩნია წარსულის სრულყოფილი მეხსიერება და ისტორიული უმდიდრესი სამარხები როგორც მინაზე, ასევე ცის უხილავ სიღრმეებში, რა თქმა უნდა, ყოველ ადამიანთა მოგონება-მეხსიერებაშიც. დროს თავის საკუთარი მუდმივი ფონდები გააჩნია. დიდმოძრავის ისევე უმნიშვნელოვანესი მესამე ნაწილი – უჯრედი-მომავალი, უძლიერესის სივრცის სიღრმეებში იკითხება. იქიდან მოედინება ყველასათვის მისაღები სულიერი თუ რაღაც შეუვალ-გაურკვეველი, რითაც იძერწება პატარაობიდან ნებისმიერი პიროვნება, მრავალმხრივ ადამიანურ განწყობილებათა ნამდვილი სახით, დადებითი იქნება თუ უარყოფითი. დრო შეუჩერებლივ უსაშველოდ მოძრავია, მკვებავია და ვინც როგორ შეითვისებს, ისეთსავე



შედეგს ტოვებს როგორც მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ასევე ნებისმიერ ჰუმანიტარული დარგში და ცხოვრების ფართო გარემოს ყოველდღიურობაში. ეს დიდი ძალა თავისი სამივე ერთიანი მზის სისტემის ურღვევი ფრთით – ჩვენში მღელვარების, ძიების მრავალმხრივი ქმედების უძირო ცის სივრცობრივი ჭაა. თავად ხომ მარად ახალგაზრდაა – უფრო მარადიულია, რომელიც განუწყვეტლივ მოედინება და გაედინება. სამყაროს უხილავი შეუჩერებელი ორგანო ბადებს, ზრდის, აბერებს და კლავს როგორც სულიერ, ასევე უსულოთ. ის არავის უწევს თანაგრძნობას მხოლოდ ყველასათვის და ყოველთათვის გამოყენების სრული თანმდევი... განგაშის განცდით მინდა აღვნიშნო, რადგანაც ის! მრავალი აღმსარებლობის მომყვან, მოქმედ-მომძველებელია; უთუოდ რომ ვარსკვლავეთის, ჩვენი პლანეტის სარწმუნოებრივი ევოლუციაცაა მარად დაუმთავრებელი. მაშინ უფალმა მაპატიოს და ეს დინება სასწაულებრივი ზეძალა ყოფილა სამყაროსი. უთუოდ მრავალნაირი სახის, ფორმის და მოქმედების ნებელობაა უსასრულობაში, მზე-ღმერთთან მივყავართ – მასთან ვარსკვლავეთურად გვაზიარებს, გავყავართ და გვატრიალებს, დრო! მზის უდიადესური მშობიარობაა, სამყაროს უხილავი და უზარმაზარი მოძრავი საშოა. ყოველწამიერი თუ მემილიონედი ნაწილი – წამისაც... საფიქრალია, რომ სამყაროების სხვადასხვა მიუწვდომლობის და მოქმედების დინება იმავეს უკეთებს ქვეყნიერების მზეებს, ვარსკვლავებს და აურაცხელ გალაქტიკებს. მიუდგომლად მკაცრია და დაუმორჩილებელი, ზოგჯერ დაუნდობელიც: ამქვეყნიურ დიდ მოძრავს ვერ შეაჩერებ. და მასში ეტევა ყველაფერი, უსულო თუ სულიერი, მატერიალისტური თუ იდეალისტური, უხილავი და ხილული. ამ გონ-თვალმიუწვდენელ ძალას ვერ შევედრები, ვერაფერს მოსთხოვ და ვერც გაურიგდები. რადგანაც ის ჯიუტი, გაუგონარი-მოუხელთებელი და სმენას მოკლებული შორეული და ძალიან ახლოეული შეუღწევადი ურთულესი ფენომენია. ის – იგივე მზეა, მიახლოებითი უტეხი ხასიათით, განწყობილებით, თანაბარია ყოველთან და ყველასთან ურთიერთობით. უზარმაზართა უხილავობის და ხილულის ამდაგვარი ტყუპისცალობა გონებისთვის წარმოუდგენელია. ორივე ხომ უსასრულობის სხეულსავსეობის და უხილავ მტკიცეფორმიანი განვრცობაა უკიდევანობაში. უთუოდ სამყაროში მრავალი და ყველაფერი ბერდება, კვდება და ისევ აღმოცენდება სიახლეებით: ხოლო სამყაროს ყველა ნებისმიერი დრო უცვლელია და მარადიული, როგორც უკუწეტი სიბნელეა დაუსრულებელი: კოსმოსის



შავი ხვრელები, მაგ შეუღწეველი სიბნელის მძლავრი არტერიები ან სადღაც გამავალი უძირო, მრავალთვისებიანი ბნელეთის აუზები ხომ არ არის?!

მას საიდანღაც გაუთავებლად მოაქვს, გვანახებს უთვალავ რაღაცებს და უთავბოლოდ მიჰქრის: სამყაროს ეს მძლავრი ძალა, მზის და მრავალი პლანეტის ასტრონომიული მოძრაობის უშეცდომო ათვლაა და მათგან წარმოშობილი ვარსკვლავთური ქარის, ზოგჯერ, როგორც ვთქვი, ქარიშხალი და ქარბორბალაც. უთუოდ, ქვეყნიერების და ჩვენი პლანეტის ყველაზე მართალი ისტორიაა ქმედების მეცნიერული კვეთით. სასაცილოა, უგონო ადამიანები ხშირად დროს ამ ფენომენს რომ ებრძვიან, მაგრამ...

მსოფლიოს გამოჩენილმა არქეოლოგებმა ოცდაათი ათასი წლის წინანდელი ცივილიზაციის ნიშნები იპოვეს ირანის მიწაზე, ის ხომ დედამიწის უძძიმესი და გასაიდუმლოებათა თავად უძლიერესი და უჩინარი დროის შედეგია. მან დააბერა და გააყვითლა რამდენიმე ათასწლოვანი მარმარილოს არქაული ქანდაკებები. შედარებით ყველაზე უკეთ უძლებენ ეგვიპტის გრანიტის ქმნილებანი. ესაა ის და მისი მთავარი ფუნქცია-თვისებები. ხოლო დროის და მზის ერთობლიობა უფრო და უფრო ცვეთენ ზემოთ დასახელებულ ქვაში გაცოცხლებულ შედევრებს და ყველაფერს. აი, ასეთია, მეგობრებო, მისი თვისებები: კიდევ, ჩემთვის საკვირველი რაა?! ეს კოსმოსური საოცრება, სიკვდილ-სიცოცხლესთან მუდმივად და თანაბრად რომ თანამშრომლობს...

ღმერთო გვიშველე, დაგვამშვიდე და დაგვანყნარე ყველა ჩვენგანი, რამდენი რამე, უძძიმესი და ურთულესი, მიუკვლეველია ჩვენი გარემოს უსასრულობაში და იქნება...

გალაქტიკების და სამყაროს ჩვენთვის უცნობი, მაგრამ მიახლოებით მაინც შესწავლილ-მონიშნული ახალი საოცრება შვიდი განზომილების მეცნიერული მცნება თითქოსდა მოუახლოვდა მშობლიურ პლანეტას, ბოლომდე მაინც ვერა და არ გამოიკვეთა. პლანეტარიუმის ამ მომავლის – დიდი ფორმის დედამიწაზე მოსვლისას შესაძლებელია უდიდესი მეცნიერული სიახლეები წარმოიშვას: ალბათ შვიდი განზომილება და ცისარტყელას ანუ ქვეყნიერების გამოკვეთილი ფერები, ურთიერთმეუხებელ კავშირში არიან: ნეტავ იმ ეპოქას, ამას ყველაფერს დიდი მეცნიერები რომ გაარკვევენ, ჯერჯერობით ადამიანთათვის სრულიად უცხოს. უთუოდ რომ გაუგონარი შედეგი მოჰყვება ამ ყველაფერს, მომავლის ცივილიზაციაში. ალბათ დრო უნდა საკმაოდ დი-



დი, როგორც ათი მცნების ადამიანებთან მოსვლას დასჭირდა და ვინ იცის, აქაც რამდენ სასწაულს აღმოაჩინეს მომავლის უსასრულობის ათიათასობით არეალში...

მზე, გაძარცვული ცის სიღრმე-სიგრძე-სიგანის განზომილებაზე არ ჩანდა. დედამინა ფერშეცვლილი, სხეულდაჟეჟილივით, გაბუტული ეკიდა სივრცეში და ნალვლიანად დუმდა რალაც დაუდგენელის, გაურკვეველი, ჯერგაუგონარის, არქაული ფიქრთიქითა აზრთ სიშორიდან მოახლოებული მძაფრი მოვლენების შეგრძნებით. ქვეყნიური ძველი თვითნაბადი თუ ღვთიური ზნე-კანონები შეწყდა, ახალი კი არ იქმნებოდა. ზეცის სიშორიდან შემოქმედთათვის წარმოსახვითი ფანტაზია და მუზათაგზავნილებაც არ ჩანდა. ფერთა სპექტრის გარეშე გამოუცნობი მუქი ფერები უმიზნოდ მომრავლდა და იმქვეყნიური თუ ქვესკნელური მძაღე სულდამრღვევი სუნი აჰყვა, თან შორეული გაურკვეველი გაბმული კივილისმაგვარი ხმა მოდიოდა საიდანღაც ცის დასალიერის მიუწვდომლობიდან; მათი გონება ალბათ მილიონობით წლის წინანდელ პირველყოფილ ადამიანთა – გამოქვაბულების და მღვიმეების შეზღუდულ აზროვნებაზე დადიოდა...

ისევ მგლოვიარობა, უაზროდ გათიშული მინა-პლანეტა, საცოდავად თითქოს ყველასგან მიტოვებული, განმარტოებით უძრავად ეკიდა სუნთქვაშეკრულ მიუწვდომელ ღრუბელ-ბურუსით დაბინდულ, ციური ოკეანეს მიმსგავსებულ ჩაბნელებულ სივრცეში...

დედამინა სიცოცხლის, სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების ვარსკვლავეთური უწყვეტი საშოა. აგრეთვე მრავალ აღმსარებლობათა უზარმაზარი დაუდგენელი სტილის ბროლის საყდარის უთუოდ ბევრად უფრო ძლიერი სიკეთე ეგზავნება მზისგან და ხშირად ანეიტრალებს უცხო სიბნელის კვალს, მაგრამ მთავარი მიწიერი დამოუკიდებელი გამორჩეული ღვთივწყალობითი პლანეტისეული ზნეობა მაინც მძლავრობს – მარადიულად.

უხაროდათ ეშმაკს და სიკვდილს – უსახო ბოროტ-ბნელეთის მებრძოლ თანატოლებს...

სულიერთა და უსულოთა მრავალმხრივი და ყოველგვარი ურთიერთქმედება სიკეთე ჩაკვდა, ვილაცყებმა და სრულმა ტარტაროზულ გაურკვეველობამ, ბნელის ტალღოვანმა შავბნელმა გზავნილებმა ღმერთი მეორედ ჰაეროვან, წვიმის მომყვან ღრუბ-



ლისფერ გოლგოთურ ჯვარს აცვეს და უსაზღვროდ წარმოუდგენელი, ყოველთა დამთრგუნველი დემონური ენერგიები დაჰქრიან. განუზომელი ქვეყნიერების დიადური ძალა – შუქ-სინათლე, უმოქმედოდ მიმალულიყო. აღმოსავლეთის ცის დასალიერი მუქლურჯ ჰაერის უკვე ზანტად ჩამდინარე სვლით, უჭირისუფლო და მიუხედავ ბნელ უმიცვალეზულო სამარეს დაემსგავსა სამყაროეული უძირო სევდით გარემოცულს. შენ, წყაროვ, მზეო! შემოგეველეთ ტან-ფესვებიანად, გამოჩნდი და დაგვენახეო, ყოველთა დიდო იმედო-მფლობელო, – ამდაგვარ შეძახილ ხმებს ნებისმიერი მცენარეები და უძრავი საგნებიც გამოთქვამდნენ უთუოდ... ყველაზე უფრო მაინც მოაზროვნე არსებათ უჭირდათ და მომწვანო-ლურჯსახოვანნი განწირულები სულს ლაფავდნენ.

ის ადამიანები, რომლებშიც მზე ბევრად იყო ჩაღვრილი, მოვარდნილ სიკვდილს შედარებით გადაურჩნენ: უბედურების მომლოდინე პლანეტაც ჯერჯერობით ინარჩუნებდა ჯანსაღ მთლიანობას, რათა მასში მზე – მარადიული მძლავრობდა და შინაგანად ანათებდა...

„განსაცდელის ჟამს ყველა უბედურება ეზთად იყრის თავს“. (იოანე დამასკელი)

საუბედუროდ, ამ ნაწარმოებშიც აბორგდა ეს მოვლენები.

პლანეტების კოსმოსურმა მოძრაობა-სვლათა წარმოუდგენელმა კანონიკურმა წყვეტამ და უმზეობამ წარმოუდგენლად არივ-დარია ისედაც დაძაბული ქვეყანა, ბოროტება და სიკეთე მძაფრად ენაცვლებოდა ურთიერთს, სიკვდილის უზარმაზარი შხამიანი სამარისფერი ჟანგმოდებული მანქანა თავისი მორყეული ბორბლებით დარიხინებდა ზევით-ქვევით, ციდან მიწამდე. ყოველივე და ყველაფერი მორიელისფერ-რქებაყრილი ეშმაკის შავ სასწორზე იყო შეგდებული.

„გაჭიფება ყველა მეცნიერებაზე მეტს ქმნის“ (ეზოპე).

ამდაგვარი მოვლენა ყოველ ჩვენგანს თან ახლავს.

მინა, კაცთა და ყოველ არსებათათვის დაუთმობელი და განუყოფელი, დღეს პირველად კარგავდა თავის ბოროტების და სიკეთის თანაბარ საწყისებს, რომელიც მისდა ჩაურევლად ბატონობდა; მაჯამფეთქავი უკვდავცოცხალი მინა-პლანეტა კეთილი, უტყვი, ამდაგვარი მდგომარეობებით შეძრული, თავისივე გატანჯულ სფეროს, ნაღვლიან მთვარისფერ ცრემლში ცურავდა. სამზეოში, გამოუღეველ სიყვარულსა და სიკეთესთან ერთად, რადგანაც ბოროტება მძლავრობდა, ამ ურთულეს დროის მონაკ-



ვეთში ავთვისებიანი უკეთურობა მკვეთრ-სამოქმედოდ გამჟღავნდა.

დედამინა ჩვენი მზის სისტემაში იდუმალხილული-ანდამატური სიცოცხლით და მდიდარი სულით სავსე პლანეტაა, უთუოდ ირმის ნახტომსა და უახლოეს ანდრომეიდის ჩათვლით გალაქტიკებშიც მისებური უმშვენიერესი მზიურ-ციური სხეული არ მოიხილვება მრავალთა ვარაუდ-ინტუიციით. მარად ცოცხალი – მსუნთქავი გულმფეთქავი ღვთივ-შემოქმედებითი ბინადარია პლანეტარიუმის დასახლების წარმოუდგენელი უსასრულობისა. უთუოდ უფლის რომელიღაც უმთავრესი სხეულ-უჯრედია მინა მეტყველი ცხელსისხლა ყოვლად უმთავრესი... სამყაროს მმართველის, მოცისფრო-მომწვანო, ვერცხლისფერებში გახვეული, კოსმოგენური საპატიო უახლოესი და ღვთიური სითხით სავსე ბრილიანტის თასია. აურაცხელი საფლავები, რომელნიც მის სხეულშია შერწყმულ-გაერთიანებული, ყოველივე იმავ თვისებისანი არიან, რაც საკმაოდ მოკლედ ჩამოვთვალე. უხსოვარ დროიდან გარდაცვლილი ადამიანები, წმიდანების და გენიოსების ჩათვლით, ცხოველები და თევზები, ფრინველები თუ მცენარეები, უნაკლო დედამინაა ამყამად და მარადის... – უხსოვარი დროინდელი მცნებაა მართალი: „მიწა იყავ – მიწად იქეც“ და იცოცხლებ მარადიულად... (ვიმეორებ, ტანჯვის-მომგვრელი სიკვდილიდან აღმოცენდება სიცოცხლე): ძველი და ახალი საფლავები, ხომ გოლგოთებია მარადიული...

„გეშინოდეს სიკვდილის აზა საფრთხის დზოს, აზამედ მაშინაც, ზოდესაც აზაფეზი გვემუქება. დე, ადამიანი ყოველთვის დაზჩეს ადამიანად“. (პასკალი)

დიახ! ყოველთვის გასათვალისწინებელი ბრძნული მოძღვრება.

სულისა და გონების შემარყვევლ, ჯოჯოხეთურ ჩვენი პლანეტისეულ ამ უკიდურეს შემთხვევებში მინდა სოფლის ცხოვრების მძიმეშინაარსიანი მიწიერ-ცხოველური ავზნიანი სამარცხვინო მოვლენები გამოვყო და მორიდებით მოგიტხროთ. ერთ-ერთი სოფლის ჩვეულებრივი ოჯახის უფროსი ძმა, მამისეული მამულის მთლიანად დაუფლების მიზნით სულმოკლე და გონგახელებული, სრულიად მართალ უმცროს ძმას გამეტებით დევნიდა. ამ თემაზე ნაჩხუბებისას დაუნდობლად მარჯვენა ფეხი წვივთან მოსტეხა. იმავე საკითხზე უკვემერამდენედ წალაპარაკებისას მწარედ დაემუქრა და განუცხადა, მთელ ეზოში მხოლოდ მე და ჩემმა ოჯახმა უნდა ვიცხოვროთო. ამ დროს უმცროსმა უშფოთველად მიუგო: – ორივეს გვეყოფა ეს დალოცვილი მამაპაპეული,



საკმაოდ დიდი ფართობის მინაო და პირადად კი, მშობლიურ სოფელს და კუთხეს, ღვთიური სიყვარულიდან გამომდინარე, დედულ-მამულეთს არასოდეს მივატოვებო. ამით გაცოფებულმა და სახეშეშლილმა უფროსმა, ჯოხი ესროლა და მარჯვენა ქუსლი მძიმედ დაუზიანა. ხოლო დედამინის და სოფლის ამ უმძიმეს დღეს, დამფრთხალი და სახეგაფითრებული სიტყვიერად ინანიებდა თავის უზნეო, უკეთურ და უღვთო ქმედებებს, მაგრამ თურმე მხოლოდ რამდენიმე საათით.

„სიკეთე სიამოვნებაა, ბოროტება კი – ტანჯვა“ (შექსპირი).

მზესავით ნათელი და რეალური შეგონებაა...

უფლისა და მზის უსაზღვრო სიკეთემ ვერ უშველა მას, ეტყობა სრულიად განსხვავებული ქვეცალა (კოსმოსური სივრცის ჟანგი) მართავდა ამ კაცს. მზისგან მიღებულმა სითბომ და უსაზღვრო მადლმა ვერ გაუხსნა უფლისმიერი სიკეთის სულ-გონიერება. ხოლო დღეს, საქვეყნო დაღუპვისაგან შეძრწუნებულს რატომღაც უბრუნდება მონანიებისა და კეთილგონიერების აზრ-თვისება და თავს ხრის უფლისმიერი ჭეშმარიტების წინაშე, მაგრამ უზენაესის ნებით თუ... როგორც ინათა პლანეტის სხივსავე სიცოცხლემ და იგი უმალ უბრუნდება თავის ავკაცობის საშინელ ზნეს. ძალაუნებურად ისმება კითხვა: – რატომ?! სიკვდილის მოახლოების შიშმა ასე შეცვალა? ნუთუ უკუგამდინარე გახდა მისი ბოროტებისეიანი სიცოცხლის მოსვლა?.. რომელიმე ავთვისებიანი ვარსკვლავისგან უარყოფით სხივ-ნაწილაკებს ხომ არ ითვისებდა ავკაცობისკენ მიდრეკილი მისი სული და სხეული? ან...

„ცტუნის აზიან ძენი კაცთანი და მზად აზიან ბოროტების ჩასადენად“ (დავით წინასწარმეტყველი).

აქ გაცხადებულია ადამიანის მარადიული ამოუძირკვავი ცოდვილიანობა.

ამა სოფლის ტრაგიკულ თუ უმძიმეს შემთხვევებს რა გამოლევს და მინდა რამდენიმე დრამა-უკულმართობა მოვიგონო, რომლებიც მზისა და დედამინის განგებ ჩაურევლად რომ ხდება, უთუოდ და მხოლოდ ზევით მონიშნული ვარსკვლავის ყოვლისმძლე ავ სხივთა ეშმაკეულის მეოხებით.

დაოჯახებულმა, ცოლ-შვილიანმა ვაჟმა, საკუთარი მშობელი კეთილი მოხუცი დედა აღმზრდელი, გვერდით ცალკე მშვიდად მოსახლე, მოამაგ-მოფუსფუსე, უძველესი სახლ-კარიდან გააძევა და თვითონ დაეუფლა მისას ყველაფერს. შემდგომში შუ-



ძველი საბერძნეთი და აკროპოლი.
(უფლის ნაბოძები, სატანამ შემქმნელის
ხელითვე გაანადგურა)



ახნის ეს კაცი, მოურჩენელი სენით – ტანჯვით კვდება! მთის განაპირა სოფელში მამამ უღვთო, უზნეო და დამნაშავე შვილი თოფის გასროლით მოკლა. მერმე, მამა სულიერად ავადმყოფი ხდება. ერთ-ერთ თემში მთვრალი გალეშილი, უხასიათო, ბოროტი და უგონო შვილი უდანაშაულო მამას ფიზიკურად წაეჩხუბა და შემოაკვდა მშობელი. სასჯელის მოხდის შემდეგ, სამუდამოდ განეშორა სოფელს. ვინ მოთვლის, მხოლოდ სოფელში კი არა, ქალაქშიც რამდენი სიავე ცოდვილიანობა და უზნეობა უპირისპირდება დღესაცღვთიურ სიკეთეს და ამრიგად მიაბიჯებდა და მიაბიჯებს მრავალი უკეთურობით სავსე ქვეყანა და ებრძოდა და ებრძვის უფლისმიერ წმიდა ორანს, სიკეთე-სიყვარულს. „ადამიანის სულიერ-ზნეობრივი გარდაქმნა ბოლომდე შეუძლებელია, თუმცა მისი გაუმჯობესება ალბათ მოსალოდნელია“. დღეს კი მზის არგამოჩენამ მათგან (ბოროტთაგან) უმეტესობა ფიზიკურად იმსხვერპლა, რატომღაც მეტწილად არაკაცურ ადამიანებს უფრო ანადგურებდა ზეციური მკაცრი მოვლენები. მეორედმოსვლააო, ღრმადმორწმუნე ქალები მოთქვამდნენ.

„ზა ცუდია, უმეტესობა ადამიანებისა ეზომანეთის სულიერი ტკივილები ზომ აზიან“, „უზთიერთისიყვანული ზომ ხანგზობივი ბედნიერებაა ღვთიური...“

დამნაშავე ადამიანზე იტყვიან, ყოვლად წმიდა ღმერთი დასჯისო მას; მკრხელობაა, უფალი ქვეყნისა მხოლოდ სიყვარული, სიკეთე და სიბრძნეა: უკეთური-ბოროტი, ეშმაკთან წილნაყარი უკვე მწარედ დასჯილია; ქვეყნიერების გამჩენ-მხსნელი კი ორთავეს ნათელისაკენ მოუწოდებს და მადლს ჩუქნის...

„აზც ისე ჩქარა მოვა სასამართლოს დღო, ზომელიც ცუდ საქმეებს გასამართლებს, ამიჯთამაც ადამიანების შეილების გულებს ბოროტების ჩადენის აზ ეშინიათ“ (ეკლესიასტი).

ერთ-ერთი ცდუნებათაგანი დროის სივრცეში ცოდვილიანობისა...

მზის მეოხებით სიცოცხლე უკვდავი როს აღმოცენდების, ქვეყნიერების ღვთიური წყარო ანკარაა მარადიული...

ღმერთმა დაგვიფაროს და სამყაროს, წარმოდგენითაც კი, ის დაუხატავი სურათი კატასტროფის შემდგომ, ზეცას მხოლოდ ერთადერთი პლანეტაც რომ შემორჩეს – მზე, სიცოცხლეს ჩამქრალი არ დაერქმევა...

მომავალში ზეციური სიდიადის რელიგიური აღმსარებლობებიც რომ აღმოცენდეს და სასწაულებრივად გაძლიერდეს, ვერასოდეს ვერცერთი სწავლება და ცივილი-




ზაცია ვერ უარყოფს მზის ღვთიური უკეთილშობილესი და მაცოცხლებელი ენერჯის ქემპარიტი სიდიადის უკიდევანობას. წარსულის სხვადასხვა ათასწლეულის თუ საუკუნეებში მობრძანებული რელიგიები, მზის თაყვანისმცემლობის გაუქმების შემდეგ თავად მზესაც შეეხნენ უდიერად, რითაც მხოლოდ თავიანთ თავს და პლანეტას მიაყენეს სულიერი ზიანი... ყოველი რელიგიური აღმსარებლობა კოსმიურია და ნათელი; მხოლოდ ადამიანების გონებრივმა ნისლმა და სულიერმა სისუსტეებმა დაბინდა...

„მზე რომ არ აჩსებობდეს, სხვა მნათობთა სხივისნობის მიუხედავად წყვედიადი მოიცავდა სამყაროს“ (ჰერაკლიტე).

დასტური! მზე მარადიული და უცვლელი...

როგორი მიუწვდომლობაა: მზისა არ გეშინია, არც გერიდება და ბოლომდე ახალშობილივით ვერ გარკვეულხარ, გიყვარს თუ არა. მისგან არც იმედი, შებრალება თუ რაიმე განსხვავებულზე ფიქრიც ზედმეტია. როგორც სამყაროა მარადიული და მიუსვლელი, ისევეა მზე! მანათობელზე ადამიანს ჩამოყალიბებულ-შემადარი სალოცავი არასოდეს გააჩნდა, გასჩენია და გააჩნდება, მხოლოდ გონებით ბრმა სიყვარულია მასზე. ის ძალიან შორეული და უახლოესი აუცილებლობაა ჩვენთვის...

აღუწერელი ჟამი დადგა ცისა და ქვეყნის უსაზღვრო ანათება-ამაღლებისა... ბედნიერების სამზეოდან მზე სრული ასტრონომიული სვლით შორსხმოვან ფეთქებად აღმაფრენად ამობრწყინდა, რითაც რეალური სამოთხე გაიშალა მთელს დედამიწაზე. ზეცა მზის კაშკაშა სხივით გაივსო და მოცარტისეული ყველგანმავალი საზეიმო-ხალასი ციმციმა მუსიკის ჰარმონიული კეთილხმოვანი ხავერდოვანი ბგერები გაისმა... უცნაურზე სასწაული იყო, ყვავილების სულიერი ცქრიალა ფერადული ხმა რომ აღსდგა – საამოდ, ტანჯვამიყენებული ქვეყნის, უზარმაზარ მაცოცხლებელ სხივთგუნდებად გაივსო ცის გუმბათი. არაქვეყნიური უხმო მოგუდულ-შორეული უშიშარი გუგუნის წმიდანური, კამკამა კარუზოსეული ტენორული თითქოსდა ადამიანური ხმა ისმოდა საკვირველად და საამოდ აღმაშფოთებელი. მზის სისტემის საერთო შვებით უზომო ამოსუნთქვამ ზეცის უსასრულობამდე გააღწია. კეთილი მანათობლის სადიდებადელი ჰიმნ-ქორალი მოედო შორეულ სივრცეს. უფლისმიერ სიკეთე-სიხარულად ახმაურდა სოფელი თუ ქალაქი, მთა და ბარი, ზღვა და ოკეანეები და ჩაბნელებული მღვიმე გამოქვაბულები... გადარჩენილებიდან დიდი და პატარა ტაშს უკრავენ და ერ-



გელათი. დავით აღმაშენებლის საფლავი.
ყოველთა მზრუნველი მარადიულობა



„პლანეტარიუმი“
სამყაროს მზერა
ავტ. რეზო ადამია.



მზის ჩასვლა.


ვინცენტ ვანგოგი.

აქ, მხატვარმა სრულყოფილად დაინახა
ღიადური მშვენიერება.





კოსმიური დიდება, მშვენება
სილამაზე ვერ ამიტანეს და
ქარბორბალად გადამიარეს.



მზის ჩასვლა.
კლოდ მონე.



თმანეთს ეხვევიან. აღდგენილმა სიცოცხლემ, უბედურებისგან დაღუპულნი, ქირისუფალთ კინალამ გადაავიწყა... ცაში ატყორცნილი მრავალფერადი ფრინველების ჟრია-მული, მზის დისკს თითქოსდა გაეთამაშნენ. არწივები ძალიან მაღლა, შორს, გალალეზულ ირაოს აკეთებენ და ძლიერ შეჰკივლეს... თევზები წყლის ზედაპირზე ამოიჭრნენ და მრავალფერანთებულ ატეხილ სხივებად სხმარტალებდნენ. ბუნებით აუცილებელი გამრავლება აღიდგინა ცხოველთა სამყარომ. ხის ფოთლებმა, მცენარეებმა და ბალახმა, მზის სიცოცხლემინოდებულეებმა, ჩვეულებრივი ზრდა იწყეს დროული; ქვეყნად სიხარულის – ლოცვა-მადლიერების ნიავი ქროდა მაამებელი...

როგორი ზნეობრივად მართებული იქნებოდა, ყოველდღე მზის ამოსვლას ღიმილით ანუ ტაშით რომ ვხვდებოდეთ (ამდაგვარი მცნება ნიჭმდიდარი იაპონელი ხალხისგან მოდის). ისევ დამჭირდა შეხსენება – ფერმწერლებმა, კომპოზიტორებმა, პოეტებმა ფილოსოფოსებმა და მეცნიერებმა უსათუოდ უნდა შეთხზან მრავალი ტრაქტატი, ხელოვნების ჰიმნ-ოდა მზის მარად სადიდებელ მშვენიება აისზე...

უფერული, მინადქცეული, დაშლილი ძვლისფერი საფლავთ გულები ჩვეული სიმშვიდით დადუმდნენ და იმქვეყნიურობას მარადიულობით სევდისგამჩენად ისევ მინებდნენ. შემდგომ მზე, დრო და ატმოსფერო თანმიმდევრულ ფუნქციებად გარდასახავდნენ მათ, მინაზე ახალი ინდივიდუმ სიცოცხლის წარმოსაქმნელად. ყოველ საფლავს ახლავს თავისი ცოცხალი ბიოგრაფია, მითი, ლეგენდა და თქმულების დაუსრულებელი წიგნი. საფლავები მარად უხილავი ზეციური პლანეტებივით ძალიან შორეული და იდუმალია, როგორც გაიმბეთ, მათგან აღმოცენდება სიცოცხლის თითქოსდა დაუჯერებელი, მაგრამ უწყვეტი აზრთ გაგრძელება: სულთა ურთიერთობის რგოლიც საფლავებშია ჩასახული. ისევ მოვთქვამ ძველი და ახალი საფლავები გოლგოთებია მარადიული.

მრავლად მაქვს სურვილი აზრთა თავად თქმისა, რომ მათგან დაუსრულებელი დაბადება იწყება, გონმიუნვდომელი...

ბრწყინვალე და სანატრელი ცქრიალა ჯადო მტყორცნელი აისის მერმე კეთილალმტკენად ამოქმედდა უახლოესი სამყაროს ვარსკვლავეთური სისტემის უზარმაზარი შუქთ გუნდები და მათი გიგანტური მექანიზმის ხმათა შორეულ გამოუცნობ შრიალი და კიდევ გაურკვეველი ხმათა შეგრძნება იყო, იქ, სადღაც... მიუნვდომლო-



ბაში უთუოდ გრგვინავდა დაძაბული ვარსკვლავეთური მოზეიმე სივრცე, ჩვენთან კი მხოლოდ მკრთალბგეროვანი ხმის იდუმალება ისახებოდა: მაღლიერი დედამინა განთავისუფლდა საშინელი ყოველთა ნერვებგამანადგურებელი მომაკვდავი უძრაობისგან და პლანეტისეული კეთილი სიცოცხლის ნარმოუდგენელი ფურირმისეული ატმოსფერული ნახტომი გააკეთა. განახლებული პლანეტა სხეულის შვებითი მოძრაობის განცდათა, ღრმა, მორის რაველისეული „ბოლეროს“ გარდამავალი მუსიკალური დინების სტვენა და ჰაერის ტალღათა გრძელხაზოვანი ტაქტიდინება გაისმა მზის სისტემის სივრცეში, აღტაცების ცეცხლოვანი ტაში დაუკრეს ვარსკვლავებმა და გაიხარეს უმცირეს მეტეორამდე: უთუოდ არცერთი მზის ამოსვლა-ჩასვლა და დღე არა ჰგავს ერთმანეთს და აქაა კოსმოსის უძირო-დაუსრულებელი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ მხატვრულ ფანტაზიათა ფორმა-სახეთა გაცხადება...

ქვეყნიერების უფლისეული მარად ცოცხალი და მისგან უწყვეტი ბოლომდე შეუსწავლელი ცისფერი სისხლთ მიმოქცევა, უფრორე აღმოცენდება უსასრულოდ, ნყარო უნმინდეს მზესთან სხივმაგნიტური ურთიერთობით... ამდაგვარმა ცათა-ვარსკვლავეთურმა განუმეორებელმა ზეიმმა გალაქტიკის თუ ქვეყნიერებას უკიდურეს ნერტილამდე გააღწია; შესაძლებელია, სიახლემ მათ იქით ნარმოდგენით შიშისმომგვრელ მიუწვდომელ სივრცეებშიც შეაღწია. ყოველივე ეს დიდი ახალგანმცდელობა გახლდათ სამყაროს უსაზღვრო სიხარულის და აურაცხელი პლანეტარიუმის მართლწესრიგის კანონ-სურათით... ღვთის ნებით შეირხ-შეფრთიანდა მზის სისტემა და ყველგან მოძრავეს სიცოცხლით სავსე შუქთა მოცურავე ტალღებმა იმატა და საამოდ განეფინა, თანმიმდევრულად ისევ მერამდენედ ზეციური ვარსკვლავეთის ქუხილისმიერი ხმა გაისმა გაუგონარი, ეს არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა, არც გაღმის-იქითა – სამყაროსეული, სულ სხვა, გაურკვეველ უხვ მაღალ ბგერათა შემადგენლობის ძახილი იყო; არა დემონური, უფრო უსასრულობის მძიმე და რთული მელოდია. თანხმობილი მზის შუქთა, სიბნელის, სივრცის და მაგნიტურ-ლაზერული სხივ-ხაზების ანუ უხილავობის გაუცნობიერებელი განზომილებათა შეკუმშვა-გაშლითი დაპირისპირების ხმოვანი ძრაობა ხომ არ იყო აზრთმიუწვდომელი?! თუ ვარსკვლავეთური ჩვეულებრივი წესდებითი საზეიმო მოვლენა?..

ამ შორსმჭვრეტელურ ლექსში გალაქტიკის და პლანეტის მოვლენა-აინშტაინის





მზის ჩასვლა.



პირადი გრძნობები და მომაჯადოებელი კოსმოსური ხედვებია გამოხატული:

„გუყუროთ ვაზსკვლავთ, მათგან ვისწავლათ,
 თსტატს პატივი ზოგობ მივაგათ.
 ყველა მარადი დუმილით ადგას
 ნიუტონისგან დაგეგმილ ამ გზას.“

ადამიანებთან, სასწაულთმომტანი მეცნიერისგან, ასტრონომისაგან თუ ასტროლოგისგან უნდა ვირწმუნოთ ვარსკვლავთ აქტივობა და გავლენა ნებისმიერ ჩვენგანზე. რა თქმა უნდა, არსებობს მეტ-ნაკლები სხივ-შუქთა სხეულის მიზიდულობის პიროვნებები, როგორც სხვადასხვა მეტალთა ურთიერთმოქმედება მაგნიტთან...

წუხანდელი ზეცის მოდელსასწაულე ვერცხლისფერი, უკვე სვლაადღგენილი გაახალგაზრდავებული მთვარე და თეთრი ზოგი მზისფერი მფარველი ანგელოზები ყოველთა სასიკეთოდ უხილაობაში ღრმად გარდასულან. დღევანდელი ჩვენთვის ახალშობილი, მარადისობის ძლევამოსილი მზე, გავარვარებული სხივმფრქვეველი დაუტეველი სფერო, კაშკაშა გულმკერდით თანმიმდევრულად წინ მიიწევდა. ერთ დროს შიშისმომგვრელი უძრავი დედამინა მზის ირგვლივ უკვე წრიული სვლით კვლავინდებურად სვებდნიერად ბრუნავდა და ხარობ-ზეიმობდა.


მრავალთა, სხვადასხვა რელიგიების მსახურნო, ვარსკვლავეთისკენ გონებრივ, სულიერ, მეცნიერულ და მხატვრულ-შემოქმედებით ხედვას ფანატიკური გონშეზღუდული იდეებით წუ შევბოჭავთ. საღვთო წიგნებისგან გვეუწყება, თუ რამე არსებობს სამყაროში, პლანეტებიდან დაწყებული, სულიერი და უსულო, უფლის გაჩენილია და მათი არსებობა უშუალოდ მათივე განგების ქვეშაა. ჩვენ ღრმად მორწმუნე თუ ათეისტი ადამიანები, ყველას და ყველაფერს შეძლებისდაგვარად უნდა მივწვდეთ და გონების თვალთ ვეახლოთ. სწავლულთ ან ხელოვანთაგან თუ რაიმე მეცნიერული სიახლე აღმოჩენა-მონაპოვარი წარმოიშვა, რელიგიათ ნაადგებათ უპირველესად...

ადამიანი თავისი არსებით იმდენად უძღურია სამყაროს გამაოგნებელი ურთულესი მოვლენების წინაშე, რომ სარწმუნოება, როგორც უკვე მოგახსენეთ, კაცობრობის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისათვის დაუსრულებელ ათასწლეულებშიც აუცილებელი იქნება რაც გინდ გონებრივმა განვითარებამ კულტურისა და მეცნიერების ცივილიზაციის სასწაულებრივ სიმაღლეებსაც რომ მიაღწიოს, ქვეყნიერების მი-



უნვდომლობის ვარსკვლავეთის ყველაზე უმცირესი მოვლენების შემადარ მიახლოებაც კი არ იქნება, მხოლოდ მიმსგავსებებით შეგვახსენებს, უკიდურესი შესაძლებლობიდან გამომდინარე. ხოლო თანმიმდევრულად მომავლის ათასწლეულებში უძველესი და უახლესი აღმსარებლობები უნდა ამოქმედდეს მრავალმხრივი თანამედროვე მეცნიერული აზროვნებით, სიახლესაკვირველი ხელოვნების იდეალებით და შორეული ხილვებ-წარმოსახვითი ღრმად ფილოსოფიურ-თეოლოგიური დაკვირვებებით. მთლიანობაში გარდაუვალია გულუბრყვილო უძველესი პატიოსანი და უერთგულესი სწავლებები; ლეგენდებსა და მითებს შერწყმული აზროვნების ტრადიციები თვითნებურად ათასწლეულის წარსულს გარდამავლური მორჩილებით რომ ჩაბარდება, მაგრამ ყოველივე სამყაროს გრანიტისებურ მტკიცე, უტეხ საღ მეხსიერებას მუდმივად შემორჩება. უფლისეულ მოძღვრებათა იდეოლოგიური ზეგანვითარება ადამიანისათვის, ზამბარასავით რომ ივლის სამყაროს უსასრულობის სიმაღლეებისკენ, სრული, ჭეშმარიტებაა, ღვთიური სიახლე სწავლებანი კი მარადიულია. აგრეთვე, დროის ფსიქოლოგიურ-ანალიტიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ალბათ ეკლესიის მოძღვართა უკვე ტრადიციული შესამოსელებიც თავიდან დაიხვეწება და ისევ პირვანდელ ქრისტესმიერად გაუბრალოვდება, ამდაგვარად რომ არა, თანამედროვე მღვდელთმთავართ სამოსელი მრავალ ფორმებით და დეტალებით იმდენად გადატვირთულ-გაზვიადებულია უთუოდ, რომ ძალაუნებრივად თრგუნავს მრევლს, ცხოვრებისგან ისედაც უმძიმეს უღელშებმულს. ვიყოთ სადა და უბრალო კეთილი და ახლოს მაცხოვარივით, მარად სინმინდეებთან პირადი შეწირვით მზადყოფნაში. ეჭვს გარეშეა ჩვენი მომავალი თაობები იცხოვრებენ ვარსკვლავეთური საოცრება იდეალებით და უხილაობის ალალმართალი მოძღვრებით...

ქვეყნიერების უფლის ყველაზე ახლობელი თანამგზავრებია: მზე, დედამინა, მთვარე და ვარსკვლავები. ესენი ის პირადი დაუშრეტელი წყაროებია, რომლითაც ყოველი სულიერი არსება იკვებება. დედამინაზე სიქსტილიონობით თუ უფრო ბევრად მეტ ცოცხალ არსებათა სისხლის მიმოქცევის აკუმულატორი მზეა!!! როგორც მოგახსენეთ, არსებობს ვარსკვლავთ გავლენის მრავალფეროვნება ადამიანებზე, ყოველ ცოცხალ არსებაზე და მცენარეებზე. განა თევზებიდან დელფინები, კეთილ შუქ-მაგნიტური თვისებებისანი, რომელიდაც ვარსკვლავის სისხლძარღვიანი თანამსგავსნი





ბაბილონის ნანგრევები:
რაც ღმერთმა შეაქმნევია ადამიანს
ბოროტმა ჯარმა და დამპყრობმა გაანადგურა,
მინას მოასწორა.





ნინოწმიდას მონასტერი;
ბოროტებამ დაანგრია.





ტბეთის მონასტერი.
უფლის, სიკეთის და სიყვარულის
ტადარი ჩონჩხად აქციეს.





ბედიის მონასტერი;
დალენეს, დაამახინჯეს...



არ არიან? ასევეაძალი და ცხენი, მტრედი-მერცხალი, შინაური თუ გარეული ცხოველები. სიმძაფრე მიუკარება და სულთ სიცივე გველის, მაჯლაჯუნა მორიელის თუ შავი შხამიანი ობობასი. მათში უთუოდ შინაგანი ბუნება-თვისების სხვაობებიცაა, როგორც ადამიანებში, პიროვნებები მკვეთრად ხომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნიჭით, ხასიათით, ინდივიდ-მეთი წესით და სხვა მრავალი ზნეობრივი სახეობით. იგივე პროცესია ნებისმიერ ცხოველებსა თუ მცენარეებში. წარმოვიდგინოთ ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები და წყაროები თავიანთი მრავალმხრივი შემადგენლობით მკაფიოდ განირჩევიან ურთიერთისგან, ჭები და აუზებიც შინაგანად არ ჰგვანან ურთიერთს. ყველა მათგანში თავ-თავისი ციური ვარსკვლავია ჩაშვებული, მზის და მთვარის უზარმაზარი – მრავალმხრივი პლანეტარული ფორმა-შემადგენლობებით, ყველგან მაგნიტური, რენტგენული ლაზერული თუ ჯერ შეუსწავლელი სხივთ კვეთაა კეთილი და ღრმად ეფექტიანი. ერთ-ერთ ობიექტურ მაგალითად გვეყოფა სუფთა ღვინის (წვენის) ურთიერთობა მთვარესთან. ადამიანს არაფერი არ უკვირსო იტყვიან თუ არა ეს მართლა კოსმოსური საოცრება მაგიური მოვლენა გახლავთ, თუ როგორ მძაფრად მოქმედებს მთვარის მოქცევა და კეთილშობილური სისავსის ენერჯის მოძრაობათა ციკლია ღვინოზე. აგრეთვე აღსანიშნავია ქალთა ფიზიკური დამოკიდებულება მთვარესთან და მის კოსმოსურ სრულ ციკლ მიმოქცევასთან... ეჭვგარეშეა მიცვალებულები და მათი საფლავებიც მჭიდრო კავშირ-კონტაქტშია მზესთან, მთვარესთან და ვარსკვლავებთან. ისინი ხომ როგორც მოგახსენეთ, უკვე ორგანული ცოცხალი ნაწილია ჩვენი პლანეტისა პულს-მფეთქავი მინის შემადგენლობა, რაშიც უსასრულო სიცოცხლე სუნთქავს... მიწად და სულად დარჩენილი მიცვალებულები უშუალო წევრელებმენტებია სრულიად ვარსკვლავეთისა, რომელთაც გააჩნიათ ქვეყნიერების უძირო პლანეტათა დასახლების უკვდავობისა და გარდამავლობის საკვირველი ფუნქციები...

სამყაროს ურთულეს ბუნება სისტემაში ტრაგიკული ინდივიდის დაკარგვა – მარადიული მიძინებით და ისევ გაჩენაზე ცალკე მეცნიერული წიგნი შეიძლება დაინეროს, რომლის ავტორს განსაკუთრებული ნიჭი და ზეციური წარმოსახვა-აზროვნების ღვთიური ალღო უნდა ჰქონდეს.

ამდაგვარ ფიქრთ აღქმაში როგორც კი შევდივარ, სიკვდილ-გარდაცვალების განცდები და მასზე ადამიანური უკუგააზრება და ცუდი წარმოდგენები ქრება, როცა



ვიცი, მესმის და გამეგება ქვეყნად სულისა და მიწიერი სხეულის უკვდავება ამაღლებისა...

მსგავსი ფორმებისა და ზექვეყნიური სურათების, უდიდესი შეგრძნებითი სულიერი შეხება ჰქონდა ტერენტი გრანელს, ფრანგ პოეტს შარლ ბოდლერს, ესპანელ, ბერძენ, იტალიელ, ინგლისელ, სპარსელ, ებრაელ, პოლონელ, შვედურ, ჩინელ, ბალგარ, რუს, რუმინულ, სომეხთ, ამერიკელ, არაბთ და ასევე მრავალი ქვეყნებისას. როგორც პლანეტარიუმი და უსრულებელი უძირო, უგანო, მიუწვდომელი სიმაღლისა და სიგრძის, ასევე უმდიდრესია რჩეულთა ნიჭი და შემოქმედებითი გენიაც. ან დაკარგული ატლანტიდელების სამყაროსეული გონების ნათება ხომ მარადიულია, რომლითაც გაშუქებულია ჩვენი პლანეტა (ყველაზე ადრე ატლანტიდელებს ებოძათ კოსმოსთან ზეადამიანური მიახლოება). უთუოდ უძველეს კოლხებზეც ამოტივტივდებოდა შემადარი აზრი. აბა, რატომ თქვა ჰეგელმა, კოლხეთის უძველესი მიწიდან იწყება კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესიო?! ზეცა ხომ ჰაეროვანი მეხსიერებითა და უჩინარი სამარხებითაა სავსე – დიდი მეცნიერის ეს აზრი ათასწლებულეებშია შენახული.

ძველი კოლხები ერთმანეთს გაბრაზებულნი ან ხუმრობით რომ შესძახებდნენ, ჩაქრი შენო! – ამ შემთხვევაში პიროვნება ერთ-ერთ ვარსკვლავად იყო აღქმული. ბავშვობაში, მახსოვს, როდესაც დიდი ვარსკვლავი ცას მოწყდებოდა და ხილულ გუმბათს ცეცხლოვანი ალით რომ გადასერავდა, მოხუცები იტყოდნენ, აუცილებლად სადმე ვილაც დიდი კაცი მოკვდებაო... ეს ვარსკვლავეთური შედარება წინასწარმეტყველებაც უხსოვარი დროიდანაა გადმოსული. საერთო, კოსმოსური ცნება და მეხსიერება ათასეულ ან მილიონობით წლებს იტევს. მაღალმა ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უმადურები ვიყოთ დედამიწის, მზის, მთვარისა და ციური სხეულების, რადგან მათ გაზარდეს და სიკეთით გააშუქეს იესო ქრისტე, ბუდა, ალაჰი და იუდეიზმი, მათთან ერთად მრავალი სხვადასხვა აღმსარებლობის მონინავე-მასწავლებლები. ადამიანების უმეტესობა მზის წარმოუდგენელი შუქთ მონათება-სიცოცხლე სიდიადეს ქვეცნობიერად ვერთუ არ ახსენებენ. ის თურმე მხოლოდ უსასრულობიდან მომდინარე ღვთივციური უკიდურესი ვალდებულებაა... მართლაც რომ დაუდგენელი ქვეცნობიერი გაგებით ასეა, ჩვენ ხომ უფალს დღე და ღამე ვეხვეწებით, ვემუდარებით, ეშმაკს აგვარიდოს. მზისა ჩვენ არც გვემინია და არა ვთხოვთ რამეს დროსი ჩვენ სრულიად განსხვავებული ურ-



თიერთობა გვაქვს. აქაც დამჭირდა განმეორება ხშირად შორცნობიერად უმადურნიც ვართ და რომელიმე რელიგიური იდეოლოგიის წინ წამონევის მიზნით იგნორირება-საც ვკადრულობთ... ის ყოველ შემთხვევაში უწყვეტი სიცოცხლის წყაროდ დაგვნათის მუდამყამს. ზოგჯერ საჭიროების ღრუბელი ჩადგება ჩვენ შორის და ესაა ჩვენს შუა გარდაუვალობა...

ასტრონომიული მიწიერი ღამე? აუცილებელია, დღე ყველაფრისგან დაღლილებ-მა რომ განიტვირთონ. უკიდვეგანობის მზისგანაც იღლება ყოველი ცოცხალი არსება. ღამე მთვარე, ვარსკვლავები უდიდესი საშუალებაა გონსულიერი და ნერვული გან-ტვირთვა-დასვენებისა. ქვეყნიერების სასწაული კანონზომიერებაა აქ. ადამიანების მთვარის მეოხებით, მზის სხივთა დოზირება უწყვეტად ღამეც მიენოდება, მიუხედა-ვად მისი მიმოქცევისა)

მრავალფეროვანი სახეები, ხასიათები, ნიჭიერნი და საშუალონი, ასევე კაცთა სიმდაბლევების უსასრულობაა ჩვენს პლანეტაზე, ცაზე განფენილი ვარსკვლავებისა არ იყოს; მარადიული კანონია, ბუნებრივად მიწეული მომაკვდავნი უფრო ღამე მიემ-გზავრებიან იმ ქვეყნად, ის მის კითხვა, შორეული კანონზომიერება ხომ არაა!? აქაც დღე-ღამეული მანათობელთა საიდუმლოება დევს ღრმად საფიქრალ-საკვლევი...

ფერწერა-მხატვრობის შემდგომ, უცნაურობად მიმაჩნია ჩემი მწერლური ცხოვ-რება: აზრები, წარმოსახვები და ფანტაზია მუხების შორეთიდან მოსვლა როგორც კი გამთენიისას დამეწყება, მაშინვე შემეყრება ტანთ ტკივილები, თავის ქალადან დაწყე-ბული. ყოველივე ეს თითქმის ახლოა ამოუხსნელ სულისგამელ ტანჯვასთან, რომე-ლიც გარკვეულ კვალს ტოვებს აუცილებელ აზრთა დაბადებით (სრულიად განსხვა-ვებულს), თითქოსდა ეს იდეა-ფაბულა მხოლოდ გონებიდან არ იბადებაო, არამედ ზეციდან და მთლიანად სხეულიდან ორგანიზმის ყოველი ნერვი, სისხლძარღვები და კაპილარებიც რომ მონაწილეობენ. ყოველივე მრავალსახოვანი და გონშეუხებელია; ამიტომ, თუ რამე შემეგრძნია ინტუიციისა და წარმოსახვების მეოხებით, ზემოთ აღწე-რილ ქეშმარიტებას უახლოვდება... შემოქმედებითი აღტკინებები კი მხატვრულ აზრ-ფორმათა სივრცობრივი მოსვლაა, ზეციური სიმდიდრე-სიბრძნე-ბოძება, უთუოდ სასწაული. ამგვარ ინდივიდებთან ნებისმიერფორმიანი შებრძოლება დანაშაულია...

ქვეყნიერების დიდი ნათების უსაზღვრო ძალამ კუნაპეტი ბნელი, ღრმა მიმზიდ-



ველ ნათელ სილურჯედ რომ აქცია, ვარსკვლავეთის დღესასწაული იყო უსაზღვრო და ცათა სივრცეში თეთრი კეთილი ანგელოზები მკურნალ-მოხეიმედ კვლავ მომრავლდნენ.

ამჟამად მინდა გაახლოთ წრფელი მოგონება: ძველი სენაკი; „აღდგომის წმიდა დილაა მონმენდილი უღრუბლო ცით. მშვიდი ამინდი და მზე, თავისებური სხივთა ცეკვა ციმციმ-სიახლედ ამოვიდა, პლანეტაზე ყოველი ეროვნულ-ხალხური ცეკვა უპირველესად მზის სხივებიდან გადმოვიდა, მერმე ნიჭიერმა ადამიანებმა ყოფიერებით გააფართოვეს და გაამდიდრეს. ცხრა თუ ათი წლის ბავშვი ვდგავარ ამ ზეციური საოცრება მოვლენის წინაშე. კარგად მახსოვს, სრულიად განსხვავებული ანდამატური მზის ამოსვლა იყო უმშვენიერესი და სოფლის დღესასწაული გახლდათ ფერთა მოსილი. სულ-გონებითვე ზედმინვნით მიხაროდა რომ დღეს დიდი ზეიმი იყო, ბრწყინვალე აღდგომა უფლისა; სულმნათი დედაჩემისგან წითლად შეღებილი უამრავი, საფლავებზე მისაბრძანებელი კვერცხი, ცოცხალსისხლსავსეობით ელაგა მუქშავ-ყავისფერ უძველეს გობზე. ჩემს ცხოვრებაში უფრო გამორჩეული სიამოვნება და კეთილმინდანური ნდობა, რწმენითი ამაღლება მის მერმე არ მიმიღია, ორმა ქვეყნიურმა ზეძალამ მაგრძნობინა ყოველივე შინაგანად განმწმენდავი უფაქიზესი ღვთივდიაღური“, ჭემმარიტი აღდგომა და მზის ამოსვლა...

დაუჯერებლად ისევ დუმდა ყველგანმყოფი უფალი...

ამ ნაწარმოების იდეური სახე და მხატვრული აზრთ საუბარი სრული ჭემმარიტიებაა, ადამიანთა ათასწლეულ რელიგიურ, ნაწილობრივ ფანატიზმს რბილად წინასწარმეტყველურად რომ უპირისპირდება სამყაროს ვარსკვლავეთის უმკაცრესი რეალური მოვლენებით. მაგრამ გონებაღვთიურ ჭემმარიტ რელიგიათა გარეშე ხომ გამორიცხულია ცხოვრება, რომელიც ეჭვგარეშე მოედინება სამყაროსა და უფლის უცილო სწავლის შორეული იდუმალ ხილვებიდან... ადამიანთა უფლისმიერობა ძალიან ჭირდება ცხოველებს, ფრინველებსა და თევზთა არსებობას: სრულიად პლანეტას...

ვგონებ, დიდი ხნის წინ, მსცოვანი ღრმადმორწმუნეებისგან მსმენია, როგორი მონწივებით და სულიერი სიახლოვით იხსენიებდნენ უფალს; მზის ხსენებისას კი მათ უნელდებოდათ ყოველგვარი ლოცვის, თხოვნისა და ადამიანური ზენაართან მიახლოების გრძნობა. – წარმოთქმა მზე! – და ხმა ჩაუნყდებოდათ, თითქოსდა მინდობილ-უძ-



სპარსული უძველესი ძეგლი - ქალაქი ხატრა.
ადამიანო! ვინ იყავი, როგორი იყავი,
ამ უფლისმიერობას რომ სპობდი.



აი ამგვარად იავარქმნეს საოცარი ცივილიზაცია!
ღვთის გაჩენილნო! ზეციურ-მიწერ უფლისმიერ ხელოვნების
შედეგებს რატომ ანადგურებ?
უკეთესს რას პოულობ, რომელ დიდებას ელოდები?!



ლურნი ნათელ ცას მიაპყრობდნენ მზერას. ამ ინსტინქტურ განსაკუთრებულობაში ყველაფერი მიუკვლეველი იყო გამოხატული, მილიონობით წლის წინანდელი ველური გულმართალი გრძნობა, მზის შეუდარებელი და ენით უთქმელი სიყვარული უმალ თავს იჩენდა მათ შინაგან პიროვნებაში, ამავედროს მზის გავარვარებული, თვალისათვის გაუსაძლისი შუქიც აკრთობს ადამიანს და მას ყოველთვის მიუწვდომელს ხდის.

სასწაულ-საკვირველია, ცოცხალი არსებიდან გველს და მამალ ლომს საათობით შეუძლია მზეს უყუროს...

სიცოცხლის წყაროს ახლად შობა-გამოცხადებით გაიხარეს ყველგან მყოფმა იესო ქრისტემ, ბუდამ, ისლამმა, იუდამ, წარმართებმა, მზისთაყვანისმცემლებმა, ცეცხლთაყვანისმცემლებმა, იეღოველებმა, ათეისტებმა და სხვადასხვა უამრავი სექტის წარმომადგენლებმა... ეკლესიების ზარების ხალისიანი გუგუნ-რეკვა და იმედით სავსე გაბმულ ხმათა აააუუს ზეცისკენ შეძახილები გაისმა და საყოველთაო დაღუპვისგან გადარჩენილთა სრული ხსნა ეუნყა ქვეყანას. ფერი და ბგერა საამოდ გამოიკვეთა ზეცაზე. იზეიმეს აურაცხელმა ვარსკვლავებმა, მთვარემ, მზემ თავად დიდებულმა, და უჩვეულო ვარსკვლავეთური ბრწყინვალეობა იწყეს. მიუწვდომლად კიდევ რალაც წარმოუდგენლობა ხარობდა შორეულში... თითქოს მთები გადაბრუნდნენ და ქვედა მიწიერ-მითიური მუქი ლურჯი, სევდაჩამდგარი, უფრო უმთვარო ღამისფერი თვალებიდან ცას ახედეს ღრმად მზიურს, უდიადესი გარდაქმნით ამოისუნთქეს და ფერი იცვალეს, ამრიგად ზეციურმა უძლიერესმა სინათლემ უძირო ბნელიც გააშუქა და სასონარკვეთა-ბოროტება მიწყნარდა. საზიზღარი სიძულვილის, უკეთურობის სულგაძარცული და ტანჯვისმომგვრელი ეშმაკი ჯანდაბაში ხეიბრად გადაიხვეწა. პირველყოფილ რელიგიათა ვერც ერთი ღმერთი გაუმკლავდა და მომავალშიც ვერ დაძლევს სიახლე აღმსარებლობებიც იმ საშინელ და უსაზღვრო ავ ზნე-ჩანასახ-ქმედებებს, რომლებიც მრავალთვისებიანი ვარსკვლავეთით იმართება და მყარად დევს ადამიანის მთლიან სხეულში. ისევ ვიტყვი: – უარყოფითი აურის ნაწილობრივ შენელება შეიძლება და არა ამოძირკვა... მართლაც, ახლად აფეთქებული სიცოცხლის მზიური ფერთ ზეიმი გაჩაღდა ყველგან: ფერმწერლებმა პალიტრა, ტილო და ფუნჯები მოიმარჯვეს; კომპოზიტორები როიალებს და ნოტებს მიუსხდნენ, მგოსნებმა ლექსთ შეთხზვა იწყეს და ახალი ბრძნული რითმები ფეხშიშველად აედევნა მზის მორბენალი სხივებით შემკულ სიტ-



ყვებს. აკვნის ჩვილებმა ანგელოზთა ბუნებრივი ხმით წაიღულუნეს და ღიმილით ფერად-ფერად სათამაშოებს წაეპოტინნენ. გაისმა მილიონობით ადამიანის გულითბილი ლოცვა-კურთხევა: შენ, უფალო, ყოვლის გამგებელო და მზეო! ნათელსულო წყაროვ სიცოცხლისა და სიკეთისა!!!... მრავალმა ბრძენმა სოფლის მუშაკმა სიკეთის და ყოველთა მარჩენალი თოხები ალესეს და მზესთან ერთად ოფლჩაღვრილი მიწა ყანისკენ გაეშურნენ. ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები და ელექტროსადგურები. ახალდაქორწინებულები კი სარეცელს მიუბრუნდნენ და დილის სულიერი უწყვეტი ბიბლიური სიმფონია ჯანსაღი სხეულით გაიზიარეს და ისევ შეერთდნენ მიწიერ-ზეციური კანონებით... სიცოცხლე მარადიული არ შემწყდარა – გაგრძელდა, ახალი აღთქმა – მზის სხივთ შემკულ-ნაწერი ოთხი სახარება ზეიმობდა, გაიხარეს და იღალადეს ყველა აღმსარებლობის თვისობრივმა განგებამ და მოძღვრებებმა.

უსახო – ცოცხალთა და გარდაცვლილთა საძულველი სიკვდილი სიახლოვეს არ ჩანდა. საოცრება მზის კოსმოსური ზეამტაცი კეთილჟღერადი ხმაღა ისმოდა სხივთ უნაზესი კომპოზიტორ ბახისეული უკეთილშობილესი და უნაზესი ზეციური ორკესტრით. სადღაც ჯოჯოხეთურ შავ წერტილებში საშინელების მომტანი ომი კვლავ განახლდა და თოფის სიკვდილმომდინარე მჭახე სატანური ხმაც გაისმა. ადამიანთა გამანადგურებელ კვლას უხმობდნენ გონ-სახეშემლილნი და კაცთა უბედურების გველის და მორიელის შხამისფერ აზრობრივ სულიერ დინებას მედიდურად გზავნიდნენ-ავრცელებდნენ.

ადამიანში რაც კი ბოროტებაა, ზოგადკოსმოსურია, მომწამვლელ-მგუდავ ზეავ-სხეულთაგან გზავნილი. იქვე ხომ სიკეთე და სიყვარული, ღვთიურ ვარსკვლავთა სრული მოდარაჯეობაა, მაგრამ ძალიან ხშირად, დედამიწის საუბედუროდ, ეშმაკეული და ფერზნენაკლული პლანეტის მიერ ავსულად მოვლენილნი ყოვლისმომსპობ გამანადგურებელ ხანძარს დაანთებენ ხოლმე. ბოროტთვისებიან ვარსკვლავთ სხივები უხილავ ისრებად ათოვდა მათ ავთვისებიან ჯერ ცოცხალ გვამთ... დედამიწაზე წარმოქმნილ, ნებისმიერ ხასიათ-განწყობილებას მზე ერთნაირად აღვივებს, როგორც გიამბეთ, ყველაფერს და ყოველივეს უკლებლივ ათბობს და თავის საოცრება ჯადო მაცოცხლებელ სხივებში აბანავებს. აქაა ყოველ მიწიერ სიდიადეზე მაღალი და უსათნოესი მიმტევებლობა!

ურთულესზე რთულია ვარსკვლავეთის მეცნიერება, აზროვნება და მარად სიახ-



ლე ფილოსოფია... ადამიანს თავისი არსებობის ხანაში, ერთხელ თუ ორჯერ ჰქონია სრული კოსმოსური მიახლოებითი განსჯის საუკუნეები თუ ათასწლეულები. ხოლო სხვა დროს ბრძენ-გენია ერთეულები ყოველთვის იყო და იქნება...

მზე სიკეთის უსაზღვრობა, ემშაკეულსაც ანათებს და ასხივებს, უზომოდ დიდ-მონყალე და დედამინაზე მკვეთრი ყოველთა მოზაიკური აურაცხელი ცხოვრების მფარველი... სიცოცხლე-მანათობელი ხომ ზელვითიური მიმტევებლობა სიკეთე და უშურველობაა.

უკიდურესად აგიზგიზებული პლანეტა, რადგანაც კეთილსა და ბოროტს ერთნაირად ათბობს, თანაბარ დონეზე კვებავს და ფასდაუდებელი სიცოცხლით ავსებს? – უკვე ღმერთია, ან რაღაც ძალიან მიუნვდომელი სამყაროეული... უკიდევანობის ქვეყნიერებაში არსებობს მრავალი მზე. მათგან ცისფერი ანუ ლურჯი, ყვითელი, წითელი მწვანე, ია-იის ფერის, ნარინჯი და თეთრი არსებობენ ალისფერი ტყუპებიც, ჰარმონიულად რომ ქმნიან წარმოუდგენელ გარემოს...

ამ შემთხვევაში მიახლოებით ჩამოთვლილი, ალბათ ერთნაირი თვისებისანი არიან, როგორც ჩვენი მანათობელი უძლიერესი და უკეთილშობილესი. არადა, დედამინაზე ათეისტ ბოროტმოქმედთ ღვთის მეოხებით წალეკვით რომ ექადნებიან, ეს უკვე ადამიანისეული – გონი, ჟინი, ბოღმა, შურისმაძიებლური მიწიერი ხასიათია. ჭეშმარიტად ყოველთვის მზე-უფალი, თავიანთ მიუნვდომელ ზედიადურ ზნეობრივ სიმაღლეზე დგას. მაღალ საოცრებაათავის უმნიშვნელოა ადამიანო! თუ მრავალი სახის არსებავ, შენი უკუღმართი თუ კეთილი ქმედება და ღმერთმანათობელი განუკითხავად და უშურველად ყველაფრით გვავსებს (რა თქმა უნდა, სრულიად სხვა ზემადნიტური ძალები პასუხს მოსთხოვენ ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ მართალ-მტყუანს) ღვთის და მზის გაჩენილო, დაენაფე სიკეთის და სიყვარულის ქვეყნიურ მაღლს და ამდაგვარად აღიზარდე შენი მეობის და კაცურ-კაცობის სული. უხსოვარ დროში როგორც უზენაესი გამოიხმე შორეულიდან, ასევე კეთილზნეობაც მოიზიდე და აღივსე ციური სიმდიდრით და ამ სახით სულიგონგულ გამდიდრებული შეხვდი უფალს...

„ზათა იყოთ შვილნი თქვენნი ზეციური მამისა, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლთაც“ (მათეს სახარება, თავი მეხუთე, 11 მუხლი).



ერთი მხრივ სამართლიანნი ვიქნებით, თუ თამამად ვაღიარებთ, რომ საშინელებაა ეს რეალური ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრება, ცოცხალმა თუ გინდა იარსებო, უნდა მოკლა, დაკლა, მოსპო, სხვისი სიცოცხლე აითვისო, რათა მიიღო ხორციელი საზრდო და იარსებო, თუ არადა თვითონ ეწირები შენეულ გამოგონილს.

უსაშველო, გაუმართლებელი და უმკაცრესი სამყაროსეული მისჯაა, ცოცხალი არსებანი ერთმანეთით რომ იკვებებიან, პლანეტების ურთიერთმოქმედებათა ზნეობიდან ხომ არ გადმოდის ამდაგვარი თვისება? სამყაროს შავი ხვრელებიც უმკაცრესი და პირდაპირი ზნეთვისობრიობაა... წარმოიდგინეთ, ათასწლეულებში რელიგიათა ეტაპობრივი მოსვლა-გაქრობა და ურთიერთდამოკიდებულების სახე-მსგავსებაც მათგანაა... ჩვენს ირგვლივ არსებულ რომელიმე ულამაზეს სულდგმულს, დაფუშვით ცხოველს ან ზღაპრული სილამაზის მქონე კოლხურ, მზისა და ზღვის სურნელით გამთბარ ხოხობს მოვკლავთ, მხეცურად განვძარცვავთ შეუდარებელი მშვენიერებისგან, მერმე ჩავაღწევთ ხორცამდის, დავძიძგნით და ცხოველურ შიმშილს დავიკმაყოფილებთ... თევზს, ტანხატულ, მრავალფერად დანინკლულ მშვენება-კალმახს, უნდა მოუსწრაფო ცხოვრება თავად განვითარებულმა, გონიერმა ცხოველმა, როგორმე რომ ისულდგმულო, გაძლე და იარსებო. წარმოიდგინეთ, ამ სახის ცხოვრებისეული მოქმედება ყოველმხრივ შეუცვლელია და აზრთმიუსვლელეთის ვარსკვლავეთური, აუცილებელი პროცესია, მაგრამ სასტიკი. აქედან გამომდინარე, თვალ-გონდახუჭული უგულო საერთო ქვეყნიური ეს ბოროტება მარადიულია და ყოველთა მომავლის სასიცოცხლოდ გარდაუვალი, სამზეოს უკიდევანო ჩრდილოვანი მძაფრი სტიქიის სასტიკი წეს-კანონია ყოველთაგან შეუცვლელ-გაუსწორებელი. ღვთიური შეგონების და ღრმა რწმენის წმიდანური ადამიანებიც მას ვერ გაექცევიან და ვერასოდეს ამოძირკვავენ, რადგან თვით უზარმაზარი რელიგიები ვერაფერს შევლიან ან ვერც უარყოფენ. აქ უცილოდ მორჩილი და ძალდაყოლილი ხარ, როგორც ყოველგვარ კანონებს ამცდარ სიკვდილთან ან ღამეს ვერ შეცვლის ზეძალა, ასევეა ზემოთ ცხოვრების შავ ტილოზე მოხატული დრამატულ-ტრაგიკული ცოცხალთ საარსებო გარდუვალობაც. თუმცა ეს სამყაროს მეორე უცნაური მხარის, სამუდამო ბნელი ბეჭედია და აქ აზრი, გონება, მაღალი ზნეობდა და სიბრძნე ვერ კვეთავს... დასკვნა: ამ ფორმის ბოროტება რომ შეწყდეს დედამიწაზე, სიცოცხლე მასიურად მოისპობა, მაშინ ყოველივე ზემოთ ხსენებული მოქ-



კოლხური ხოხობი, ამასაც ესვრი? –
მოკლავ!? რა გჭირს ადამიანო?!

თევზი თუ არ გებრალება
უმალლეს სილამაზეს
რატომ ამინებ?!



მედებანი უმძიმეს დაკანონებულ-გამიზნულია პლანეტარიუმის შორეულ უმძაფრეს უღვთო ზნეობასთან შეფარდებით და სიცოცხლემ სხვისი ფასდაუდებელი სიცოცხლის სანაცვლოდ უნდა იარსებოს, რადგანაც მრავალმხრივ ჩვენს მიმართ აზრთმი-უნვდომელი და გამაოგნებელი მისჯაა უმკაცრესი, მაშინ სამყაროსეული ამ ნესკანონის წინაშე ყველა ღმერთები, ადამიანი და ნებისმიერი ცოცხალი არსებაც, საცოდავი, კოსმოსური სრული სიბრძავით განუხილავი ზნეობით უსიტყვოდ შეწირულია...

ზეციური სიყვარული, კეთილი და უბრძენესი მაცხოვარიც, ბოროტი აალებული, ფოსფორისფერი ვარსკვლავისგან გაცოფებული ადამიანების მსხვერპლი გახდა.

ჩვენს ირგვლივ სახეზეა, სასიკვდილოდ არ ებრძვიან ერთმანეთს ერთი ჯიშის მხეცები, ცხოველები, ქვენარმავლები და თევზები, როგორც გიამბეთ, შიმშილი და არსებობაა მათი ბოროტების თავწყარო. ხოლო უღვთოდ ურთიერთისხლმდენ ადამიანებს ფილოსოფოსებმა, მეცნიერებმა და დიდმა ხელოვანებმა პირდაპირ – მხეცი შეარქვეს. არა, ბატონებო! ეს მსუბუქი ფორმაა მათ შავ ხასიათთან მოსარგებად. ადამიანი თავის ჯიშთან ურთიერთობით უფრო პოტენციური უბოროტესი მკვლელია – ხშირად განუზომლად ნაჩქარევიც...

ამ შემთხვევაში ნამუსგარეცხილი სიკვდილი თავისი წინაპრის ჩრდილქვეშ, თავჩაქინდრული იდგა...

ვარსკვლავთ სავსე ბუნებით, მაგფორმის საშინელმა ამოუძირკვავმა სენმა, ეკლესიებში, სინაგოგებში, მეჩეთებში და ბუდისტურ სალოცავებში ჯიუტად შეაღწია და ნებისმიერი აღმსარებლობის სივრცეშიც. ჭირად განვრცობა ღიად ყველგან მიმდინარეობს, დამატებული ფარული უბედურება კი ბევრად მეტია... აქედან გამომდინარე, მომავლის რელიგიური სარწმუნოებები მარადიულ დახვეწა-განახლებებს და ღვთიურ აზრთა მართალ სიახლეებს მოითხოვს. ძიება და სწრაფვა უსასრულოა...

წყვდიადური? არა! აქ სულ სხვა შესატყვისი ფორმაა მოსაძებნი: როდესაც ნებისმიერი ადამიანი, სისხლის დენას და მუქ წითელ ფერს რომ ნახავს, უმალ შეიცვლება მისი ბინდმოცული უნებლიე, ჟრუანტელშეყრილი უცხოდექცეული სულიერი განწყობილება, შემდგომ თვითნებურად იდუმალჯიქურ გადაინაცვლებს მილიონობით წლის წინანდელ დროში და ამ უხილაობიდან გამჟღავნებული საშიში ქვეცნობიერი სისხლისმსმელი მხეცის ინსტინქტი იღვიძებს. ხოლო ბუნებით თუ მიდრეკილია სადიზმისაკენ,



მაშინ იმ წამიერ მონაკვეთში თავის ინდივიდს აღარ ეკუთვნის, მაგრამ საკეთილდღეოდ ხშირად მასში დაბადებიდან გარკვეული ზომით ჩასახული ღვთიურ-ვარსკვლავითური სიკეთის ძალა ჯაბნის ამ ველური საშინელების გამხელას.

როგორც ვთქვით, პიროვნება სისხლს როგორც იხილავს, ფარული ინსტინქტით აღუწერლად ტანთ აჟრჟოლებს მკვლელად ამაზრზენ-უჩვეულოდ. რატომ? ყველას გვიკვირს, რათა უბოროტესმა მხეცმა არ გაიღვიძოს ჩვენში და სხეულის დამცველი უცნაური შემტევი შინაგანი მკაცრი დადებითი ფსიქოლოგია ბრძოლას უცხადებს ამ დროშივე თავნამოყოფილ უაზრო მკვლელ ფორმათა სტიქიურ მოსვლას. შხამიანი ქვენარმავალი ხშირად გაურბის ცხოველს თუ ადამიანს, რათა არ მოკლას. მათგან უფრო ბოროტად გაჩენილი კი ყოველთვის მზადაა ავის ქმედებისთვის, მაგრამ, კიდევ კარგი, მხეცებივით ან ადამიანივით მსხვერპლზე საგანგებოდ არ ნადირობენ.

ათვისტებისა და მცირედ მორწმუნეთა გასაგონად მიიწვევს, სამყაროს მიუწვდომელ გამრიგის, ადამიანის გაჩენასთან ერთად სარწმუნოება რომ არ ჩამოეგზავნა, მისი ევოლუციური განვითარებით მართლაც მხეცები და მკვლელები როგორი ქარბორბალასნაირი მოქმედებით იქნებოდნენ ერთმანეთის მიმართ (გამონაკლისის გარდა); მასიურ შემთხვევაში ძალით მოთრეული სიკვდილი იქნებოდა უწყვეტი სისხლის დენით, თუმცა ყოველივე ოდითგანვე არ გვაკლდა და არც გვაკლია ჩვენგან ნამებულ პლანეტაზე...

„სამყარო ვაჩვენებს ბნელეთით სიკეთისა და ბოროტების საბჭქანებელია“...

უბედური შემთხვევისგან მწარედ დაღონებულ-მგლოვიარენი, სოფელში თუ ქალაქად იტყვიან, საშინელი უკანონობაა სიკვდილიო. მართლაც რომ ის უკეთური ჯალათი არავითარ წესს, ასაკს, ზეზნეობას, სიყვარულს, ღვთისმოსაობას, წმიდანს, იესო ქრისტეს და მტყუან-მართალს, ბოროტსა და კეთილს არ არჩევს. მრავალსაუკუნეების ქვეყნიერების მმართველი როგორც ღმერთი ზევსიც მოკლა და... სადაც სუსტად გილს შეამჩნევს, იქვე ამოყოფს თავს და თავისას ჩაიდენს. ჩვენ ძალიან ხშირად საგანგებოდ ვაპოეტიზებთ ქვეყნის უამრავ მოვლენებს, მაგრამ სინამდვილეში ხომ მრავალი ქმედება უკეთურობისა ცოდვის მორევში ცურავს, რა თქმა უნდა, ყოველი სიცოცხლეც. ამდაგვარ კოსმოსურ უსაშველო მოვლენებს სამყაროს მრავალსისტემიანი უღვევლძალოვანი სივრცეც ვერ აგვარებს. ალბათ უმართავი უზნეო ალიაქო-



თი მთელი უთავბოლო სივრცის უსასრულობაშიც ტრიალებს. აქედან გამომდინარე, ხშირად ყოველივე უდიდეს ღვთიურ ჭეშმარიტებასაც ძალიან უჭირს. ამ შეუღწეველსა და აზრთმიუდგომელ შემთხვევაში, ადამის მოდგმას, თავისი რჩეული გენიებითაც, არ მიუწვდება ზნე, გონი, აზრი, სული და თვალი, მაგრამ აგვედევნება ხოლმე ურთულესი დუმილი – ფიქრი: ამ სახის უკანონობა, მძიმეა მაგრამ საჭირო ქვეყნიერების უსასრულობის ურთულეს კანონზომიერებას ხომ არ ავითარებს? პარალელი: შემადარად ხომ გვიკვირს, გველის მომაკვდინებელი შხამი რომ კურნავს კაც მომაკვდინებელ სნეულებს...

ექვებშეპყრობილი ვგონებ, გენიაც კეთილთვისებიანი კოსმოსურ უფრო ვარსკვლავეთური დაავადებაა მოურჩენელი, რომელიც მხოლოდ დროგამოშვებით იკურნება უშუალო შემოქმედებითი წვით, სრულიად ახალი ქმნილების შობისას, მაგ სახის უცნაური დაავადებები კეთილია თუ დემონურ-ბოროტზრახვიანი საკვირველებაა; და, საგულისხმოა, რათა სულიერად, გონებრივად და ფიზიკურად რომ მაინც მტანჯველია პიროვნებისა და, გარემოსიც, რატომ?!?!?!..

„ერთი ნავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“ – გენიალურმა მგოსანმა და მოაზროვნემ შოთა რუსთველმა ღრმა ფილოსოფიურად იქადაგა. მეტის თქმა და აზრთა სიღრმისეული გახსნა ამ შემთხვევაში შეუძლებელია. სამყაროს აუცილებელი საჭიროებისთვის დაკანონებული, ჩვენთვის კი უკიდურესი უკანონობა მართავს საცოდავ დედამიწის ირგვლივებს, სადაც სინათლის, ცეცხლის, სიცივის, პლანეტების არსებობის, სიცოცხლის, სიკვდილის, სიძულვილის, ბნელის, უხილაობის, სულთა მარადიულობის, ფერის, ხაზის, ფორმათა, ბგერების, მეხსიერების განძის, საფლავების და სხვა მრავალ ელემენტთა განძთსავსეობა და მოძრაობებია. ამ შემთხვევაშიც ძალაუნებურად უკიდურესი მორჩილებითი ნებელობაა უმკაცრეს ზნე გადანურულ მოვლენებთან.

ვაიდა, საცოდავო ადამიანო! ქვეყნიურ მრავალ ტანჯვასთან ერთად შეუფერებელი, საშინელი და მოუშორებელი უბოროტესი ხასიათი სულს და გონს რომ გიღრღნის. დაძაბული ფიქრისა და ეჭვების გარეშე, უზარმაზარი და უშორესი შხამფრქვეველი პლანეტა, რომელიც უწყვეტად გზავნის ყოველთა სანამლავ ეშმაკეულ სხივებს, დღენიადაგ მისგან რომ იმუხტება მრავალი ადამიანი და სხვა ცოცხალი არსებაც. დედამიწის სასიკეთოდ ამ უმძიმეს ძალას გამუდმებით ებრძვის კეთილი პლანეტების



უნყვეტი სხივთა დენა, რითაც უფლისმიერი მეთვალყურეობაა, ანუ მათი ჰიპნოზური საკვირველი აქრაა... რასაც მე აქ ვყვები, საიდუმლოთა გამხელა კი არ გახლავთ, მხოლოდ გაცხადება ჩივილია ქვეყნად თქვენსავით შედარებით უფრო უძღური პიროვნებისა. ყოველგვარი კეთილისმყოფელური ბრძოლა ამ უნმინდურობასთან დროებით გვაშორებს ან წამიერად გვაავინყებს. მეგობრებო და თანამოაზრენო, სიმართლის თქმა უნდა გავბედოთ და სანამ ადამიანი სამყაროში, მშობლიურ დედამიწაზე სიცოცხლეს აგრძელებს და ძარღვში სისხლი, კოსმოსური უნიკალური სითხე-შემადგენლობა მიმოქცევაშია, მისი მიწაზე დაღვრის ველური ჟინი სამარადისოდ იქნება. ამ ურთულეს შემთხვევაში ვამჟღავნებთ მხეცზე ბევრად უფრო უარეს თვისებას და ამდაგვარი სამყაროსეული უსასტიკესი თვისებებით ივლის ადამიანი ნებისმიერ ცივილიზაციაში და ათასწლეულებიდან მილიარდობითწლეულებში; მათი და მრავალთა დროულ-დროებითი შესვენებები მხოლოდ სიკვდილითაა.

„სამყაროს უნილაგი მედლის თბივე სახე, სიკვდილ-სიცოცხლის უზენაესისგან დაკანონებული მარადიულობაა“.

ათასობით წლის მიღმა, წარსულში ჩაძირულ საოცრებებს გვიყვება იდუმალ-მთხრობელი ისტორიკოს-მემატიანე. თურმე, კავკასიონის მიუვალ მთებს შუა, მრავალმღვიმიან თუ გამოქვაბულებიან ადგილას გაჩენილა უცნაური და ზეცის-ვარსკვლავეთისკენ მზირალ-მხედველი ტომი, რომელთაც საკუთარი ენა უბოძა უფალმა, გამოკვეთილი ტომობრივი სახე და ხასიათ-ბეჭედი... უცხო და იქითა სხვამხრივი გარემოსთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ლეგენდარული სივრციდან იდუმალებით მოვლენილი ხალხი ბუნებრივი თვითგანვითარებით ცხოვრობდა, სალაპარაკო ენა ნელ-ნელა უვითარდებოდათ, რა თქმა უნდა, მათში ვერავითარ დამწერლობასა და ცივილიზაციის ნიშნებს ვერ შეამჩნევდით. უფრო კეთილი ცხოველურ-ადამიანური თვისებები სჭარბობდათ და ზეციურობებზე თანმიმდევრულად უვითარდებოდათ სიყვარული, ფიქრი და შეხედულებები...

მუდამდღე მზეს შესციმციმებდნენ და ღამეებს ხშირად მთვარის და ვარსკვლავების სევდიანი ცქერით ათენებდნენ; მიწა უფრო მისანვდომი იყო მათთვის და ხშირად გულუბრყვილოდ კოცნიდნენ, თან გაშლილი ხელის თითებით ეფერებოდნენ; იკვებებოდნენ ბალახეულის ძირებით და ტყის ნაყოფით, თაფლით. წყაროებიდან კამკამა



მზე – ღმერთი.



ომი და შედეგი.



წყალს პეშვით სვამდნენ გამონაკლისის გარდა. გამორჩეულნი კი ბუნებრივი თუ კაჟის ქვით ამოთლილი სხვადასხვა ფორმის სასმისების მაგვარებს იყენებდნენ; ცხოვრების პირობებით ინსტინქტურად მგლებს მიაგავდნენ, მათსავით მოიწყვეს დაკანონებული საცხოვრის-სამყოფელი და უკეთურთაგან შედარებით მიუვალნი გახდნენ. ბუნებრივი ნიჭის მქონე თითო-ოროლა მათგანმა, მეხისგან ნაქცეული ხის მორიდან მუქი ლურჯი გრანიტის ნაჯახით გამოჩორკნეს მზის გამოსახულება, ერთ-ერთ შიშველ მაღლობზე დადგეს და მზის ამოსვლა-ჩასვლას იქ ხვდებოდნენ. ნაქანდაკართან სიახლოვეს არ მიდიოდნენ – ფიზიკურად არ ეკარებოდნენ. მასიურად გამართავდნენ ხოლმე არქაული გაურკვეველი ტანის მოძრაობებით ცეკვა-თამაშს და სიცილ-ხარხართ ერთმანეთს კოცნიდნენ; ურთიერთისაკენ მიზიდული ქალ-ვაჟი ჩუმად იქაურობას განემორებოდნენ, ტყეს შეაფარებდნენ თავს და ნაყოფიერდებოდნენ. ბავშვი რომ დაიბადებოდა, ბუნებრივად გარდაცვლილი ცხოველის რბილ ტყავში გაახვევდნენ, მზის გამოსახულების გვერდით დაანვენდნენ და უცხო, ყრუ-ტეხილი მელოდიებით უმღეროდნენ. მოზრდილებისა და ხნიერი ადამიანების ტანთშესამოსელი სიბერით გარდაცვლილი მხეცების ტყავები იყო, რასაც მდინარის პირას წინასწარ დიდხანს რეცხავდნენ და ქვიშით ამუშავებდნენ. ქალების შესამოსელი კი უფრო შვლის ან ირმის ულამაზესი ტყავი ჰქონდათ. ტყავებს მოიპოვებდნენ ისევ ხნიერთა ან ავადმყოფობით დახოცილი ცხოველებიდან... გარდაცვლილებს ქვისგან არქაულად ამოჩორკნილ ქანდაკ-მზის გამოსახულებებს თავთან დაუსვენებდნენ. ყველაფრით და ყოველმხრივ მოქმედებით ცდილობდნენ მზისთვის მიებაძათ (ნეტავი, ჩვენს ეპოქაში მაგრე უახლოვდებოდნენ უფალს), მიემსგავსებოდნენ და ძალიან ბედნიერები იყვნენ. ღამით ნაკლული თუ სავსე მთვარის ცქერით მშვიდდებოდნენ; ლეგენდებს თხზავდნენ ციურ სხეულებზე და აგრე ართობდნენ და ეალერსებოდნენ ურთიერთს. ამ შემთხვევაშიც მიწას კოცნიდნენ და ეფერებოდნენ. ზამთარი თითქმის არ იყო, უფრო გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის ხანგრძლივობა იყო პერიოდულად გადაბმული.

ქვეყნის იდუმალმემათიანე გვიყვება და გვარწმუნებს, იმ უძველეს დროში ეს ადამიანები ყოფილან ხალისიან-ბედნიერები, თვისებით კეთილნი, ურთიერთმოყვარულნი უშურველნი და უღალატონი. ამ უცნაურმა გომმა, რა თქმა უნდა, პირველყოფილი ადამიანის ველური ხანის საწყისები თავის დროზევე გაიარა. მაშინ მხოლოდ



კლდისა და მღვიმის კედლებზე ცხოველების ხატვით და ქვაში გამოქანდაკებით იყვნენ გართულნი. ხოლო საოცრება ვარსკვლავითური ხედვის ამაღლება და შეგრძნება ძლიერი განვითარების მეორე საფეხურად უნდა ჩაითვალოს... მათ შემდგომ ადამის მოდგმას არ ღირსებია სამყაროსეული ჰარმონიის მაგდაგვარი შეგრძნების და წმიდა ზნეობის საზოგადოება. მომავალ მრავალსახოვან ცივილიზაციებს და რელიგიათა გაჩენას შთაუნთქავს და გადაუშენებია ის უცხო მზიური ტომი. ამჟამად მაგ მიდამოებში უცნაური შემადგენლობისა და ფორმის თავის ქალებს პოულობენ და შუბლის ძვალი – კოპი რატომღაც ზეანეულია თითქმის ყველასი.

თითქოსდა მხეცებს, ცხოველებს და ფრინველებსაც შურდათ მათი ცხოვრება-ყოფისა; მხოლოდ ზოგიერთი მხეცი დევნიდა, უკიდურესად მშიერნი, გამოკვების მიზნით, ინსტინქტურად აავებულნი. ცხოვრებაში არ იცოდნენ ზედმეტი ფიქრი, დარდი და ოცნება, ზრუნვა და უადგილო მეცადინეობა. მხოლოდ ზეცა იყო მათი ყოველნუთიერი ურთიერთობა-გართობა. მინასთან სიახლოვისას გრძნობდნენ უახლოეს მშობლიურ სიტბოს და განუყრელ შემნახველ უკეთილშობილეს მეგობარს. საგულისხმოა, იმ ეპოქაში, როდესაც უფლის მიუწვდომელი ნებით ცხოვრობდნენ, ისინი არაფერს არავის სწირავდნენ. შენირვები შემდეგ ათასწლეულებში, დაცემულმა ადამიანებმა დაიწყეს. დღეისდღესაც ამდაგვარი უმსგავსოებებით რელიგია ღმერთს შორდება. ამ წმინდანურ საზოგადოებას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ღვთიური, მზის ეპოქის ადამიანები... მათი, თითქმის უმეტესობის საშუალო წლოვანება ყოფილა ასი წელი (ასე იკითხება ზეციურ მეხსიერებაში); ცხოვრობდნენ მშვიდობიანი და კეთილი ფრინველებივით და მოულოდნელად წელ მრავალნი კვდებოდნენ (მიიძინებდნენ) ავადმყოფობის გარეშე...

ჩვენს ისტორიკოსებს ვერაფრით ვერ დავარწმუნებთ, ისინი უცხოპლანეტელები იყვნენ თუ არა. საბოლოოდ ხომ ჩვენც არ გვწამს. მაგრამ შორეულ საიდუმლოებას და კოსმოსურ მეხსიერებას გვერდს ვერ ავუვლით?..

„უნდა ჭამო, ზომ იცხოვრო და აზო იცხოვრო, ზომ ჭამო“ – სოკრატე.

სრული ჭეშმარიტებაა გარდაუვალი...

სოფელში გახლავართ. ადრიანი დილაა. უკვე გაელვია ჩემს მეუღლესაც ნანის, (ბავშვებს – მედეას და მაიას – სძინავთ). და ვეკითხები: - დღეს რა ვჭამოთ სადილზე? – ხო! შენი და ბავშვების საყვარელ ჭრელა დედალს დავკლავ კვერცხმდებს. – არ გე-



ცოდება, ადამიანო? თან კვერცხმდებს, – ვეუბნები. – აბა როგორ ვიარსებოთ? – აი და ჩვენი დაბადება, სიცოცხლე და აუცილებლობა დღიდან გაჩენისა. უცნაური რთულ-ქვეყნიური, მიუნვდომელ-ამაღელვებელი და უსაშველო ადამიანური უმძიმესი ქმედების არსიც, რომელიც იმუხტება სხვადასხვა ფერხასიათის და გაურკვეველი ზნეობის ვარსკვლავებიდან, აგრეთვე ისიც გამოსაკვლევი, თუ რა განუზომელი ელემენტთა ტევადობა გვეგზავნება მზის დაუდგენელი ნივთიერ-ელემენტებით სავსე სხივების მეოხებითაც... რომელიც გამუდმებით ინვის და უთვალავი, რაღაც გაურკვეველი უზარმაზარი დინამიკის შემადგენლობის და სიმხურვალის აფეთქებებია. უსასრულო ფუნქციების ენერჯიაა სამყაროში, აურაცხელი პლანეტებისა და მათგან აალებულმბორგავი ალიაქოთია განუზომელ სივრცეში. ზოგზე კი, პირიქით, დიდი გამყინვარებაა. მრავალთვისებიანი გაზაფეთქებული წვათა ცეცხლოვანი გალაქტიკების სხივთსავსე სიშორე კი აღუნერელი და შიშისმომგვრელი სანახაობისაა. უკუნეთისმიერი და დაუსრულებელი სივრცის უმძიმესი ჯოჯოხეთს მიმსგავსებული ტრაგედია ხომ არაა ციურ სხეულთა უწყვეტი ამ ცეცხლმოდებულთა არსებობა და უმძიმესი გამყინვარება?.. ადამიანის და ყოველი ცოცხალი არსების მრავალმხრივ ბოროტად შემქმნელ-ამტეხი, მეორე მხრივ კი ბრძნული დამწყნარებელ-შემზავებელი ელემენტებითაა მათგან ყველაფერი დაელექტრონებულ-დამმუხტველი...

ყოველივეს, ცუდის, კარგის და სიმართლის გამჟღავნების მეთოდით გადავხედოთ კაცთა მოდგმის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს - ჩაჟამებულ დაუვინყარ მონაკვეთს, რომელიც ზემოთ ასახულ პლანეტათა მზიური მოცარტისეულ მუქ ფერფონიან რეკვიემს აგვიღწერს ანუ სამყაროს უზარმაზარი მედლის, ორი ურთულესი მხარეა საკვირველი. დაახლოებით მეთოთხმეტე საუკუნეა. შუა აზიიდან აიყარა თურქმენული მოდგმის ხალხი, მშვიერ-მწყურვალნი, და გაბოროტებულნი შეესივნენ სამხრეთის მრავალ ცივილიზაციაგამოვლილ ღვთივკურთხეულ ულამაზესსა და უძველეს რასებს. დაიპყრეს ბიზანტია, კაბადოკია თავისი ქრისტიანული ლაზეთით, გაანადგურეს ანტიკური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, დაასახიჩრეს კაცობრიობის ერთ-ერთი საოცრებათაგანი აკროპოლი და ქანდაკება „ვენერა მილოსელის“ ქმნილება, ხელებმომტვრეული, ზღვაში ჩაძირეს, რომლის ბადალი შედევი დედამინაზე ჯერ არ შექმნილა. კაჭკაჭებით დაეპატრონენ ირგვლივ მოვლილ მამულ-სახლ-სასახლეებს, გა-



აუქმეს ლეგენდარული ქალაქი კონსტანტინეპოლი, იმჟამად ქრისტიანული მართლმადიდებლობის ცენტრი და დაარქვეს ისტამბული. არ იკმარეს ყოველივე ბოროტება და შეესივნენ ევროპას, ალაღმართალი, მშვიდობიანი ხალხის ხოცვით და დაპყრობებით ბულგარეთამდე გავიდნენ... ალაჰი მოუძლოდა მათ? თუ სხვა სალოცავები, უფალი! – მაშინ ისინი მრავალნიშნად რატომ დუმდნენ? არა მგონია! უთუოდ უძლეველი გალაქტიკის და ბოროტი ვარსკვლავის მოუთოკავი ენერჯია იყო მათში დაგუბებული. შემდეგ სასტიკად აკოსმოსებულებმა დაიპყრეს საქართველო, სომხეთი და ჩვენთვის მხოლოდ მომავლის იმედი – დუმდა ხანგრძლივად... (ამ შემთხვევაში წარსულის ჯვარცმაზე თავს ვიკავებ, რადგანაც ის, კაცობრიობის ყველაზე უმძიმესი ბოროტებათაგანია...) უფრო უარესი მსვლელობა მოხდა ამერიკის კონტინენტზე – დამპყრობმა ევროპელებმა გადაცურეს ოკეანე და ჩაუვიდნენ მტერსტუმრებად. თითქმის ამონყვიტეს აბორიგენი ანუ ადგილობრივი რასა, პირლიად დატოვეს მათი სავარაუდოდ კოსმოსურ-ლეგენდარული მზიური ცივილიზაცია და საცოდავ ღია ცისქვეშეთის ექსპონატებად აქციეს. მოსპეს ყველაფერი და ამაყად, თითქოსდა სამართლიანად დააარსეს თავიანთი ახალი სახელმწიფო. აი, როგორი უხილავი კანონია ზეცის შორეულიდან გადმოსროლილი ვარსკვლავეთის სხივბოროტებისა; თუ... არსებობს კიდევ რაღაც უმძიმესი კოსმოსური ზეძალა?! – შევახსენოთ ერთმანეთს.

მშიერმა მამალმა, გვიანი შემოდგომის მნიფე ხორბლისფერმა გაავებულმა ლომმა მოინადირა ულამაზესი ტანხატულა, გიშრისთვალემა, ნათელი ჩალისფერი მრავალხალიანი შველი. მხეცური დაუოკებელი ჟინით დაბრდღვნა, დაგლიჯა და გაავებული თვალსულცეცხლოვანი ხვრეპდა მის უმანკო სისხლს. როცა შიგნეულს მიადგა, ბალახის ღერო გაეჩხირა ანითლებულ ხახაში, არ ესიამოვნა მხეცს და შვლის სისხლიანად გადმონერწყვა. თურმე ერთი საათის წინ ამ უმშვენიერეს არსებას ახლად ამოჯეჯილებული ხასხასა მწვანე ბალახი, რომელიც მცენარეული სიცოცხლის წყურვილით მზის სხივებს ეალერსებოდა, მშიერ ცხოველს გულმოდგინედ მოუძოვია მიწის პირამდე და აღმასისფერი ნამ-ცრემლიანი მწვანე მდელოთი გამძღარა. მერმე! სალამოს გადიდგულეებული და ძალაშემატებული ლომი გორასავით უზარმაზარ, გვალვაგადავლილ მიწისფერ სპილოს შესჭიდებია, გაბრაზებულ დიდ ძალას მფრინავი მეტეორივით ერთი შეუკვივლია და უმოწყალოდ გაუსრესია შიმშილისგან აღზევებული ბოროტი.



სატანისტების მიერ დასახიჩრებული
ვენერა მილოსელი. უკეთესს რას შექმნი
ადამის მოდგმავ???



ამ ფორმის საშინელ თემებზე ვერ ვჩერდები და მინდა მოგიყვებთ პირადად განცდილ-გადატანილ სამყაროს მიერ დაკანონებულ უკანონობის მძაფრ საქმიან ვითარებაზე; ბავშვობიდან მიყვარდა ცხოველები და დიდი ცნობისმოყვარეობა მქონდა გარეულ ფრინველებზე თუ ტყიურ ნადირზე. ხუთი-ექვსი წლის ვიქნებოდი, ჩვენი ოჯახის ხბოს ბავშვივით ვუვლიდი და მზრუნველობას არ ვაკლებდი. დედა ჰყავდა თეთრი, შავი ნაწვეტებული რქით და მოთეთრო-ვარდისფერი დიდი ცურით; იყო საოცრად მშვიდი და კეთილი, რძემომტანი საქონელი. ახლად დედის ძუძუს ნოვამიტოვებულს ყოველდღე სუფთა ნორჩ-რბილ ბალახს ვუგროვებდი და ვაჭმევდი. თავის დროზე წყალს ვასმევდი და არასოდეს მოსწყურებია. ხშირად საქონლის, ძველისძველი ფოლადის სავარცხლით ყურადღებით ვვარცხნიდი. ტანი მთლიანად პრიალა ნაბლისფერი ჰქონდა მოკლე ბალნით, თეთრი შუბლი, ფართო შავი თვალები და მუქი ლურჯი დრუნჩი. ოჯახში გვეზრდებოდა მომავალი კარგი ნაბლა ხარი. ყოველდღიური ფერებით და ზრუნვით მეც მომეჩვია და ერთმანეთს ტოლებივით ვეთამაშებოდით. ისიც უვნებლად თავს მირქენდა, რაც მე საგანგებოდ ვასწავლე. ერთ, ჩემთვის და მისთვის უბედურ, დღეს, მშობლებმა ისევ ჩვენდა საარსებოდ დაგეგმეს თურმე ჩემი შუბლთეთრას დაკვლა, თანაც, ხის ოსტატები უძველესი სამზარეულოს შეკეთებაზე მუშაობდნენ და რამდენიმე დღე მათაც რომ გამასპინძლებოდნენ. ყოველთა უვნებელი ხბო, სამი დღით ადრე, თავისივე ჩაყვითლებული თოკით სამზარეულოს ბოძს მიაბეს და საცოდავს საჭმელს არ აჭმევდნენ, მხოლოდ ოდნავ მარილგარეული წყალი ედგა ძველისძველი ვედროთი. გამწარებულმა ვერ მოვითმინე და შუალამეს ავდექი, ეზოში გავიპარე ჩვენი ძველებური, ორასწლოვანი ოდიდან, მთვარიანი ღამე იყო მშვიდი. თხილნარის ძირას რამდენიმე მუჭა ბალახი მოვპუტე და მშიერს წინ დავუყარე. გაიხარა ბეჩავმა. უმძიმეს მეოთხე დღეს, საშინელი საქმის მცოდნე აღმასხანა მოიყვანეს თავისი შავტარიანი, ოდნავ დაღეული სვანური დანით. – სუფთა ფოლადია, მიხა ბიძია, ცხონებული ბაბუაჩემის, ჯვებეს ნაქონია. ამ დილას, სანამ წამოვიდოდი, სამართებელივით ავლესე, – ჩემი ხბოს მკვლელმა მეზობელმა საქმიანად წაიტრაბახა. ამ სიტყვების გაგონებაზე ტანთ გამაცვივა და ბურძგლებმა დამაყარა. ის სამი დღე ჩემი ხბო, დროგამოშვებით ტირილნარევი ხმით წამოიბლავლებდა ხოლმე, კაცთაგან განწირული. დანიანი, ცისფერხალათიანი უხეში კაცი ეზოში რომ შემოვიდა, თავი დახარა და გატრუნულმა ნაღვლიანი



ცრემლები ყარა, ცხოველურად ტიროდა, ყველასაგან დაუცველად დაგდებული. მე კი, გულაჩუყებული, ჩვენგან მეზობლად, მესამე ოჯახში გავიქეცი, საცოდაობა და ეს ამაზრზენი უბედურება რომ არ მეხილა. მზის ჩასვლისას სახლში როცა დავბრუნდი და დავინახე ჩემი ნაფერები თეთრშუბლას შელახული სისხლიანი ტყავი, სამზარეულოს ფიცრულ კედელზე გასაშრობად გაკრული, მდულარე ცრემლით ავზლუქუნდი. აღელვებული დედა ყოველმხრივ მამშვიდებდა და მეაღერებოდა, მაგრამ... მამამ ჩაილაპარაკა, ცოდვას, აბა რაა ეს ბავშვიო. მალე მაგაზე უკეთესი ხბო გვეყოლება და მასთანაც ითამაშებ, რამდენიც გინდა!..

იმ უმძიმესი შემთხვევის მერმე, რამდენიმე ათეულმა წელმა განვლო და კაცთ შიმშილს შეწირული ულამაზესი ხბოს ცხოველური ცრემლები გუშინდელ დღესავით მახსოვს და სევდის მომგვრელად თვალწინ მიდგას. აი, ჩვენი მარად უცვლელი კანონგანაჩენი, ყოვლის შემქმნელ-დამკანონებელი სამყაროსაგან; თურმე მხოლოდ უმკაცრესი და უბოროტესი მოქმედების მერმე უნდა ამოვიყოროთ მშვიერი მგელმუცელი.

აქაა, ხომ, განვრცობილი და უწყვეტი ჯაჭვი მარადიული ცოცხალთ ავსულობისა? არსებულიდან გამომდინარე, დაახლოებითი დასკვნის გამოტანაც შეიძლება – ყოველი ცოცხალი არსება ჭარბხასიათიანი სამყაროსეული ბოროტებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ხშირად სიკეთის სხივებიც გამოინათებს მათგან: უთუოდ უსასტიკესი სიკვდილის მარადიული შიშმოლოდინ-არსებობა ამძაფრებს ყოველივეს.

„ჭა აზის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია“ (მორგენშტერნი).

სრულიად მართალი და ბრძენი ნათლისა-მთქმელი...

ამ სახის ყოფილა თურმე აურაცხელი გალაქტიკების, ძირფესვიანად ამოუხსნელი მარად მოძრავი ზნეობრივი-დისციპლინა და არავითარი, მხოლოდ ჯუნგლების კანონი. თავადვე მთლიანი მიწიერი ბუნება მსხვერპლია სამყაროს ანუ პლანეტარიუმის სასტიკი ზოგიერთი ზემაგნიტოვანი დამაავადებელი სხივთ ენერჯის და მპყრობელური ჰიპნოზმტყორცნელი ვარსკვლავძალმომრეობისა.

გადავხედოთ ადამიანის კიდევ ერთ-ერთ უცნაურ, მაგრამ გასაგებ, ბუნებით თანდაყოლილ თვისებას. ყოველი ცალკეული პიროვნება გაუცნობიერებლად ცდილობს, აჯობოს სხვა მოპირდაპირეს: მეგობარი იქნება, ახლობელი, ნათესავი თუ უცნობი (უფალი იესო დიდ-კეთილი არასოდეს მიისწრაფოდა და მიილტვის სხვათა და-



მზე მფარველი.
უმანკო შვლის ნუკრი.
ნუ მოკლავ!!!



თავდასხმა მშვენიერებაზე და განადგურება.
მხეცმა ადამიანისგან ისწავლა თუ პირიქით?
უბოროტესი ვარსკვლავთ მსხვერპლი.



დიდ ბოროტებას,
უზარმაზარი ძალა დახვდა.
სტიქიური შურის ძიება.
დედამინაზე უმძაფრესი
ვარსკვლავთ ცივი ბობოქრობაა
ამჟამად მათ წინაშე უძლურია ყველაფერი
მინიერი



უცოდველი, გაჩენა,
არსება: ნუ მიენდობი!..
დაუცველი ხარ...



ჯაბნისაკენ, რათა ქემმარიტების და მაღალი ზნეობრიობის გამრიგეა...). მხოლოდ ასეთია ღვთიური ეთიკა და ქემმარიტება, იტყვიან, პრიმიტიული გაგებით ურთიერთშეჯიბრია ცხოვრება და ამ შემთხვევაში თავს იჩენს, ვინ – ვის, მჯობნი სპორტსმენები ამარცხებენ მონინაალმდეგეს, ეს უკვე განადგურებაა ანუ გაუქმებაა საკუთარი შესაძლებლობიდან მოპირდაპირე პიროვნებისა. აქტიური დიპლომატი და დიქტატორი პოლიტიკოსი ასევე თიშავს მოპირისპირეს, სპობს ან კლავს, გაიმარჯვებს და არავინ იცის, როგორი გონებით და ზნეობით უხელმძღვანელებს ხალხს. ამდაგვარი ფსიქოლოგიურ-ფიზიკური თავდასხმები უხეშად თუ ევოლუციურად – ჩუმ-ჩუმად მრავალი სპეციალობის ადამიანებში, მუქ ლაქად ჩაკირული თანდაყოლილი საერთოსივრცობრივი კანონ ტრადიციია... ხოლო ნაღდი, სულიერად ამაღლებული და მონოდებით დიდი ხელოვანი, არასოდეს არავის ამარცხებს, ჩაგრავს და ამოაგდებს თავისი ღვთიური კეთილი ფუნქციებიდან (დამოუკიდებელ კეთილ ვარსკვლავადაა ქმნილი), პირიქით, ის ძლიერი, სულიერად და გონებრივად აამაღლებს თავის ავ სხივშეყრილ მონინაალმდეგესაც. ხოლო მოშურნეს, თუ ის ოდნავ მაინც მოაზროვნეა და წინგახედული, უთუოდ მასაც მზე ღმერთივით კეთილად კვებავს თავისი უფლისმიერი შემოქმედებითი ნიჭით. ამ დროს პიროვნება გამარჯვებული კი არა, უფრო წარმატებულია და ამაღლებული ანგელოზთსულიერებითი ზნეობით. სრულყოფილი მოაზროვნე შემქმნელი უფრო ღვთიურ-ზეციურია და სიკეთის მყოფელი მრავალი თვისებითაა დაჯილდოებული, რადგანაც აზრთგამრიგე უდიდესი შემოქმედი, ქვეყნიური უზენაესი თავის რჩეულს უნაკლოდ მართავს, ზე-წარმოსახვებით – ფანტაზიით და გენიით. სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელია ასეთები და აქაც ფარული თუ ღია მადლ-სიღარიბე ტრაგედიაა პლანეტისა... ხოლო კეთილი ქმედება ნებისმიერი მორწმუნე ადამიანისა თუ ზნეობრივი მისწრაფებაა მიწიდან უფლისაკენ, უთუოდ ბედნიერია თავისი გარემო არსებით. როდესაც პიროვნება ცდილობს და ემსგავსება ღმერთს, დროთა ჟამში მოსალოდნელია წმინდანამდე ამაღლდეს, რაც ზეციური დასის შევსებაა. ხოლო, როგორც მოგახსენეთ, მათგან უკიდურესად განსხვავებული უაღრესად ნაყოფიერი ანუ გენიალური შემოქმედი განუწყვეტლივ ზესამყაროდან ღვთიური მადლით ივსება, იმართება და ქვეყნიერების სივრცის მარადიულ – ხატულ მზესახედ ინახება... ასე რომ, მრავალსახოვანი ვარსკვლავეთური მოვლენათა თვისებებია ჩვენში.



ყოველი გენია შემოქმედი ღმერთად მოსვლაა დედამიწაზე...

უთუოდ გვჭირდება და ისევ ვყვები! ზეციური მეცნიერული თუ ხელოვნების სა-
ოცრება საგანძურები, როგორც უხილავი, ასევე პლანეტების აურაცხელი პროცეს-
მოვლენებით, უსასრულობაში მარადიულად ინახება; რომელიც პერიოდულად რჩეულ
გენიათა მეოხებით გაუხუნავად მოენოდება ხოლმე დედამიწელებს. კაცობრიული მო-
მავალი კულტურა ცივილიზაციები მარად სიახლეებით იქნება სავსე რათა მას კვებავს
და ამდიდრებს კოსმიური – მზეთა სავსეობა...

საერთო ქვეყნიური უსასრულო სიკეთე და ბოროტება საპირისპირო განუყრე-
ლობაა. უზენაესისგან რჩეული ადამიანი თავისი ნიჭიერ-ბრძნული გონებით და მაღა-
ლი კეთილი გენიით ღმერთს უახლოვდება, მაგრამ მაინც ბოლომდე ვერასოდეს ვერ
მიენევა მიუწვდომელ მარადიულს. ამ შემთხვევაში გულწრფელად ვამბობ, რადგანაც
ყოველივე სამყაროს რეალურ-წარუშლელი მოვლენებია...

ემმაკი, უზნეო და ქვეყნიერების კანონგარეშე ავთვისებიანი ჰაეროვან-ფიზიკუ-
რი სიმსივნეა. დედამიწის და საერთოდ პლანეტარიუმის სივრცეში მოხეტიალე ყვე-
ლაფრისა და ყოველივეს გამშავებელ-დამნახშირებელ-ფერფლად მქცეველი. თავის-
თავადი რაღაც ბნელეთის წარმომადგენლობა კი არაა მხოლოდ! ის ერთ-ერთი შხამ-
მომწამვლელი უბოროტესი, ნივთიერებათა და სხივთა გაზ-შემადგენელი, როგორც
მოგიყვით, უზარმაზარი ვარსკვლავიდან დედამიწაზე მარად მომდინარე უხილავ-
უფერული მყრალი სხივ-სუნია... სანამ „ემმაკეთის“ ვარსკვლავი იარსებებს ჩვენსას
თუ რომელიღაც გალაქტიკაში, მისგან უკეთურ-უხილავ სხივთ სვლა დედამიწაზე სა-
მუდამოა. ხოლო მეცნიერ-ასტრონომების მტკიცებით, ადამის მოდგმა ვერასოდეს
ჩააღწევს თუ მიაღწევს იმ ყველასაგან განსხვავებულ უცნაურ-საშინელ-ფერად-შე-
მადგენელ პლანეტამდე. თუნდაც მიაღწიო, გადიდგულეზულო! დააკლებ კი რამეს მაგ
უძლეველობას?! დედამიწელების მისგან ხსნა-საშველი კეთილი ვარსკვლავთ მანა-
თობლებიდანაა და ნებისმიერი რელიგიის ჭეშმარიტი რწმენა-ერთგულეებით. აი-და,
უზარმაზარი მზისფერი ფარი – ჩვენი პლანეტის სიცოცხლის დაცვა-გადარჩენა-მოვ-
ლა-პატრონობისა. ადამიანები მაშინ ბევრად ბედნიერნი გახდებიან, ჭეშმარიტ აღმსა-
რებლობათა მოთავეები ერთმანეთისმალალ უფლისმიერ ინტერესებს თუ დაიცავენ,
ურთიერთს მოეფერებიან, გაუგებენ და ბევრ რამეს დაუთმენენ... ყოველივე ეს ეკუ-



ვარსკვლავიანი ღამე და კოლხური პატარა ოდა.
ავტ. რეზო ადამია.



მენიზმი კი არაა, ღვთიურ-კოსმიური ტოლერანტობაა სრულყოფილი და სისტემის მთლიანობის ჯანსაღი დანახვაა ზნეკეთილ-მეცნიერული...

თავისი გაჩენის მოსვლის დღიდან კაცთმოდგმა ცდილობს ყოვლის წამშლელი ომების და ურთიერთხოცვის გაუქმებას, ანუ რაც შეიძლება, ეს მიძიმე უბოროტესი მოვლენები მინიმუმამდე დაიყვანოს, მაგრამ უკეთური – უმსგავსოება უსასრულოდ გრძელდება და გამანადგურებელი ომების გამჩალებლებს ძეგლებს უდგამენ და წიგნებს წერენ მათზე, ფილმებს იღებენ და თეატრალურ სპექტაკლებს დგამენ. ისევ ბნელისკენ გადახრილი პოლიტიკოსები და ხელოვანნი – ცრუ ინტელექტუალები, და რატომ?! როცა მათი გვარ-სახელიც უნდა ამოიძირკვოს ისტორიიდან. ინერებოდეს მხოლოდ სატანური ომების მსვლელობებზე, წინამძღოლი დემონთა გამოსახულებათა სამართლიანი გაშავებით, მართალი და ტანეკლიანი უფერული ასოებით. ისინი ხომ უსასრულო დროით წამლავენ მრავალ თაობათა კეთილშობილ სულს ანუ ღრმა მორწმუნენი რომ იტყვიან მაგ ჯგუფის ადამიანები სატანისგან იმართებიანო... უფალი ღმერთი, იესო ქრისტე, არასოდეს არ იხსენებდა ავადსახსენებელ წარსულს...

კოლხ-იბერიელები, წამებული ღმერთის უერთგულესი შეწირული მორწმუნეები ვართ; ტანჯული სამშობლოს ცათა ბედ-ანაბარანი. თავისუფალ ხალხთა გამანადგურებელთ, იგივე ბედი რომ ეწია ესაა სასწაული. უკიდურეს შემთხვევაში ქვეყნის, ერისა და პიროვნების თავდაცვითობა კი გამოუვალი, კანონიერი აუცილებლობაა, როგორც ღვთიური მართალი განაჩენი. ისევ უმკაცრესი გარდაუვალობაა ნათელი, მცირე, მაგრამ დიდი და შავი ბოროტების მოსპობის ფასად... ოღონდ, რომ ზოგჯერ, თუ ხშირად არა, თვით ბოროტება იმარჯვებს სიკეთეზე. წარმართობისას ის თითქოსდა დაკანონებით წარმოჩინდა, მაგრამ ქრისტიანობის მცდარ მიმდევრებს რატომ უნდა ემძლავრა აგრე გამეტებით, სატანამ და ექვსასწლოვანმა ინკვიზიციამ შავად რომ დააღამა დასავლეთ ევროპას. აი და აქაც უფრო იაქტიურა ბოროტმა პლანეტამ და... მაინც, ჩემო მეგობარო, როგორი უსაშველო ყოფილა ამქვეყნიური ცხოვრება?!.. ალბათ, როგორც გაიმბეთ, არც იმქვეყნიურია მთლად დალაგებული. აბა, ვინ და რა გაქცევია პლანეტარიუმის თითქოს მოწესრიგებულ, მაგრამ სასწაულებრივ ორომტრიალს... უთუოდ ამ სახისაა ვარსკვლავეთის წყობითი ურთულეს-უმკაცრესი დისციპლინაც. ამდაგვარი ირგვლივი უკეთურობანი უნდა მოაწესრიგოს, და შეანელოს მაღალზნეობრივმა და



ბრძენმა ადამიანმა მხოლოდ ნებისმიერი ჯანსაღი სარწმუნოების მეოხებით, და თავად მიხედოს თავის კუთვნილ სიკეთის მიწიერ კერას. თუ არადა პლანეტას ჩვენსას შეუწყდება უძვირფასესი სიცოცხლე დროებით ან დიდი ხნით და ადამის მოდგმა დაკარგავს ათასობით წლებში მისხალ-მისხალ დაგროვილ-მიღწეულ სხვადასხვა რელიგიის, კულტურის, მეცნიერებისა და ცივილიზაციის ღვთიურ წონა-მადლს... ისინი თავისთავად არასოდეს კვდება, მხოლოდ ბერდება დროის მარადიულ სვლასთან ყოფნით, ზოგჯერ თუ ხშირად, საუბედუროდ, როგორც გაიმბეთ მას სპობენ სატანისტი ფანატიკოსები.

განა სამყაროს საცოდავი გაჩენა არაა ადამიანი? რათა რა ადვილად მორჩილობს ზოგჯერ ან ხშირად მოხერხებულ ბოროტს: ოღონდ აღიმაღლონ პირადი ამპარტავნება-ქედმაღლობით, ზოგჯერ ან ხშირად აღივსონ მატერიალურად და სულსაც გაყიდონ, მათგან ნებისმიერნი ხომ ღმერთსაც უარყოფენ, იქვე ზეციურ-მიწიერ ზნეობას და გულცივად სამშობლოსაც ივინყებენ. ოიდა, ამდაგვარნი რა ადვილად ურიგდებიან ბნელ უკეთურს. ხშირად კეთილზნეობიდან ამოვარდნილნი ქვეყნის მოძულე ფანატიკოსი და კაცთმგმობელი დამნაშავე პოლიტიკოსების უერთგულესი შემსრულებლები ხდებიან და ცხოვრების გზაზე უახლოეს პიროვნებებსაც არ ინდობენ. ძალაუნებურად ისმება კითხვა: – რა გვიშველის?! უპირველესად ჭეშმარიტი ზნეობა, სინმინდეთა რწმენა, ამაღლება, ღვთისმოსაობა და ერთარსებით უნდა მივინდოთ, გავიზიაროთ და მივსდით უფლის – საღვთო ნათელ სწავლებას. უკლებლივ ეხება ყველა პროფესიის, აღმსარებლობის, სხვადასხვა სამსახურის, დაბალი თუ მაღალი თანამდებობის და წოდების ადამიანებს...

ნუთუ როდისმე პლანეტაზე შეიქმნება კაცობრიობის გონების განმწმენდავი უძლიერესი, ბრძნული ზნეობის ინსტიტუტი და ნებისმიერს მიუახლოვებს უფლის მცნებებს, სიკეთეს და სიყვარულს! მომავალში უსათუოდ ჩამოყალიბდება უდიდესი სკოლა, „კოსმიური მეცნიერების აკადემია“...

დრო მიდის, მზის სხივებით სავსე სიკეთე კვლავ განაგრძობს ბოროტთან დაპირისპირებით ბრძოლას...

ყველაზე დიდი გულითადი ლოცვა, სიყვარულით, სიკეთით – უფალთან მიახლოებაა და ბოროტების უარყოფა-განდევნა...

უხილავ სამყაროსეულად იმზირება ქვეყნიერების მეუფე, ვარსკვლავეთს კი არ უკვირს: ჩვენგან დანახული ყველა უშორესი პლანეტა ხომ თითქოსდა გარინდულია,



მაგრამ იმ დუმილ-იდუმალებაშია საკვირველი ზეციური განვითარების მოძრაობა.

სივრცობრივ აზრში ჩახედვას გააჩნია უსაზღვრო მაგიური ქმედება და მისეული მიუწვდომელი ფუნქციით იმოსება შორეული წარსულის, აწმყოსა და მომავლის სვლა-გააზრებები, საიდუმლო ბურუსში ახვევს ყოველივეს, რითაც მთავარს, რთულსა და მიუწვდომელს ხდის, მაგრამ ხშირად საზრიანი დუმილი ბადებს მოულოდნელ მაღალ-შედეგიან ღვთიურ განსჯა-მადლს...

კაცთაგან დაუდგენელი ძვირფასი ისედაც შორეული, საშინელ მიუწვდომლობას შთაუნთქავს...

სატანა არ ისვენებს, ის, მეტად გაბოროტებული, ძილსაც არ იკარებს...

უთუოდ, რომ ვიმეორებ, და მაინც ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას, ეს კი კაცობრიობის და სხვა ცოცხალ არსებათა მარადიული და უსასრულო ტკივილ-ტრაგედიაა...

მეცნიერთა მართალი მტკიცებით, ოთხი ათასი წელია, შეწყდა საოცრება პროცესი და მის მერე ადამიანმა ვერცერთი ცხოველი და მხეცი ვერ მოიპინაურა, რატომ? რა მოხდა ასეთი განსაკუთრებული! შესაძლებელია, პლანეტათა უზარმაზარმა მოვლენებმა წარმოშვა ეს საბედისწერო ქმედებანი. ანუ ღმერთმა ოდითგანვე გააჩინა და განსაზღვრულ დროს დააკანონა ადამიანთან დაახლოება-დამეგობრებისთვის. მართლაცდა, კაცობრიობას ძალიან გაუჭირდებოდა შინაური ცხოველებისა და ფრინველების გარეშე. განსაკუთრებით ცხენის, ძაღლის და რამდენიმე მკვებავ ჩლიქოსანთა და ფრინველთა არყოლით. მათ უთუოდ განუზომელი წვლილი შეიტანეს პლანეტის მრავალ ცივილიზაციის განვითარებაშიც.

დააკვირდით, როგორი ვარსკვლავეთური უკუქცევია!

რაგინდ მწვერვლებს მიაღწიოს ადამიანმა ტექნიკაში, მეცნიერებაში და ხელოვნებაში, მათთან ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია მისი არსებობა...

ისევ დაუნერელ-დაუდგენელ აუცილებელ ვარსკვლავეთის კანონ-ზნე-სისასტიკესთან გვაქვს შეხებები.

მთლიანი თუ გარკვეული მოცულობა სიცოცხლისა კი ურყევი კალაპოტით მიედინებოდა, ყოველის სახიერებით სავსე, უკიდევანოდ მრავალფერადი და ნეტარების მზე, ცის თვალთ მიუწვდომელი გუმბათისკენ მიისწრაფოდა, ბოლომდე აზრთგაუშიფრავი



უსასრულო ასტრონომიული ფუნქციით. როგორც მოგახსენეთ, დედამინამ მზის ირგვლივ მისეული ბრუნვა კვლავინდებურად იწყო და სისტემური სრული წრიული სვლაც აღსდგა. ასევე უმაღლეს ალფელინა მრავალ აღმსარებლობათა ლოცვები და სხვადასხვა-შინაარსიანი ნატვრა-ოცნება. თვალთ ღიმილიანი სინათლე ჩაუდგათ ადამიანებს და ყოველ ცოცხალ არსებათ. განახლდა მომავლის მყარი ზეციურ-მინიერი იმედი.

მცენარეების ჩათვლით: შენელდა უმზეობისგან გამონვეული გამანადგურებელი უმისამართო ტრაგიკული ურთიერთმზერა, მუქფონიანი სევდა, სიბოროტის აღვლენა, უსასრულო ურვა, უიმედობა და, ამ დროს სრულად გაუცნობიერებელი სივრცის იდუმალი-ოპტიმისტური ხმა გაისმა. კლდეები, ლოდები და სტიქიურად მიმოყრილი ქვები ხალისით შეხმთანდნენ. მიწის გახშირებული ფეთქვა იმედსავსე სუნთქვა-განწყობილება იგრძნობოდა ირგვლივ. ბრძენი მწერალ-ისტორიკოსი, ქვეყნიერების ჯერ არმომხდარი მოვლენებისგან აღტყინებული შემოქმედებითი სულიერებით მიუჯდა საწერ მაგიდას, წარმოსახვებსხმული ჯადოკალამი აიღო და ყოველივე მომხდარის აღწერა დაიწყო. თემატურად ახალი ნიგნი იქმნებოდა ღრმა ფილოსოფიურ-მეცნიერულ-ასტრონომიულ-ასტროლოგიური მაღალმხატვრული აზრებით. ყველა კეთილშობილი მოწოდების მქონე პირები შეუდგნენ ზენაარისგან ბოძებულ შრომით შემოქმედებას... კანონიერი ქურდები კი კაცთა მიდგომებს თავისებურად ხვეწდნენ და ურთიერთმრუდე საქმეებსაც არჩევდნენ. ხულიგნები, ლოთები, ნარკომანები, მეძავეები, მანანნალები და უსაქმურები უშიშრად გადანაწილდნენ თავიანთ სევდისმომგვრელი ცხოვრების ჩარჩოებში და სიცოცხლის ავ-კარგ დინებას მიჰყვნენ... ხანში შესული ქალბატონები და თმაგათეობრივი ბატონებიგანუმეორებელი წარსულის საინტერესო ამბებს დღენიადაგ ყვებოდნენ. ხელოვანი კი სიახლე მხატვრულ, ამაღლებულგანწყობილებიან ნაწარმოებებს ქმნიდა. ნებისმიერი სპეციალობის, ხელობის და დასაქმებული ადამიანისთვის, მთავარია, ზნეობრივი კაცურკაცობა და ნათელ-ხილული ღვთისშვილობა...

დიდი თუ პატარა ქვეყნების გამოჩენილმა მეცნიერებმა უახლესი და ურთულესი აღმოჩენები ისევ წამოიწყეს. ზოგიერთმა გამომგონებელმა მასიურ გამანადგურებელ იარაღზეც დაიწყო ფიქრი და ოცნება. უფერული იმ უმძიმესთვისებიანი რომელიღაც პლანეტის გზავნილი უკეთური თავისებურად ავზრახვებიანია და არ ზოგავდა მათზე შთაგონებასა და ყოვლის წამშლელ საქმიან თანადგომას. რამოდენიმე წმიდათაწმიდა



ამაღლებული სულის სწავლულმა, ისევ განაახლა მიწის სიღრმეებში გონებრივი მზე-რა-ძიება, ისტორიიდან გამქრალი ხალხების კულტურა-ცივილიზაციებისა; ოცნება უკვალოდ დაკარგული, უძველესი კოლხური დამწერლობის აღმოჩენა-დაკონკრეტებაზე.

სიყვარულისა და სიკეთის განძი ციური, მზისგან ყოველგვარი მაცოცხლებელი ენერჯის სახით კვლავინდებურად ჭარბად იგზავნებოდა. ზოგმა გონნათელმა და მნიგნობარმა მხატვარმა უმდიდრეს სივრცეში აბსტრაქტულად განფენილი უხილავი ფერების, სიახლე ფორმების, ხაზებისა და იდეების კვლევა-აღმოჩენებს უბოძა თავისი სულიერღვთიური შემოქმედება, ულამაზესი კოსმოსს მიმსგავსებული ძიებანი პლანეტარიუმისა...

ამ თემას უფრო ახლოს მიწა მიუახლოვდე და განმეორდე კიდეც. ვარსკვლავთური უკიდევანო მრავალშრიანი სივრცის, უხილავი ფერ-ფორმათა, აზრის, ხაზის და სიტყვათა სამარხ საგანძურები, როგორც დედამიწის, ასე პლანეტათა უთვალავი თვისება ხასიათ-სურათ მოვლენები, სისტემატურად მათში მიწოდებულ-ჩასახული; ჰაეროვან სივრცობრივ მეხსიერებაში მუდმივად დევს და ასტრონომიულ მოძრავ საცავებში შენახულია: მერმე დროთა დინებაში გაელვებით თუ ნაწილ-ნაწილ, ჩვენდა საბედნიეროდ, კვლავ უბრუნდება დედამიწას; მხოლოდ ზეციურ წარმოსახვათა უფლისეული მადლით ებოძება ღვთისგან რჩეულ შემოქმედთ. შემდგომ მათი უზარმაზარი ნიჭ-გონებრივი გარდაქმნებით იქმნება ხელოვნებისა და მეცნიერების უნიკალური მარად უკვდავი ნაწარმოებ-შედეგები, რისი სულიერ-ფიზიკური სახეობრივი ზეციურ-მეხსიერებითი გამოსახულების მუდმივი არსებობა დედამიწაზე საიმედოდ უზრუნველყოფილია. მადლობა უფალს, შეგნებულ ადამიანებს, ხელოვნების თუ არქეოლოგიურ-ისტორიული და სხვადასხვა დანიშნულების დარგობრივ თემატური მუზეუმ-საცავები რომ დაარსებია. რათა ყოველი უკვდავყოფილი ღვთიური და ადამიანური გენით ქმნილი ფორმა და ფერი-სურათით, მუსიკალური ჰანგებ-მელოდიები, სიტყვა და აზრთა მარადიულობა, უსასრულო გარემოს დაუნჯებით, უთუოდ განაღებულა და ფასდაუდებელი ზეენარული, უკვე რეალობად წარმოდგენილ-ხილული დაბრძანებული ექსპონატები, კაცობრიობის წიგნსაცავების სახითაც საიმედოდ დაცულ-შენახულია, რათა არ განადგურდეს ფანატიკოს ბოროტმოქმედთაგან და ყოველმხრივ დაუზღვეველი სტიქიური უბედურებებით...



მეგობარო! და ღრმად დაინტერესებულ მოკითხველო! როგორც გიამბოვთ შორეული ეს მოვლენა-ამბავი მომხდარა კაცთ მეხსიერების ფანტაზია ფიქრებითაც, ძნელად მისაწვდომ ბუნდოვან წლებში, უახლესი ათასწლეულის ლეგენდისმაგვარი ჩვენივე ცივილიზაციის სიმბოლურად ზუსტად შემადარ დროს. შემდგომ ამისა უამრავმა პერიოდებმა გამოიარა თავიანთი დასაწყისითა და დაბოლოებით, რასაც უდროოდ სპობდნენ მარხავდნენ და აქრობდნენ გაბოროტებული, პოლიტიკაში ბრბოსგან დაწინაურებული ადამიანები ან ციური მოვლენები, ზოგჯერ მინიერი წარღვნებიც. პლანეტა ჩვენი ხომ საფლავთ სიმრავლეა ცივილიზაციებისა და, რატომ?! რაზე აწყობს ასე?! ან რაში სჭირდება მონათესავე ციურ სხეულებს? როგორი ვარსკვლავეთის საშინელი და მკაცრი საიდუმლოების კანონ-ფარდაა ჩამოფარებული დედამიწაზე? მაგ, ყოველი ჩვენგანისთვის წარმოუდგენელ უხსოვარდროინდელ წარსულში, საკვირველია რომ, მინავლებულ არარაობასაც გაუღვიძია თურმე უსახო უნიათო აბსტრაქციად და სიკეთესთან ჭიდილში დამარცხებული უკვალოდ გამქრალა.

ადამიანისა და ქვეყნის წარსული, როგორც გიამბოვთ, სიზმარს მიმსგავსებული გახსენებაა, მომავალი ოცნებაა, სტიქიურთან ახლო მიზნებია. ანმყო! თავად და ყველასათვის ძალიან პატარა მონაკვეთისაა, მაგრამ რეალურ-მატერიალისტური უთვალავი ცოცხალი შრეებით და უდიდესი იდეური მოქმედ ტევადობის: მის უხილავ სივრცეში თავსდება ქვეყნიერების ყველაფერი, მცირედი მოლეკულის მოძრაობიდან დაწყებული, უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. თითქმის უმნიშვნელო მოქმედებიდან უდიდეს მოვლენებამდე, რომელიც მომავალში უკლებლივ მარადიულობის ციურ თუ სივრცობრივ გაღერებებში მუდმივ მეხსიერებად გადადის და აბსტრაქტულ სურათებად ექსპონირდება, ანმყო სამყაროს უმცირესი და უკიდევანო წარმოუდგენელი მოქმედების უდიდესი ფენომენია. როგორც გიამბოვთ, დრო ხომ უმთავრესი სამი სახე განზომილებისაა, მათგან თვალგონსულებილული სისხლმჩქეფარე და სრულიად მართალი, რეალური ქვეყნიერების ოქროს ღერძი უკიდევანობის ხიდ-ცოცხალი „ანმყო“!..

მიყვებით ყოველთა გადარჩენის ასტრონომიულ-ისტორიულ ბედნიერ დროთა სვლას და ამ მადლმოსილ, თვალწინ ანმყოდ მიმდინარე დინებას. სიცოცხლე მზის სხივთ კეთილი სვლით ზეიმობდა როგორც მინის ზევით, ასევე ქვეშეთშიც.

განახლდა მითების მოსვლა, ლეგენდების დაბადება, ზღაპართ შეთხზვა, ბუნდო-



ყოველ დღე
მზეს შევეგებოთ!



ვანი სიზმართხილვეები და ბუნება-ქვეყნის თანმიმდევრულ მოვლენათა ისტორია...

გაიღვიძა ირგვლივ ასობით კეთილმა თუ ბოროტმა ზრახვა-სურვილმა, უთვა-
ლავმა მიზნებმა, მრავალშინაარსიანმა ფანტაზიამ, ძლიერმა სულმა, ჯანსაღმა მუზებ-
მა, შემოქმედებითმა ძიებამ და ფრთებშესხმულმა ოცნებამ, სიკეთემ და სიყვარულმა;
რჩეულთ, შემოქმედებითი წარმოსახვებიც გამოეცხადათ და მომრავლდა ათასფერად-
თვისობრივი ადამიანური შეუპოვარი ენერგია, უძლეველი სინათლე სიბნელეს დაუ-
პირისპირდა. ქვეყნის სამომავლო ფიქრები გეგმებს აედევნა და სრულყოფილი ქმე-
დებით ამოძრავდა. მზის იმედით სავსე რწმენითი შეგრძნება, რელიგიურ გულწრფელ
მრავალმხრივ ლოცვებად განახლდა. უხსოვარდროინდელმა კაცთ უნდო სითამამემ,
ბოღმამ, ღალატმა, სიმხდალემ, დიდგულოვნებამ, ორგულ სულთა ბორგვამ, შურმა,
ბოროტება უღიმღამოდ ისევ აფართხალდა, ახლებურად იწყო ფორიაქი და ვერ ეტევა
თავის ჭუჭყიან სამყოფელში.

სრულიად ქვეყნიური დამრეგულირებელი კი ისევ დუმს. მხოლოდ ადამიანში
სარწმუნოების სასწაულებრივ ზეციურ ჩაგონება-ჩასახვა-რწმენას ძალუძს თურმე
პლანეტის და ქვეყნიერების ნაწილობრივი თუ მთლიანი ზნეკეთილი მონესრიგება.

ჩვენს ირგვლივ მრავალშინაარსიანი ხედვაა, პიროვნული, ქვეყნიური და ეროვ-
ნული, საზოგადოებრივი, კოსმოსური, წარმოსახვითი, მათში ყველაზე მასშტაბურია
სამყაროსეული; აგრეთვე სუფთა ასტრონომიული მზის მზერა, მთვარის მაამებელი
ცქერა და ვარსკვლავთ უწყვეტი თვალთვალი. მათზე ბუნებრივად მიორგანოებულა
მრავალმხრივი განცდები, სევდა-სიხარული, აზროვნება, ნიჭი და ფიქრი... ამ შემ-
თხვევაში მთავარია ღვთიური და იქვე გამაოგნებელი ბოროტქმედებანი ეშმაკეული.
მართებულია, რომ არსებობს მრავალსახოვანი სიჯანსაღე-სიხარული ტკივილები,
საფიქრალ-ემოციები. მოკლედ, რაც აურაცხელი ხასიათ-თვისებებია ადამიანში; თი-
თოეული განმეორებაა ან ჩვენსკენ გზავნილი მიუწვდომელ სხეულთ სამყაროსი. ისევ
ვიტყვი, მომავალში არავინ იცის, კაცთა მოდგმა რამდენს და რა სახის თვისებას, სი-
კეთეს, სიბრძნეს და წუხილ-ბოროტებას შეიძენს ვარსკვლავეითიდან. ყოველივე ხომ
მრავალმხრივ დაუსრულებელია, ამითაც საშინელი და მუდმივი ტვირთმზიდავია ადა-
მის მოდგმა. უმეტესობა ჩვენგანისა უცილოდ ღვთის და სამყაროს ჭურჭელია კეთილ-
შობილი. დანარჩენი კი, სამწუხაროდ, ფიქრ-იდეაა უკეთურობისა. ამ შემთხვევაში რა-



საც ვყვები, წარსულისაა და მრავალი მათგანი დიდი ხანია, მოსულია დედამინაზე. ან კი, მომავალში რაც გამოგვეცხადება ზნე ნიჭი უმდიდრესი შორეულიდან, აი, ის იქნება გამოსაკვლევ-შესასწავლი, ხოლო იმ ჩვენთვის სიახლე უცხოხს უპირველესად ვინც შემეცნებს, უთუოდ მოგვევლინება დიდ შემოქმედ-მეცნიერ-გენიად.

სარწმუნოება შთაგონება კაცთა ზეგონებაა ღვთიური მოძღვრებით სამყაროსეული პლანეტათა სრულყოფილი აზროვნებაა და დედამინაზე მცხოვრები ადამიანების წმიდათაწმიდა ზნეობის, სულის-გულის და გონის ნათელ სანთლად ჭვრეტის მუდმივი კეთილად მოდარაჯე მარეგულირებელია... „ათი მცნება“ ხომ კაცობრიობის ყველა კანონზე მაღალთმაღალი მარადისობის ღვთიური შეუდარებელი კანონ-წესდებაა, მილიარდ წლებს რომ გადასწვდება მისი შეუფასებელი უფლისმიერი უძირო დიადური სიბრძნის ძალა და მადლი. ეს უმაღლესი ზნეობა დაუსრულებელი, დროის სვლათა პერიოდშიც უფრო და უფრო ძვირფას ადგილს დაიკავებს კაცთა მოდგმის გულითად გონიერ და სულიერ არსებაში, მერმე მოედინება ის და ამალლებს პიროვნებათა სულგონება-გულის არსებას და ამდაგვარადვე ცხრა ნეტარებაც წმიდად აყალიბებს ყოველთა ბუნებას... უცილოდ ღვთიური აღმზრდელობითი აკადემიაა უმწვერვალესი.

ვიაზროთ მართალ ფიქრად: სასწაულია, რელიგიურმა, ზეციურმა რწმენამ და ღვთიურმა გენიამ შექმნა უნიკალური არქიტექტურა, მუსიკა, ფერწერა – ფრესკა-ხატები, ქანდაკება – ჭედურობა, მინანქარი, დიდი პროზა, პოეზია, მეცნიერება და მრავალი სხვა სახეობა ხელოვნებისა. ყოველგვარი რელიგიური რწმენა წარმოუდგენლად ამალლებს, ამდიდრებს და აფაქიზებს ადამიანურ ნიჭს, თუ არადა, გაფიქრებაც არა მაქვს, შეიქმნებოდა კი ხელოვნების შედეგები ან ქვეყნიერების შვიდი საოცრება?..

იმ სახის შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენი გალაქტიკის რომელიმე ციური სივრცის ცოცხალ პლანეტაზეც გავრცელებულია ტოლი აზროვნების მხსნელი ჭეშმარიტება, ესაა ღვთივსხივოსანი უბრძენესი „ათი უკვდავი მცნება“, ცხრა ნეტარება ანუ მათმაგვარი, შესაძლოა უფრო მაღალი, ამდაგვარი გაფიქრებაც შეიძლება, ეგების სადღაც სამყაროში უფლისმიერი უფაქიზესი ზნეობის სულიერთ, არც სჭირდებოდეს მაგდაგვარი სწავლება-დარიგება...

„ადამიანის უკვე ძალთა-მძლე მზეობით აღდგენილი და მოქმედი სააზროვნო ზეციური ორგანოები უკეთურობის გარდა სიკეთეს ავრცელებდა ჯეროვნად“. სიახლედ



მრავალნიშნა სიხარულის და ნეტარების ოპტიმისტური ცრემლი გაჩნდა კამკამა, და მზე არ აშრობდა, პირიქით, უფრო და უფრო აძლიერებდა მის ნათელ, წმიდად წარმოქმნის მისტიკურ აუცილებელ ბუნებას. შემდგომ ან წარსულის მოულოდნელი ხიფათი და ნახევარწრედ გადასული აღტაცების პირველი დღე მშვიდად მიიწურა. განახლებულმა, მარად ანთებულმა უსაზღვროდ ფეთქებადმა პლანეტამ კანონიერ-სისტემური ჩასვლა იწყო და დღის ისევ საშინელი შემთხვევის მოლოდინში, ცალმხრივად შესინებული ქვეყანა მაინც კანკალით შეეგება ულამაზეს, ვარდისფერებში გაზავებულ მოყვითალო ნარინჯისფერ ია-იისფერ ბაც ლურჯებში განყობილ გამჭვირვალე დაისს.

მზის ჩასვლა ბოლომდე გაუმჟღავნებელი და ფარული მისტიკური ციურ-პლანეტური უიშვიათესი სილამაზეა, დიდ იმედებთან ერთად უზარმაზარ სევდას რომ ტოვებს და ნელი სვლით ჩაიყოლებს; მისი ხილული ხატული სიმორე თუ სიახლოვე თითქოსდა ჩაძირვა-დაბადებაა გრძნობათა და ემოციათა უსასრულობისა.

თანმიმდევრობით ახალამოსულმა მორჩილმა, ნახევრადმდუმარე მუდამ ფიქრებში მყოფმა მთვარემ უწყვეტად ჩამოგზავნა სანუკვარი სხივთ სიმშვიდე, იმედი, ლამეული ოცნება და უშფოთველი ძილი. უკვე ძალიან შორს გადასული, მზისგან განათებული წრესრული მთვარე, კეთილმოსილებით ძვირფას ნათელ ვერცხლწრედ, ზანტი პლანეტური სვლით, მიცოცავდა მიუნვდომელი მფლობელისგან დროებით მიტოვებულ ზეცაში. ამჟამად უიმედობა არ იყო არსად. ხვალინდელი მზის ამოსვლის მოლოდინით, ყველგან სრული სინამდვილის ზეციურ-რომანტიული ამაღლებული იმედსავსე გრძნობა სუფევდა განუზომლად.

ჩვენეულ ეპოქაში დიდმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ისეთი მიკროსკოპული ატომგულის ელექტრონებზე მილიარდობით უმცირესი ნაწილაკ-ელემენტი, რომლის სიცოცხლის შეჩერება ან განადგურება ვერანაირი ლაბორატორიული ექსპერიმენტებით ვერ შეძლეს. ეს უკვე უცილო დასტურია ღვთისსამყაროსეული სიცოცხლის უკვდავი ღერძის არსებობისა; რომ მარადიულია სიცოცხლე და მას ვერაფერი ვერ განადგურებს. სამყაროების ცოცხალ პლანეტებზე შეიძლება მხოლოდ ფიზიოლოგიური სახეების შეჩერება ან გაუქმება და გადასხვაფერება დროთა ჟამში და ცივილიზაციების ტრადიციული განვითარების წყვეტა, მაგრამ „მზე, დედამინა, მთვარე, ვარსკვლავები და სიცოცხლე ხომ სამყაროთა მარადიული და უზარმაზარი შედეგრ-ხატებაა“...



მინიერი მშობიარობიდან განვლილი უმძიმესი სიცოცხლე – მერმე ნაადრევი სიკვდილი უკუმშობიარობით სამყაროში ისევ გასვლით ორივე დაბადება ხომ მტკივნეულია საოცრებებით სავსე. ორთავე ერთმანეთისათვის და ჩვენთვისაც ბოლომდე შეუცნობადია.

ვერ დამაჯერებთ, რომ მითხრათ, არ არსებობს საკვირველი, უკიდევანოდ-ქვეყნიური უხილაობის უმდიდრესი ფონდი ადამიანის (პიროვნებათა) დაბადებამდე უსასრულობაში მათი მეობის მარად არსებობის თაობაზე (თუმცა, პლატონმა თავის დროზე იაზროვნა ამ უცნაურ საოცრება-სინამდვილეზე). მტკიცედ მჯერა, იმ იდუმალი სივრციდან ხდება ინდივიდის გამოყვანა. ჩვეულებრივი ბედი ან შემთხვევითობა რომ არა, ისინი იქ იარსებებდნენ მარადიულად, მინიერი მწვალეზღური ზოგჯერ მზის შუქ შეპარული სიცოცხლის გაუვლელად. უთუოდ ამ უხილავი-უმდიდრესი და ურთულესი სამყაროს რაობა უფრო უფალმა იცის, ჩვენთვის მხოლოდ ხედვა, ზოგჯერ დანახვაც განცდა და მრავალმხრივი მინვდომაა, გააზრებაა.

ვუბრუნდები სასწაულ თემას – გამაოგნებელია, რომ არსებობს ატომგულის ელექტრონებზე ტრილიონჯერ უმცირესი ფიზიკური ნაწილაკი, რასაც ზემოთ ვახსენებ. მაშინ ეს ჩემეული მზეზე ნააზრევის თამამი ისტორია გახსენება უთუოდ სარწმუნოა, სამყაროს – ჩვენი პლანეტის ურთულესი მეცნიერული მარად მოძრავ სიახლე ფილოსოფიიდან გამომდინარე...

სანამ მზე, დედამინა და უახლესი მთვარე არსებობს, სიცოცხლე-სიკვდილთან თანმიმდევრული ერთობლიობაა განუყრელი. ოღონდ გონებაშერყეულმა პოლიტიკოს-ძალადგენიოსებმა ანუ ცუდდროულმა სარდალ დემონებმა თავიანთი იდეოლოგიურ-ქვეყნის მომსპობი გეგმა-მოქმედებებით არ გაანადგურონ და მოშალონ დედამინაზე ყველაფერი დიდი თუ პატარა სახელმწიფოებით, ერები, ტომები, ენები, გვარები, უნიკალურ-შეუფასებელი პიროვნული ინდივიდი, დამწერლობები, კულტურა და ცივილიზაციები. თუ ყოველივე ეს ბუნებრივ-მეცნიერულ-კოსმოსური წყობა მოისპო, ათასობით ან მილიონი წლები დასჭირდება პლანეტას, რომ აღიდგინოს სხივნათელი დღევანდელია, ან სრულიად სხვა მიმსგავსება... ვიმეორებ! დამალონებელია, რომ ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს ქვეყნიერების და ჩვენი პლანეტის ცოცხალ არსებათა პირწმინდად გაკეთილშობილებას... მამაზეციერმა უფალ იესო ქრისტეს ჯვარმცემლ-მწამებელთ,



დაცემულ ადამის მოდემას ერთხელ თუ შეუნდო უსაშინლესი ბოროტება, მოსალოდნელია, თავისივე ჯილაგის ამოძირკვა და გაქრობა არ აპატიოს და ვერ დაუბრუნოს მათ ყოველივე და ადამიანებზე გაუთავებელი ფიქრი-ზრუნვა, დარიგება-ზედამხედველობა მოიცილოს მთავარ – თავსამყაროდან. ამ დროს, წარმოვიდგინოთ, მზეს თუ გააჩნია მისეული ცეცხლოვანი ხედვა და სხივთ აზროვნება, როგორი განწყობით იქნება უზნეო და გონსხივაციური ადამის მოდემის მიმართ. ზენაარს, თუ ჩვენს მოდგმაზე ბევრად უფრო კეთილშობილური-გონიერი, ზნეობრივად მაღალი არსებანი ჰყავს რომელიმე გალაქტიკის ბედნიერ პლანეტაზე, მაშინ ამდაგვარი მკაცრი გადაწყვეტილება ჩვენთვის მოსალოდნელია. გამოდის რომ, ადამიანი ის ფიზიკურ-გონებრივ-სულიერი და ზნეობრივ-ფიზიოლოგიური გაჩენაა, რისი გამოსწორება, ათი მცნებისეული დარეგულირებით ღმერთსაც არ ძალუძს (მსოფლიო ისტორიაში მაგალითები მრავალია). შესაძლებელიცაა, უთვალავი სამყაროებისთვის ჩვენი გაქრობა-არყოფნაც, უფალმა ნუ ქნას და, დიდი დანაკარგიც არ იყოს... ანუ ალბათ, არსებობს შორეულზე იქითაა სიცოცხლის ფორმა, რომ სამყაროთა თვითგანვითარება, თავისი გლობალური მთლიანობიდან გამომდინარე, დედამიწისეულს არავის და არაფერს ემორჩილება. ისიც დასაფიქრებელია, რომ ქვეყნიერება თავადვე აღმოაცენებს სიცოცხლისათვის ყოველივეს? მაშინ გამოდის, რომ ჩვენს წარმოდგენებზე, ხილვებზე, შეთხზულ აზროვნებაზე უფრო კოსმოსური მიუწვდომელი შესაიდუმლოებაც არსებულა, რითაც რეალურად იმართება ბუნების უმცირესი ნაწილაკიც კი (მგონი, არცაა გასაკვირი). სამყაროთა და მათი მთლიანობის გრანდიოზულ-მიუწვდომელი ინერციულობა, სარწმუნოა, უფრო ღრმად დაკანონებული, უსასრულო, უკვდავების მაპროცესირებელი მექანიზმის გონება, სული და გულია. ამ ყოველივეს, მოსალოდნელია, ადამიანებმა დავარქვათ მიახლოებითი შესახელები, გონებრივი ფანტაზიის მარაგიდან გამომდინარე. სამყაროსეული გავლენა – მინჯე ყველგანმყოფ მისეული: (ხსნად მაინც უფალთან მივდივართ...) ხოლო დაუსრულებელი ფორმის მიზან-ქმედებები უხილავ ტალღებად მიედინებიან და მოედინებიან სამყაროთა უთავბოლო აღუვსებლობიდან, რომელიც ემორჩილება, ანუ განუშორებელი სულ-სხეულია პლანეტარიუმის მიუწვდომელი შინაგანი სისტემის ზნე-წეს-ურთულესი არსებისა...

მეგობრებო, როგორი ცისმიერი სიმდიდრე მშვენება და სასოებითი ბედნიერებაა, ჩვენი სული რომ მარადიულია, და ამ სამყაროსეული სივრცის გონმიუწვდომელ საოც-



რებებში, მოძრავი-მოქმედი სიცოცხლისეული რეალური იდუმალი, ყველგან მყოფმა-ვალი უხილავი შემადგენლობა თუა?!... ჩემი ვარაუდით, სულის მოძრაობის სიჩქარე აღუნერელია, როგორც ღვთის ყველგან ყოფნისა. აქედან გამომდინარე, უნდა შევე-ხოთ საერთო სიჩქარის მცნებათა ფორმა – ყოველთა გაღმეულს...

სამყაროსეულ სრულ სივრცეში არებობს, უთუოდ, ზე-სიჩქარე, რომელიც განუ-საზღვრელია და არა მატერიალისტურ-მიუვალ სამყაროსეულია. ის და ნებისმიერი ინ-ფორმაცია წამის მეთედებში ან მეასედებში შესაძლებელია აღმოჩნდეს ჩვენი გალაქტი-კის ყველაზე უშორესი რომელიმე მგრძნობიარე პატარა პლანეტაზეც. ალბათ კი არა, უთუოდ ქვეყნიერების ღვთიური მართვის იდუმალ ძალა-გავლენებიდან გამომდინარე კოსმოსის მიუწვდომელ არსებულ-ფენომენია. ამ სასწაულებრივი ზესიჩქარის მეოხე-ბით, უფალს და ყველა რელიგიურ გამრიგეებს ძალუძთ ქვეყნიერების და მათთან ერ-თად ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ქვეყნების, უმცირესი მოლექულური სიცოცხლიდან დაწყებული, უსულო საგნებამდე უმოკლეს დროში მართვა განახორციელოს და უკი-დეგანოდ სიკეთე-სიყვარული განავრცოს. თუ არსებობს საკვირველი სინათლის სიჩ-ქარე ხილული-ვარსკვლავეთური თვისებით, აგრეთვე არსებობს უხილავგრძნობითი სულიერ-აზრობრივი უფრო ღვთიური – ყოველთა მხედველობითი – მზერის სიჩქარე. ანუ უფრო რთული და ჩვენთვის მიუდგომელი მცნება... რახანს გვწამს ჭეშმარიტება, რომ ღმერთი ყველგანაა, მაშინ ზესიჩქარის უარყოფა გამორიცხულია. თქვენს წინაშე მდგომ პატარა ანგელოზს დაჰყურებთ და ეთამაშებით, მერმე უცბად ცისკენ აიხედავთ და რომელიღაც ციურ ვარსკვლავს მიაპყრობთ ყურადღებას და გიკვირთ მილიარდო-ბით კილომეტრის სიშორის პლანეტა როგორ უახლოესად ციმციმებს რათა უმოკლეს დროში მასთან გაჩნდი და აზროვნებ. აი, ესაა მზერის სიჩქარე. უფრო საოცრებანიც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ თანამედროვეობის გონებისთვის მიუწვდომელია... აქვე თამამად განვაცხადებ, რომ გონებრივი სიჩქარეც არსებობს, რომელიც უზენაეს ძალა წესრიგს უახლოვდება. ეს არაა, მეგობრებო, რთული კოსმოსურ-მეცნიერული თეო-რია ან აზროვნება და არ ითხოვს ღრმა განსწავლულობით სერიოზულ მტკიცებულე-ბებს (უსასრულობის ფანტასტიური ინსტინქტი აქ დიდ როლს თამაშობს). რეალური და სრული ჭეშმარიტებაა, სადაც ზეციური მოძრაობა წარმოსახვა სასწაულებრივად მძლავრობს, გვჯერა სამყაროს მრავალ დროთა და ასევე უამრავი სიჩქარეებისა და



აქტივების უძველესი კალენდარული მზე.



მუსლიმური დიდი ხნის დროინდელი მზე.



სივრცობრივი ობიექტურობისა. რა თქმა უნდა, ესენი ნაზავია მატერიალისტურ-იდეალისტურისა, ხილულ-უხილაობისა, რომელიც ღვთიურ-უფლისეული კუთვნილებაა. ვფიქრობ, ამ უხილავი ვარსკვლავითური სინამდვილის გაგება არ გაუჭირდება ნებისმიერი აღმსარებლობის ღრმად მორწმუნე სალი გონების ადამიანების შეგნებას...

ასევე შესაძლებელია არსებობს სამყაროს, გამაოგნებელი მეხსიერების, დროის, სივრცის, გარემოს და აზროვნების შიდა სიღრმისეული ცნობიერების ცოცხალ-ხატული აბსტრაქციაც (რომლის მოდერნისტული გამოხატვა შეიძლება ფერწერაში, მუსიკაში, პროზასა და პოეზიაში). ქვეყნიერებაში, გამორიცხული არაა, მოქმედებდეს სწავლამიუდგომელი ურთულესი კოსმოსური მეცნიერება, რომელსაც მხოლოდ პლანეტარიუმის ზემაგნიტური სხივთქმედებათა წარმოსახვების მონათესავე არეალები აღიქვამენ და ჭეშმარიტებად იხილავენ. მერწმუნეთ, სულ-გონებ-აზროვნებით ახლობლებო, კეთილო ადამიანებო! ამდაგვარი სამყაროსეული ირეალურისეული ფორმათა მიახლოებებიც არსებობს უთუოდ, ჩვენგან ძალიან შორეულში მათი უცხო შემადგენლობების უკიდევანობაა და რომ მაინც ბევრი რამე ირგვლივ ქვეყნიური მარადის მიუწვდომელ-შეუსწავლელია, მაგრამ თითქოსდა უახლოესი...

„ზა მსუჭს ვიცოდე სამყაროს შესახებ? – მხოლოდ ერთი ზამ მინდა ვიცოდე კონკრეტულად, ზატომ აზის ყველაფერი ისე, ზოგობრც აზის“ (ჯორდანო ბრუნო).

აქაა დიდი მეცნიერის დასტური ვარსკვლავეთში ყოველთას სრულყოფილების მიუწვდომლობისა...

აქედან გამომდინარე, უმჯობესია, ყველა ჩვენგანმა გულითადად უზენაესზე ვილოცოთ, რათა დედამიწაზე არ მოხდეს ღმერთისა და ადამიანთა მიერ შექმნილის წამშლელი უსაშინელესი მოვლენები. დავუშვათ, თუ მოხდა, მეორედ მოსულ ადამიანზე უფალი უთუოდ იზრუნებს, რომ შეუნარჩუნდეს ღვთივკურთხეული ჭეშმარიტება და სულნათელი ზნეობრიობა. ისინი მხოლოდ ეკლესიურ თუ სხვა სალოცავთა კანონების წამკითხველ-მოსაუბრენი კი არ იქნებიან, არამედ – პირველადშობილ ადამზე ბევრად უკეთესი, წმიდა უნაკლო ბუნების. მაშინ დედამიწა მართლაც გახდება ღვთივმოსილების უპირველესი პლანეტათაგანი, რომლის სფეროდან მხოლოდ კეთილი მირონი ჟონავდეს იქნება, უსასრულო გარემოს ყველგან მწვდომი. ამ დონეზე სიცოცხლის ამოძირკვის გარეშეც ძალუძს სამყაროს ზეძალებს ადამიანთა სულიერ-გონებრივ-ზნე-



ობრივი გაჯანსაღება, თუ „ათ მცნებას“, ახალ აღთქმას, ცხრა ნეტარებას და მრავალ აღმსარებლობით სწავლებებს ყველა პიროვნება ზნეობრივად მტკიცედ გაითავისებს. აურაცხელი ვარსკვლავების უსასრულო სივრცეში, ხომ შორეული სიმართლეა ამქვეყნიდან სულის გასვლა. შემდგომ, ღმერთთან ლოცვით და შენდობით გადარჩენილია სული, ხოლო უკეთურთა მიერ ძლეული – დაცემულია.

პლანეტა ჩვენი სიცოცხლის მარადიული წყაროა; ყოველივე უკვდავება, კი მზის და მინის ერთობლივ ელემენტებშია ჩასახული.

მანათობლის სიდიადით, შეშინებული სიკვდილი თავის ბნელ საქმეებს ხშირად თვითნებურად ვერ აგვარებს...

დიდი ხნით, სინათლემიუნვდომელი სამყაროების მადლით და ქვეყნიერების ჩვენული მაცოცხლებელი მზე კვლავინდებურად ასხივოსნებს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არავისაგან და არსაიდან სამაგიეროს ის არა და არ ითხოვს, ანუ რაში გამოადგება და გამოიყენებს. განუზომელი ენერჯისა, წვაცეცხლოვანი განუსაზღვრელი მზეობის და სიკეთის უფალ-ვარსკვლავი, ჩვენს ნამცეცა, მისთვის გამოუყენებელ უმნიშვნელო ფერფლს, რომელიც მხოლოდ მინას სჭირდება... მზეს, მის ლოცვა-სადაიდებლად, მილიონობით ბაჯალლო ოქროს და ბრილიანტების შედეგრ-ქანდაკებებიც რომ აუგოთ და გაუფსოთ სისტემის სივრცე, ასევე თაფლის მდინარეებიც მისკენ რომ წარმართოთ, მაინც მისგან მხოლოდ იმას მივიღებთ, რაც დღენიადაგ მილიარდობით წელია გვეგზავნება არც მეტი და არავითარი ნაკლები... მარადის მანათობელ უძლიერეს ვარსკვლავეთურად უშურველად რომ გასცემს განუზომელი სიკეთის და სამყაროს სიცოცხლის ფასდაუდებელ აუთვლელ სიმდიდრეს, სითბოს, სინათლეს და მრავალთა წმიდა ელემენტ-სახეობათა ფარულ ერთობლიობას. ციური მეფე-დედა მფლობელი, დაუსრულებელი სიკეთე და წინასწარ გათვლილი ბედია თავისი უძლიერესი სისტემის გარემოსი... ოდითგანვე მასზე და მისგანაა შექმნილი პლანეტის სრული აღმსარებლობები, უფრო ზოგადიდეურითაც. ვინ იცის, ადამიანი მომავალ ათასწლეულებს სარწმუნოებრივ მრავალ ახალ და სიახლე მუსიკალურ პოეზიას თუ ხოტბის ჰიმნს მიუძღვნის და მუდამყამს მაღალი შემოქმედებითი მადლიერებით მიეახლება. ხოლო ჩვენგან მისდამი ყოველგვარი შეწირვა ქვეყნიერების სიცოცხლის წყაროზე უნდა შეწყდეს და სამუდამოდ არ განმეორდეს, რადგან ის მხოლოდ ეშმაკთან მიდის და



ახარებს. მზე! მასზე მრავალმხრივ დამოკიდებული პლანეტებიდან, კერძოდ კი, დედამიწიდან, ნამცეცისოდენა სამაგიეროს დაბრუნებას არ ითხოვს. ამდაგვარი მიდგომა-შეგონებით გამართლებულ-მისაღები იქნება ჩვენეული უსაზღვრო სიყვარული, ხოტბა რწმენა და კოსმოსურ-ზნეობრივი მართალი დამოკიდებულება; რადგანაც მარად აურაცხელ-ფეთქებადი წვადი და ის ურთულესი აღდგენითი უსასრულობა რაც მზეზე ხდება, მეცნიერთათვის უზარმაზარი თემაა, რომელიც ლოცვაზე და პლანეტის ნებისმიერ სულიერ სიდიადეზე მაღლა მდგომია.

სამაგალითო დღევანდელი ხვალინდელი ცისკარგახსნილობის სანინდარია.

მზის შვილებო! ადამიანებო, მუდამყამს, მცირედაც არ შეურაცხვეყოთ, სამართლიანად აღვიდგინოთ და აღვიმალლოთ უძველესი ქვეყნების მრავალათასწლოვანი მზიური გენის მცნება სიყვარული და ზეციური აზროვნება – უმტკიცესი და უძველესი კოსმიური მეცნიერებით: ან დამარხულ შუმერთა, შესასწავლ თითქმის გამქრალ ხეთების და ქალდეველთა, ბურუსით მოცულ, ბაბილონელთა, სამარადისოდ ოკეანის ფსკერში ჩაძირული, ატლანტიდელების, საოცრება ინკების, აცტეკების და მაიას მზის კულტის, გვიან აღმოჩენილი უნიკალური ტროას კულტურა-ცივილიზაციის, ლეგენდა-მისტერიულ კოლხ-იბერიელთა, ღვთიური, მწვერვალ-მშვენიება – ანტიკური ბერძნების, მრავალათასწლეული სპარსელების, უზარმაზარი და სიკვდილთან მეზობლი ეგვიპტელების; უძველესი დიდების საუფლო ჩინელების და ფანტასტიური ინდოელების, მზით ნაფერი გამორჩეული იაპონლების, უნიჭიერეს ძველ ებრაელთა; საუკუნეებსმიღმელი არარატელი სომხებისა და ან წყვილიადში ჩაძირულ მრავალ ხალხთა დიდების სიმბოლო: უახლოესი გალაქტიკის მოყვითალო-ალისფრად მბორგავი წყარო უშრეტი – მზე! თავისი სისტემის – თანამგზავრთა და ყოვლისმფარველი, უფლისმიერი ღირსება-მადლი და ვარსკვლავეთის საკვირველ-გვირგვინ ბეჭედი...

ჩემს განცდათა ქმნილება მზეს, მე ვერასოდეს დავასრულებ, რადგანაც კოსმოსიდან დღენიადაგ მომეწოდება სურათები და წარმოსახვითი სიახლეები, ამიტომ იძულებული ვარ დროულად შევჩერდე და სინანულად მრავალწერტილი დავსვა...

გარეკანზე განთავსებულია პლანეტის უძველესი ცივილიზაციების
მზის გამოსახულებები...



ეგვიპტური მზე



ანტიკური საბერ-
ძნეთი, მზის ღმერ-
თი, ჰელიოსი და
მისი და ჰეოსი



მაიას ტომის მზის
კალენდარი



შუმერთა მზის სისტე-
მის კალენდარი



ინდუისტური უძვე-
ლესი მზის ღმერთი



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com